

საქართველოს პარლამენტის
1992 წლის 20 ნოემბრის სხდომის
სტენოგრაფიული ანგარიში

1073

3862



სამქმ ვანო გიორგი

| | |
|-------|------|
| ფონდი | |
| კლასი | |
| საქმი | |
| დანი | 3862 |

კვანძი

| | |
|-------|------|
| ფონდი | 3862 |
| კლასი | |
| საქმი | |
| დანი | |

107 ვანო გიორგი

საქართველოს ენციკლოპედია
ПОСТСЯН:ГУ ХРАНЕИИЯ

საქართველოს პარლამენტის 1992 წლის



20 ნომბრის სხდომის

ს ტ ე ნ გ რ ა ფ ი უ ღ ი ა ნ გ ა რ ი შ ი



სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს რესპუბლიკის სპიკერის
მოადგილე ქალბატონი რუსუდან ბერიძე.

თავმჯდომარე. ბატონო დემუტატეზო, ბატონი სპიკერის დავალებით დღე-
ვანდელი სხდომის გარკვეულ ნაწილს მე წავიყვან, გთხოვთ ყურადღებას.
მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ბატონო დემუ-
ტატეზო, გთხოვთ, მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის, რეგისტრაცია რაოდენო-
ბით უფრო მეტია, ამიტომ, მე მგონი, კიდევ ერთხელ გავიმეოროთ, გთხოვთ,
და აბრძანდეთ და ჩავატაროთ რეგისტრაცია;

რეგისტრაცია გაიბრბ 137-მა კაცმა.

კვორუმი არის, მუშაობა შეგვიძლია. კენჭისყრის წინ კიდევ ჩავატარ-
ებთ რეგისტრაციას. ბატონებო, დღის წესრიგი თქვენ დაგირიგდათ, თუ დღის
წესრიგთან დაკავშირებით რაიმე შენიშვნა არის, გთხოვთ, გამოთქვათ. დღის
წესრიგთან დაკავშირებით მხოლოდ, მე-4 მიკროფონი, თუ შეიძლება.

მ. გიორგაძე. ხომ არ იციან, ზოგიერთ მინისტრში ვინ შედის.

თავმჯდომარე. მაგის შესახებ ის ადამიანები მოგახსენებენ, ვისაც ამისი
უფლება აქვს. თუ დღის წესრიგთან დაკავშირებით არ არის, მე-5 მიკროფო-
ნი.

ლ. მესხი. ქალბატონო რუსუდან, ბატონო პარლამენტარებო, სოხუმში, როგორც
იცით, შეიქმნა სასამართლო ორგანო და მე ვიცი, რომ კანონი ამ ორგანოს
შექმნისათვის უკვე მზად არის და იქნებ ეს კანონი დღეს შესულიყო, — არ
არის ამ კანონის განხილვა დღის წესრიგში, — რადგან ეს ძალიან საშუაო
საქმეა.

თავმჯდომარე. ბატონო ლევან, კანონი გამზადებულია, რომ ყველა კომი-
სიას გადაეცეს, თუმცა ეს დღის წესრიგს არ შეეხება, შენიშვნის სახით,
კანონი გამზადებულია და მე გამოვაცხადებდი, თქვენ დამასწარიტ უბრალოდ,
რომ კომისიის თავმჯდომარეებს ეს კანონი შეუძლიათ მიიღონ შესვენების დროს

ბატონო ლევან, ძალიან გთხოვთ, მხოლოდ დღის წესრიგთან დაკავშირებით.
სხვა საკითხებზე ნუ ვისაუბრებთ.

ბატონო ლევან, დღეს ეს საკითხი არ შევა დღის წესრიგში. დღეს ეს
საკითხი დღის წესრიგში ვერ შევა. მე-3.

ზ. მურვანიძე. ზურაბ მურვანიძე, კონსტიტუციურ-დემოკრატიული პარტია.
მე მაქვს შეკითხვა თქვენთან. ეს შეეხება დღის წესრიგს, რეგლამენტს და
საერთოდ ყველაფერს. არის თუ არა პარლამენტთან 30 კაციანი დელეგაცია
სადმე გაგზავნილი. გმადლობთ.

საქართველოს
პარლამენტის
გეგმვა
გ. ბ. ლ. ი. თ. მ. კ.

თავმჯდომარე. მე რამდენადაც ვიცი, არა.

(შეკითხვა, ალბათ ვალერი კვარაცხელია ან ვაშაკიძე).

დღის წესრიგთან დაკავშირებით? მაშინ ჯერ დღის წესრიგი დავამტკიცოთ, ბატონო ვალერი და მერე ვისაუბროთ სხვა საკითხებზე. თუ შეიძლება დავამტკიცოთ დღის წესრიგი. კენჭი ვუყაროთ. მოეშადათ კენჭის ყრისათვის. დავსვით უკვე დღის წესრიგის დამტკიცება, ბატონო კოტე. თუ შეიძლება კენჭის ყრა (129 მომხრე, 5 წინააღმდეგი); დღის წესრიგი მიღებულია. დღის წესრიგთან დაკავშირებით დადგენილება. დღის წესრიგს მივყვით და განცხადებები შემდეგ იყოს. პირველ საკითხთან დაკავშირებით დადგენილების პროექტს მე გაგაცნობთ, ალბათ თქვენ გარკვეული დამატებები და შესწორებები გექნებათ ამ პროექტთან დაკავშირებით, დადგენილების პროექტი ეყრდნობა იმ წინადადებებს, რომელზედაც ჩვენ ვისაუბრეთ, როდესაც ამ საკითხს განვიხილავდით, თუ დამატებები გექნებათ, მერე ვილაპარაკოთ.

რ. ბერიძე კითხულობს დადგენილებას აფხაზეთში შექმნილი ვითარების შესახებ:

„საქართველოს პარლამენტი, რომელმაც მოისმინა და განიხილა პარლამენტის თავმჯდომარის, სახელმწიფოს მეთაურის ედუარდ შევარდნაძის ინფორმაცია აფხაზეთში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით, ადგენს:

1. ინფორმაცია იქნას მიღებული ცნობად. წარმოდგენილი მასალა შეივსოს სხდომაზე დეპუტატთა მიერ გამოთქმული წინადადებებით და საბოლოოდ ჩამოყალიბებული საპარლამენტო დოკუმენტი მიმართვის ფორმით წარედგინოს გაერო-სა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

2. აფხაზეთში შექმნილი მდგომარეობის შესასწავლად შეიქმნას საპარლამენტო კომისია.

3. საქართველოს რესპუბლიკის ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭომ უზრუნველყონ აფხაზეთში პოლიტიკური, სამხედრო და სოციალური ეკონომიკური მდგომარეობის მოწესრიგება.

4. რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა და თავდაცვის სამინისტრომ მიიღონ გადაწყვეტილი ზომები რესპუბლიკის შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის დასამყარებლად, უზრუნველყონ საქართველოში არსებული ყველა საჯარისო ფორმირების დაქვემდებარება თავდაცვის სამინისტროსადმი.

5. დარქარდეს შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდლის სამსახურის ჩამოყალიბება.

6. საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღოს გადაწყვეტილი ზომები აფხაზეთიდან ლტოლვილებთან მუშაობის ორგანიზაციის გასაუმჯობესებლად.

7. აღნიშნული პუნქტების შესრულების შესახებ მოხსენდეს პარლამენტს პირველი სესიის დამთავრებამდე“.

მე-3 მიკროფონი, შემდეგ მე-4, შემდეგ მე-2.

თ.დიასამიძე, თამაზ დიასამიძე, რესპუბლიკური პარტია. სასურველი იყო ამ დადგენილების პროექტი წინასწარ დაგვრიგებოდა დეპუტატებს, რომ უფრო კარგად ადგვექვა ეს პუნქტები, რომლებიც ძალიან მნიშვნელოვანია თავისთავად და მითუმეტეს, შესრულების შედეგებით. მიმაჩნია, რომ ზოგიერთ პუნქტს, რომელიც ჩვენ ჩამოვაცალიბეთ, აუცილებლად უნდა მიეთითოს შესრულების ვადა. სესიის დამთავრებამდე, როგორც თქვენ ბრძანეთ და როგორც ეს მითითებულია დადგენილების პროექტში, არის, ჩემი აზრით, გაურკვეველი, თუ შეიძლება ითქვას, ან განუსაზღვრელი ვადა; აქ არის ისეთი პუნქტები, რომლებიც მოითხოვს რაც შეიძლება მოკლე ვადის დაწესებას, ახლავე ამ ანგარიშის წარმოდგენას აუცილებლად პარლამენტისათვის; სამწუხაროდ, მე-6 პუნქტის ადქმა ვერ მოვასწარი, რამდენიმე პუნქტი რავიწერე. აქ არის მე-4 პუნქტი, „მიიღონ გადამჭრელი ზომები შეიარაღებულ ძალებში დისციპლინის დამყარება...“ აღარ მახსოვს, კარგად ვერ დავიმახსოვრე... ლაპარაკი არის ამ ერთიანი არმიის საფუძვლების ჩაყრაზე და იარაღის ყდაზუნსა და ამ გაურკვეველ, მე ვიტყვოდი, მდგომარეობაზე, რაც არის შეიარაღებულ ძალებში; მიმაჩნია, რომ იქ, სადაც ლაპარაკია შექმნაზე, „დაჩქარდეს უმაღლესი მთავარსარდლობის, როგორც ასეთის, ინსტიტუტის ჩამოყალიბება მთელი მისი სტრუქტურებით“, რასაკვირველია, ვადის დანიშვნა ისეთი სტრუქტურის შექმნისათვის, რომელმაც უნდა აიღოს შემდგომ მთელი ეს სიმძიმე ამ სტრუქტურის მოწესრიგებისათვის, ძალიან ძნელია.

თავმჯდომარე, თქვენი წინადადება.

თ.დიასამიძე, ჩემი აზრი ასეთია: ალბათ, სასურველი იქნება, რომ ზოგიერთი პუნქტი ხელმეორედ იქნეს განმეორებული, მე ვერ მოვასწარი ადქმა ამ პუნქტისა. დადგენილების ზოგიერთ პუნქტს უნდა მიეთითოს შესრულების ვადა, უნდა მიეთითოს კონკრეტული დრო აუცილებლად და მოხსენდეს პარლამენტს შესრულება, და ისიც, თუ არ შესრულდა, რატომ არ შესრულდა, გმადლობთ.

თავმჯდომარე, გმადლობთ, მე-4 მიკროფონი.

ა.ასათიანი, მე დაახლოებით იგივე მინდა მოგახსენოთ. ვადის გარდა ყველაზე უკეთესი იქნება, ვთქვათ, რომ ერთი პუნქტი დამატებოდა ბოლოს; ყოველ კვირას მოხსენდეს, ვთქვათ, პარლამენტს ან ამ აფსაზეთის მდგომარეობის შესახებ და ის შეიცავს ალბათ, რომელი პუნქტი შესრულდა, რომელი არა. ყოველ კვირას იქნება ეს. თავდაცვის საბჭოს თავმჯდომარე, პრემიერ-მინისტრი თუ შესაბამისად, დაემატოს ეს პუნქტი, რომ ყოველ კვირას პარლამენტმა ერთი დღე, პლენარულ სამუშაოზე 2 საათი იქნება, თუ 3 საათი, მიუძღვნას ინფორმაციის მოსმენას მაინც.

საქართველოს
პარლამენტის
მეტყველები
ბიბლიოთეკა

დაემატოს ასეთი პუნქტი.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-2 მიკროფონი.

თ. დიხამინჯია. თენგიზ დიხამინჯია, „ქარტია-91“. მე მთლიანად ვიზიარებ ბატონი თამაზის გადმოცემულ შინაარსს დაყენებულ პრობლემებზე და გარდა ამისა, მინდა დავუმატო, როგორც გუშინ ითქვა, მოხდა გარკვეული დიფერენციაცია, ასე ვთქვათ, აფხაზეთის საკითხის ირგვლივ და ეს რაღაც თავისებურად გამოიყოს, ასე ვთქვათ, ამ შემსწავლელ კომისიას და დღეს უკვე დადგენილებაში ვისმენთ, რომ დამატებით უნდა შეიქმნას ასეთი შემსწავლელი კომისია, რომელიც უფრო გლობალურ, ასე ვთქვათ, პრობლემებს მოიცავს. ჩვენის აზრით, ის დეპუტატები, რომლებიც, მე ვფიქრობ, რომ ნაყოფიერად მუშაობენ ამ პრობლემების ირგვლივ, აფხაზეთის კომისიის ირგვლივ, უკვე სათანადოდ არიან აღჭურვილნი ამ ცოდნით და ამ პრობლემების და შინაარსებით და მიმართება, რომ ამგვარი დიფერენციაცია გაგრისა და აფხაზეთისა მიზანშეწონილი არ არის და მე უფრო რაღაც ცოტა იმის შთაბეჭდილება იქმნება, რომ რაღაც სელოვნურად შექმნილს უფრო ჰგავს. უფრო ეფექტური იქნებოდა გაცილებით, თუ ამ ორი პრობლემის თავმოყრა მოხდებოდა. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-7 მიკროფონი, შემდეგ მე-3.

ი. ჭელიძე. ივერი ჭელიძე, გარდაბნის რაიონიდან. სასურველია, აღნიშნულ დადგენილებაში შეტანილ იქნეს გულრიფშის რაიონში მძევლებად დარჩენილი სოფლების გამოყვანა, ქართული მოსახლეობის გამოყვანა, რომლებიც დღეს არიან კატასტროფულ მდგომარეობაში, შეტანილ იქნეს, რომ მათი გამოყვანის შესახებ გატარებული იყოს სერიოზული ღონისძიება. ძალიან გთხოვთ, გავითვალისწინოთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-3 მიკროფონი, შემდეგ მე-5.

მ. კვანჭილაშვილი. კვანჭილაშვილი, „ქარტია-91“. ის დოკუმენტი, რომელიც უნდა გაეგზავნოს გაეროს პარლამენტის სახელით, სასურველია და, მე ვფიქრობ, აუცილებელიც არის, რომ ჩვენ დაგვირიგდეს, გავცნოთ მთლიანად ამ დოკუმენტს, შევისწავლით.

თავმჯდომარე. რა თქმა უნდა. მე-5 მიკროფონი.

შ. ნათელაშვილი. დადგენილებაში ნახმარია სიტყვა „ეტოლვილი“ აფხაზეთიდან გამოსახლებულთა მიმართებით. მე მინდა მოგახსენოთ, რომ „ეტოლვილი“ საერთაშორისო სამართლებრივი ტერმინია და 51 წლის კონვენციით ნიშნავს ერთი სახელმწიფოდან მეორე სახელმწიფოში გადასულ მოქალაქეს, რომელიც იძულებული გახდა თავის სიცოცხლის უზრუნველსაყოფად დაეტოვებინა სამშობლო. აფხაზეთიდან ჩამოსული ადამიანები არიან გამოსხიზნული ხალხი მტრის შემოსევის შედეგად, რუსულად "перемещенные лица" და „ადგილგადასახლებული პირები“ კარგად გამოდის და გამოსხიზნული უნდა

ვისმართო. საბას ლექსიკონში ხიზანი, გამოსიზნული არის მტრის შემოსევის შედეგად თავისი სამოსახლოდან აყრილი მოსახლეობა, რომელიც თავის თავს სამშობლოში სხვაგან შეაფარა თავი.

შეკითხვა.

„იძულებით აღვიღვადანაცვლებული პირი“, კი. ახლა ისე გამოდის, რომ აფხაზეთიდან წამოსულ ხალხს თუ ლტოლვილს დავარქმევთ, ისინი სხვა სახელმწიფოდან ჩამოვიდნენ სხვა სახელმწიფოში ამ კონვენციით და მე-2 მომენტით, აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი ერთ გარემოებას: როგორც მოგეხსენებათ, ძირითადი დამრტყმელი ძალა აფხაზეთში უცხო ქვეყნის ტერიტორიიდან შემოსული დაქირავებულები არიან. 1974 წელს გაეროში მიიღო 49-ე რეზოლუცია, სადაც სახელმწიფოებს დაავალა, რომ დაქირავებული პირები ჩაეთვალიათ ჩვეულებრივ სისხლის სამართლის დამნაშავეებად და მათზე არ გავრცელდეს სამხედრო ტყვის სტატუსი ე.ი. კომპატანტის სტატუსი; აქედან გამომდინარე, ჩვენ უნდა აღვნიშნოთ ამ დაქირავებულების პრობლემა მაგ დადგენილებაში და ვთქვათ მსოფლიოს გასაგონად, რომ ეს პირები არიან სისხლის სამართლის დამნაშავეები და დამსჯებიან კანონის შესაბამისად. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსში არა გვაქვს მუხლი დაქირავებულის პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ გვაქვს კონკრეტული მუხლები მკვლელობის, დივერსიის, ტერორისტული აქტის, სხვადასხვა და სანამ ახალ მუხლს შევიტანოთ ისინი მიეცევიან პასუხისგებაში. აი, ამ ორ მომენტს გთხოვდით, რომ ხაზი გასმოდა.

თავმჯდომარე. გმადლობთ, მე-4 მიკროფონი.

ფ.ჩარკვიანი.

აი, შემოსასვლელში დამხვდა ხალხი, მე, კერძოდ, მოგახსენებთ, სოფელ ოთხარადან, იქ დარჩენილი ხალხი არის უმწიფო მდგომარეობაში, დავანებოთ თავი იმას, რომ ამცირებენ, არიან ძალიან ცუდ ვითარებაში, ამის გარდა მოკლულია ხალხი. ეს სრულიად ახალი ცნობა გახლავთ. საჭიროა იმათი იქიდან ან გამოყვანა, ანდა იქ მივიღოთ ზომები. კი ბატონო, კარგია, თუ იქ დარჩებიან, მაგრამ უნდა იყვნენ იმ დონეზე, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა არ მოკლან მაინც, არ დახვრიტონ, ძალიან ცუდ ვითარებაში არიან. ჩაიწერეთ ეს, სოფელი ოთხარა.

თავმჯდომარე. მე-7 მიკროფონი.

ი.ორჯონიკიძე.

ბატონებო, აუცილებელია, მინდა, რომ ვინმე რომ მიგდებდეს ყურს. ქაღალტონო რუსუდან, თქვენ მოგმართავთ, რადგან ეს საკითხი თქვენ მიგყავთ და აუცილებლად მინდა იყოს ეს ფიქსირებული. დადგენილებაში: გარდა იმ ადამიანებისა, რომლებიც იქ ცხოვრობენ, მოსახლეობას ვგულისხმობ, აუცილებლად უნდა იყოს ფიქსირებული დაკარგულების,



და აგრეთვე იმ მეომრების დაკარგულებისა და მიცვალებულების, ~~ფიქსირებული~~ ცა უნდა იყოს ამით დაინტერესებული და ეს უნდა იყოს ფიქსირებული ~~და~~ გენილებათაში, რომ ჩვენს მოსახლეობას ჰქონდეს იმედი ჩვენი, პარლამენტისა და თვითვე ჩვენთაგანისა, აი მაგალითად, კვანტრიშვილი ზურაბი, კახიშვილი ღათო, სხირტლაძე ღათო და კობა, ქმები, ასეთი სია გრძელია. გთხოვდით, რომ დადგენილებაში ეს იყოს ფიქსირებული და ცალკე პუნქტად გამოყოფილი, გმადლობთ.

სხდომის თავმჯდომარეობა განაგრძო ვ.გოგუაძემ.

გ. ბარამიძე. მე არ ვაპირებდი გამოსვლას: გიორგი ბარამიძე, მწვანეთა პარტია. მაგრამ აქ მეწამდენედ ისმის ეს პრობლემა, რომელიც მეტად მწვავეა და მოთხოვნები არის, რომ შევიტანოთ დადგენილებაში, მაგრამ მე მიინდა მოგახსენოთ, რომ ამის თაობაზე დადგენილების მიღება პრინციპში არ არის საჭირო, რადგანაც საქართველოს ეროვნებათმორისო ურთიერთობისა და აღამიანთა დაცვის სახელმწიფო კომიტეტი თავიდან ბოლომდე კონფლიქტის დაწყების დღიდან არის ამ პრობლემებით დაკავებული; შექმნილი არის საგანგებო შტაბი, რომელსაც ხელმძღვანელი მე ვახლავართ, ის 31 მეზობელი ამ შტაბის მიერ იქნა გათავისუფლებული. კომიტეტის საქმიანობა თავიდან ბოლომდე მიმართული არის იმისკენ, რომ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იქნას მოპოვებული. აფხაზი ექსტრემისტების მხარეზე დარჩენილი ქართული ეროვნული მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ. ის პრობლემები, რომელიც ბატონმა ჯანსუღმა თქვა, სულაც არ არის ახალი და ჩვენ ვვაქვს ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ხდება იმ სოფლებში, რა თქმა უნდა, არასაკმარისი, არასრული, რადგანაც სრული საშუალება იმისა, რომ პირადად ჩავიდეთ ყველა სოფელში, არა ვვაქვს მიზეზების გამო და რაბან მომეცა გამოსვლის საშუალება, მიინდა კიდევ ვთქვა, რომ რაც შეიძლება ფრთხილად ვიყოთ, მოზომილი ტერმინოლოგია და ფრაზა ვიხმაროთ მოწინააღმდეგე მხარის მიმართ, რადგანაც ისეთი მოვლენები, როგორც არის, მაგალითად, ამ ტყვეების გაცვლა და სხვა, მნიშვნელოვანია, ვთქვათ მოლაპარაკებები, რომელიც მიმდინარეობს ამ მიმართულებით მოსახლეობის უზრუნველყოფის, თვალსაზრისით და ა.შ. შეიძლება ჩაიშალოს, რადგანაც ეს ყველაფერი ბევრზე კიდია და გთხოვთ დეპუტატებს, რომ გაითვალისწინონ ყოველ ჩვენს სიტყვაზე დამოკიდებულია იმ აღამიანების ბედი. ასე, რომ დადგენილებაში, ასე ვთქვათ მოთხოვნის შეტანა არ არის საჭირო, მუშაობა უკვე მიმდინარეობს. გმადლობთ.

შეკითხვა დარბაზიდან (დარბაზში კამათია).

როგორ არა, ჩვენ ვიცით, კი, ბატონო, ჩავწეროთ დადგენილებაში, მაგრამ რა შეიცვლება ამით, ვერ ვავიგე. თუ ჩვენ უბრალოდ ბატონო, თქვენ, მე მგონი, არა ვაქვთ იმის საფუძველი ილაპარაკოთ ასეთი ტონით, ჯერ ერთი და მეორე: თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ეს პრობლემები არ არის მხოლოდ

ჩვენზე დამოკიდებული, გადაწყვეტა, ჩვენ გვყავს მოწინააღმდეგე, რომელი-
 საც აქვს თავისი ინტერესები და ისინი მოქმედებენ ისე, რომ ჩვენს ინტერეს-
 ნათ საჭიროდ, სამწუხაროდ, ჩვენ არა გვაქვს ყველა ამ მოვლენის რეგულ-
 ლირების მეშვეობით მოგახსენებდით, რომ ჩვენ ვცდილობდით, რაც შეიძლება,
 ასე ვთქვათ, კონსტრუქციულად მივუდგეთ ამ საკითხებს, აი, ახლა, ამ
 დღეებში ჩვენი და წითელი ჯვრის, საერთაშორისო წითელი ჯვრის, ასე
 ვთქვათ, ინიციატივით იმ სოფლებში, რომლებიც დარჩენილი არის იქითა მხა-
 რეს, ჩავა დიდი რაოდენობით მედიკამენტები, საკვები პროდუქტები და
 თბილი ტანსაცმელი. ისე არ არის, რომ სულ არაფერი კეთდება, მაგრამ,
 ყველაფერიც ჩვენზე არ არის დამოკიდებული, მე კიდევ ვიმეორებ, ისე ნუ
 წარმოვსახავთ, რომ თითქოს არავინ არაფერს აკეთებს და არავინ არ წუხ-
 დება. კი ბატონო, ჩავწერთ დადგენილებაში, მე მგონი ამით არაფერი შეიც-
 ვლება. სხვა არის, რომ ამ კომისიას, ამ შტაბს, ამ კომიტეტს უფრო მეტი
 ყურადღება და უფრო მეტი დაფასება სჭირდება, რადგანაც, მე ჭუშინ არა
 ვთქვი, უამრავი პრობლემა დაგვხვდა წინ, რომ უკვე მოლაპარაკებულ? ასე
 ვთქვათ, შეთანხმება გავვეხორციელებინა, ის 31 მეომარი გამოგვეყვანა
 იქიდან. ყველაფერი იქითა მხრიდან გაკეთებულიყო. შიუროკრატებმა ადგილზე
 უამრავი ბარბერი შეგვიქმნეს წინ. ჩვენ შიგ უნდა ვეძებოთ, თორემ, პრინ-
 ციპში, მე ვფიქრობ, ამ შტაბს თუ მიეძევა მეტი ყურადღება, რა თქმა უნდა,
 უკეთესია.

თავმჯდომარე. გასაგებია. მე-5, მე-3, მე-6, მე-7 მიკროფონები.
იზა ორჯონიკიძე. ბატონებო, მაშატიეთ, რომ მე მეორედ გამოვდივარ ამ
 საკითხზე. დაახლოებით, ბატონო გიორგი, თქვენს გასაგონად ვლაპარაკობ.
 ძალიან გთხოვთ, როდესაც საკითხს ვაყენებთ, ტონი თქვენც შეაჩიოთ. მენ-
 ტორული ტონი საერთოდ არ არის მიღებული არც უფროს-უფროსობაში, არც საერ-
 თოდ. ეს ერთი. მე-2, არავის არ ტყივა თავი იმისთვის, რომ გამოვიდეს და
 ზედმეტი ილაპარაკოს. აი, გარეთ 20 ქალი იცდის, რომელიც შიმშილის გა-
 მოცხადებას აპირებს, ეს ისეთი სათუთი საკითხია, რომ სუყველა უნდა და-
 ვინტერესდეთ, აუცილებელია, რომ დავინტერესდეთ. ნუ გეწყინებათ და ნუ ჩა-
 მოვყალიბდებით ახალგაზრდა ბიუროკრატებად ამ თვალსაზრისით და, ასე ვთქვათ,
 ფუნქციონერებად. რასან ეს საკითხი თქვენ გაბარიათ, ამ საკითხზე საუბარს
 ნუ აგვიკრძალავთ. უამრავი წერილი მიღვეს და არ მინდა თქვენი ყურადღება
 შევაჩერო. მე მიმაჩნია, რომ დადგენილებაში ეს უნდა იყოს შეტანილი და
 გაჭეთდეს იმაზე მეტი, ვიდრე ვაკეთებთ, და თუ თქვენ ვინმე ხელს გიშლით
 ამის რეალიზაციაში და ამ კეთილი მისიის შესრულებაში, ისიც უნდა ითქვას
 პარლამენტის სხდომაზე, იმიტომ რომ, ჩვენი მოსახლეობა ისე არის შევიწროე-
 ბული, რომ მათი დაშოშვინება აუცილებელია ჩვენი სიყვარული და ჩვენი
 მცდელობით. არ შეიძლება, დედას უთხრა ფრაზა ასეთი, ვის ეკუთვნის მიხვ-



დებიან, რომ თნი თვიან და იქით მოკვდებან და აქეთ, ასე არ შეიძლება გამაღობთ.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

ა. მარშანიანი. ადა მარშანიანი. მე მაქვს თხოვნა, - წინადადება ასეთი, ჩვენ ამ დადგენილების მიღება გადავდოთ ცოტა ხნით, აუცილებლად მივიღოთ დღესვე, მაგრამ ცოტა ხნით გადავდოთ, გავამარჯვლოთ ამ დადგენილების ტექსტი და მე მგონია, უფრო დიდი ეფექტით ვიმუშავებთ და მივიღებთ ამ დადგენილებას. დღის ბოლოს აუცილებლად უნდა მივიღოთ, უფრო რაციონალური იქნება წინადადებების და უფრო პოზიტიური და კონსტრუქტიული, მე მგონია, შეპირად ძალიან ძნელია.

თავმჯდომარე. ვიფიქრე ამასზე, გამემარჯვლებინა, თუ შეიძლება პასუხი, უბრალოდ, გადავწყვიტო, აი, რადაც შენქვეშზე აქ მოვიღებამარაკოთ, შემდეგ მე გადავცემ ამას გადასამარჯვლებლად, ისევ დაგირიგებთ, მიღებას არც ვაპირებ. მინდოდა აი რადაცნაირად მოგველაპარაკა, ეს ფაქტიურად ის მასალა არის, რომელზედაც ჩვენ უკვე ვისაუბრეთ და რომელზედაც შევთანხმდით ასე თუ ისე შეგვეტანა დადგენილებაში. ახლა მე, ასე ვთქვათ, შემოგთავაზებდით მუშაობის ასეთ ფორმას, თითოეულ მუხლს წავიკვიანავდი თავიდან. მოვიტხოვდი თქვენს თანხმობას, რომ ეს მოკლე დადგენილებაში იყოს შეტანილი, აი იმ დამატებებს რედაქციას გავუკეთებდი და ვთქვათ, შესვენების შემდეგ უკვე გამარჯვლებულს მოგაჩემევიდით ყველას და მიღებაზე შემდეგ გვეფიქრა.

ა. მარშანიანი. გასაგებია, მაგრამ მე ვთქვი, რომ მაინც ძნელია ასე შეპირი აქტებით მუშაობა, გამაღობთ.

თავმჯდომარე. მე-6, მე-7.

ა. ბერძიქე. ბატონებო, მე ვუერთდები ბატონი ნათელაშვილის წინადადებას, რომ ლტოლვილების საკითხი განსაკუთრებულად დრამად და უნდა იქნეს შესწავლილი. მაგრამ ერთი რამ არის, რა საკვირველია და დიდი ყურადღება უნდა მანდ და დიდი შეფასებათები და ზრუნვა მათი. მაგრამ არის მე-2 მხარეც. ვინ არიან ეს ლტოლვილები. აგერ, მე ვიცი, მაგალითად, ივერიაში ათეულობით ახალგაზრდა, რომელსაც შეიძლება იარაღი ეჭიროს ხელში და 20-25 წლის მეტროსთან დგანან და მოსახლეობისგან მაქვს ასეთი საჩივრები, რომ ეს ხალხი რომ დგანან იქ და უსაქმურები არიან, როგორ გავარკვიოთ, ეკუთვნის იმას თუ არა, აქვს თუ არა სტატუსი, არის ის თუ არა დირსი, რომ იზრუნონ. რატომ კახეთიდან, ქართლიდან, თბილისიდან ჩასული ახალგაზრდები უნდა იცავდნენ იქ გუდაუთას და გაგრას და აფხაზეთს და ისინი კი აქ იყვნენ და შეფასებათებს ითხოვდნენ, ამ საკითხს უნდა პრინციპული მიდგომა, გარკვევა, შეიძლება ის არ იმსახურებს პატივისცემას და დეზერტირის სტატუსიც მივცეთ.



თავმჯდომარე. მე-7.

ვ.იაკობიძე. პატივცემულ დეპუტატებო, ეჭვი არავის ეპარება, რომ მეტრის რეალობაში, რეალურად და ობიექტურად იხილავს ამ საკითხებს. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ უფრო კარგი იქნება ჩაიწეროს დადგენილებაში რომ საკითხის განხილვის დროს მოწვეული იქნენ მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენლებიც სურვილისამებრ. დაესწრნენ. ეჭვი არ მეზადება, რომ პროგრესული ძალები იქაც იქნებიან და უფრო რეალობას შეიტანენ საკითხის განხილვაში. მითუმეტეს, რომ ყოველკვირეულად ამ საკითხზე ანგარიში მოითხოვს პარლამენტარებმა. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-6.

ა.ქაშაკაშვილი. ამირან ქაშაკაშვილი, თერჯოლის რაიონიდან. ბატონებო, ამ საკითხზე ბატონ ედუარდ შევარდნაძის მოხსენებაში საზი გაესვა რამოდენიმეჯერ, რომ დამნაშავეთა სამყარო მნიშვნელოვნად უშლის ხელს აფხაზეთის პრობლემების მოგვარებას, უშლის ხელს სამხედრო მშენებლობას და სამოქალაქო ცხოვრების მოწესრიგებასაც. მაგანნი და მაგანნი საკმაოდ ბარაქიანად ითხოვენ ხელს ამ თმში, როგორც აფხაზეთში, ისე აქეთაც. რატომაც აი ეს მოთხოვნა, რომელიც ასევე აღინიშნა გამოსვლებში და რომელიც არ არის ასახული დადგენილების პროექტში, გათხოვთ, გაითვალისწინოთ. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-2.

ლ.მამალაძე. ლევან მამალაძე, მწვანეთა ფრაქცია. აქ საუბარი იყო დადგენილების მიღებაზე, მე მინდა მხარი დავუჭირო. ეს დადგენილება ჩვენ დღეს უნდა მივიღოთ. ეს ერთი და ასევე პარლამენტი რომ იყოს საქმის კურსში დადგენილების მიმდინარეობის შესრულებაზე, ჩვენ რეგლამენტის მიხედვით გამოყოფილი გვაქვს პარასკევი დღე ინფორმაციისა და კითხვებისათვის. ჩვენ შეგვიძლია პარასკევი დღე დავუთმოთ, პირველი სხდომა მაინც, პირველი ნაწილი სხდომისა დავუთმოთ აფხაზეთის განხილვის საკითხებს და, აქედან გამომდინარე, მინისტრთა კაბინეტს, სათანადო მინისტრებს ექნებათ იმის საშუალება, რომ პარასკევისთვის მათ მოამზადონ დადგენილების შესრულების მიმართ თავიანთი მოსაზრებები. ეგ ერთი მომენტი, რომ დაემატოს, ალბათ პარასკევი დღე უფრო მიზანშეწონილი იქნება, რომ მოვისმინოთ ჩვენ დადგენილების შესრულების თაობაზე ინფორმაციები და მე-2; კარგი იქნება, თუ დადგენილებაში ჩამატებული იქნება, რომ მე როგორც ვიცი, შეიქმნა სავლელ სასამართლო, იყო ამის შესახებ ინფორმაცია, თუ კი არ არის ჯერ ფორმირებული, იქნებ დაემატოს, რომ ამ სავლელ სასამართლომ აწარმოოს გამოძიებები დარღვევების მიმართ, რომელიც შეიძლება იქ არის და კიდევაც იქნება და ასევე მათ მოგვაწოდონ ინფორმაცია, თუ როგორ აწარმოებენ თავიანთ ფუნქციას და როგორ ასრულებენ თავიანთ ფუნქციას, წესრიგი რომ იყოს, ჩემის აზრით. გმადლობთ.

რ. ბერიძე. ბატონებო, სანამ სარედაქციო დადგენილებაზე დაჯიშვებულთ მუშაობას, მე გთხოვდით რამოდენიმე წინადადების შესახებ თანხმობას. ბატონი თამაზ დიასამიძის, ბატონი აკაკი ასათიანის და ბატონი ლევან მამალაძის წინადადება მე მგონი შეიძლება ერთად გაერთიანდეს დროის ფაქტორის შესახებ და ჩავწეროთ, რომ ყოველ პარასკევს იქნება მოსმენილი ინფორმაცია ამ დადგენილების შესრულების შესახებ. მე მგონი, თანახმანი ბრძანდებით ამასზე. ეს ერთი. შემდეგ მე-2: რაც ბრძანა ბატონმა შალვა ნათელაშვილმა, „ლტოლვილის“, „ადგილგადაანაცვლებულის“ და „ხიზანის“ შესახებ. აი იქნებ შევთანხმდეთ. სიტყვა „ლტოლვილი“ ქართულში, ჩემი აზრით, შეიცავს იმ შინაარსსაც, რომლითაც ჩვენ მას ვხმარობთ, მაგრამ, საერთაშორისო სამართალში მე მგონი ქართული სიტყვა ლტოლვილი არ არის. მე ასე მეჩვენება, ჩემს აზრს გეუბნებით, არის უფრო ფართო შინაარსის, ფართო გაგებით და იმ მომენტსაც შეიცავს, რაც ახლა ხდება. ნუ, არ ვიცი, ვიმსჯელოთ.

კამათი დარბაზში.

რომელსაც მსოფლიოში გავაგზავნით თუ რუსულად გავაგზავნით, ვიხმარო სიტყვას „ беженец “ დღე ქართველი ლტოლვილი უფრო ფართო მტნებაა, ვიდრე რუსული სიტყვა „ беженец “. მეც მაგას გეუბნებით, ქართული სიტყვა ლტოლვილი თავის თავში შეიცავს იმას, რასაც „перемещенные лица“ უწოდებენ რუსები და რაც არის

„беженец“.

ე. შევარდნაძე. ერთი განმარტებისათვის: შეიძლება სხვა გამოთქმა მოიძენნოს და შეიძლება თქვენ მართალი ბრძანდებით, მაგრამ, იხილება ახლა საკითხი, რომ ლტოლვილმა უმაღლესი კომისრის წარმომადგენლები სპეციალურად ჩამოვიდნენ საქართველოში. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ შეიძლება სერიოზული დახმარება მივიღოთ, ვერ გეტყვით ახლა, რამდენი იქნება ეს და რამდენად მნიშვნელოვანი, მაგრამ ეს ის ორგანიზაციაა, რომელსაც საკმაოდ სახსრები გააჩნია ლტოლვილთა პრობლემის გადასაწყვეტად, ფინანსური ბაჟის სახით. ამიტომ იქნება არ იყოს იმდენად ეს სადაო და საკამათო. თუ რაღაცას მიიღებ საერთაშორისო ორგანიზაციებში, „ლტოლვილს“ ვიხმარო იქ თუ „ადგილგადაანაცვლებულებს“, ამას არც ისეთი მნიშვნელობა არ ექნება და აქ ჩვენთვის ფინანსური დახმარებისათვის მიღებული დახმარებისათვის აქვს გარკვეული მნიშვნელობა. აი ეს, თუ გაითვალისწინებთ.

თავმჯდომარე. მე-6, მე-5.

რ. წერეთელი. ბატონო ედუარდ, დაბლა, პარლამენტის შესასვლელთან იცდიან მანდილოსნები, რომლებსაც შვილები და ძმები ჰყავთ დაკარგული აფხაზეთში და მთხოვენ, რომ თუ თქვენ გექნებათ საშუალება, ისინი მიიღოთ. ეს ერთი საკითხი. მე-2. რომ დადგენილება მივიღოთ, ალბათ უნდა გავვეცნოთ, თუ მაგალითად, მე ვერ წავიკითხე ეს დადგენილება, როგორ მივიღო და რატომ მივიღო. პასუხისმგებლობაა. მე-3 საკითხი, მე რა უნდა მეთქვა: არსებობს



თავისი მნიშვნელობით სტრატეგიული და გლობალური საკითხები, რომელთაგან
 პარლამენტმა აუცილებლად თავისი დადებითი ან უარყოფითი პოზიცია ერთ-
 მნიშვნელოვნად უნდა გასცეს, ე.ი. გვერდის ავლა, როგორც ვთქვამთ, პარ-
 ლამენტმა ჩვენ არ გავცვა პასუხი კონსტიტუციის საკითხზე და გვერდი აუბ-
 რა, ეს არ არის სწორი. ასეთი მნიშვნელოვანი საკითხი კონკრეტულია უაღ-
 რესად. მაგრამ კონკრეტულ საკითხებში ერთიანდება ყველა სხვა საკითხი.
 ის 70 წლიანი აგრესია საქართველოში გრძელდებოდა 21 წლიდან და რომელიც
 პირადად ჩვენთვის, რომლის ერთ-ერთი ლოკალური გამოვლინება იქნება მხო-
 ლოდ აფხაზეთი. იმიტომ რომ, რაც აფხაზეთში ხდება, არ არის გამორიცხული
 სამხრატლოშიც მოხდეს და ეს ჩვენი ღრმა რწმენით სათავეს იღებს 21 წლი-
 დან. ამიტომ ჩვენ როგორც გარკვეული ძალაუფლებების, შედარებით მცირე-
 რეწრიცხოვანი პარლამენტისაგან, პარლამენტის თავმჯდომარისაგან, ხელმძღ-
 ვანელობისაგან, რომ მოგვცეთ იმის საშუალება, რომ დღის წესრიგში შეიტა-
 ნოთ ეს საკითხი და გამოვიდეს მოხსენებით. იმიტომ, რომ ამ საკითხზე
 გვერდის ავლა არ შეიძლება. თუნდაც იმიტომ, რომ პარლამენტის არჩევას წინ
 უძღოდა ერთვინულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის სამწლიანი პერიოდი, რომ
 მეღმაც ყველა თქვენთაგანს მისცა იმის საშუალება, რომ თქვენ დღეს აქ
 ბრძანდებით. თორემ ეს მოძრაობა რომ არ ყოფილიყო, აქ არავითარი პარლა-
 მენტი არ იქნებოდა, ის იქნებოდა კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომი-
 ტეტი და რაღაც ამდაგვარი. გასაგებია, ეს ჩემი განცხადება შეიძლება
 ბევრს არ მოეწონოს, ამიტომ მე კატეგორიულად მოვითხოვ, რომ პარლამენტმა
 აუცილებლად რაც შეიძლება ახლო მომავალში ეს საკითხი შეიტანოს დღის
 წესრიგში და მოხსენების საშუალება მოგვცენ ჩვენ. იმიტომ, რომ ჩვენ ვართ
 ის ძალა, რომელიც 3 წლის მანძილზე თანამიმდევრულად და მიზანდასახულად
 მივყვებოდით და სხვა პარტიების მსგავსად პოზიციებს არ ვიცვლიდით. თუ
 ეს საშუალება არ მოგვეცემა, ჩვენ დავაფიქსირებთ უბრალოდ იმას, რომ
 ერთვინული დამოუკიდებლობის პარტიას არ შეეცა პარლამენტში გამოსულიყო
 იმ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც არის გლობალური, ყველაზე მნიშვნე-
 ლოვანი, ყველაზე კონკრეტული. და თუ რომ ეს საკითხი არ გადაწყდა, ლოკა-
 ლურად არც აფხაზეთის საკითხი მოგვარდება, არც სამხრატლოს საკითხი,
 საერთოდ არაფერი არ მოგვარდება ე.ი. საქართველოში. აი ამასთან დაკავ-
 შირებით გვანტერესებს პასუხი. მოგვეცემა თუ არა მოხსენებით გამოსვლის
 საშუალება. ჩვენ არ ვისარგებლებთ 30 წუთით, ვეცდებით, რომ 15 წუთში
 ჩავვეტოთ და არც კითხვით შეგაწყენთ თავს, როგორც ყოველთვის, გამოვალ
 ზეპირად და ძალიან ისე, ცოცხალ სიტუაციას შევქმნი პარლამენტში.



საქართველოს
ქრონიკა

თავმჯდომარე. ბატონო ირაკლი, რატომ ხდით ამას სადათად, ვინაშნაა
სტატუსის გიკრძალავს, მოხსენებების საშუალებას არ გაძლევთ თუ რა, მე ვინდა
რა, თქვენ კარგად იცით, რომ ყველა თქვენი მოძრაობისა და ბარკადების
დროს ერთ-ერთი წევრი მეც ვიყავი, ასე ვიქნები ყოველთვის და არაფერი არ
შეგვიცვლია ჩვენ, მოემზადეთ და რა ვინდა, გულშემატკივარი ვარ.

რ.წერეთელი. მე ვინადადებთ შემოვიტანე, ბატონო ვახტანგ.

თავმჯდომარე. კარგია-მეთქი, მე გეუბნებით, სადათ არ არის.

რ.წერეთელი. საჩქაროდ არის, იმიტომ, რომ მოლაპარაკება მიმდინარეობს
რუსეთთან, ჩვენ გვინტერესებს, რომ ამ მოლაპარაკების მიმართ განმეზხა-
ტოთ ჩვენი პოზიცია და პარლამენტს და ეს მოლაპარაკება მიმდინარეობს და
პოზიცია ხომ უნდა გამოვსატოთ, ეს საჩქარო საქმეა, იმიტომ ჩემი თხოვნაა,
რომ სვალინდელი დღის წესრიგში მაქსიმუმ წაგაშვებთ 20 წუთი, მეტს არა,
ისე გვეუბნის ნახევარი საათი.

თავმჯდომარე. სვალ არ გვაქვს სხდომა და...

რ.წერეთელი. რატომ იქნება, სამშაბათს გვიანდება, კარგი სამშაბათს
იყოს, შევიტანოთ დღის წესრიგში და ჩვენ გამოვალთ მოხსენებით, და საერ-
თად, აქ არის საკითხები, რომელზეც ჩვენთვის ფუნდამენტური საკითხია, რუ,
ჩვენ ყველა საკითხზე არ ვაწუხებთ ხომ, არც თქვენ ვაწუხებთ თავს, მაგრამ,
არ შეიძლება ახლა აგრესიის საკითხი, რომელიც განშაბათისუფლებელ მოძრაობის
დღის წესრიგშია, პარლამენტში ამას გვერდი არ უნდა აუაროს, შეიძლება
ჩვენი პოზიცია არ გაიზიაროთ, მაგრამ ეს უნდა დაფიქსირდეს, ჩვენ გარკვეუ-
ლი პროგრამით მოვედით ამ არჩევნებში და მცირე რიცხვით ამომრჩევლების
წინაშე, ამას რომ თავი დავანებოთ, პასუხისმგებელი ვართ, რა ვუთხარით,
ის უნდა შევუბნოთ, ეს ერთი უბედურებაა, რომ საერთოდ პარლამენტის წევრ-
თა უმრავლესობა, როგორც წინა უზენაესი საბჭოს დროს, ახლაც ავიწყდება, რომ
შეპირდნენ ამომრჩევლებს, ის გაუკეთონ, მაგრამ ჩვენ ხომ არ დავემსგავსებ-
ით ვართ, იმიტომ ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ ამ საკითხზე მოგვეცეთ
მოხსენებების საშუალება, და მე დარწმუნებული ვარ, რომ მოვიყვან
ისეთ არგუმენტებს და ისე ჩამოვაყალიბებ ჩემს პოზიციას, რომ პარლამენტი
ვერც სამართლებრივი, ვერც პოლიტიკური ფაქტობრივად არგუმენტს მისცემს
ჩვენი მოსაზრებების წინააღმდეგ ვერ მოიყვანს და გვინდა რომ ეს დაფიქ-
სირდეს.

რ.ბერიძე. ბატონებო, ცოტა უსამართლობაა ჩემს მიმართ, ბატონო ირაკლი,
თქვენი საყვედური, თუ ჩვენ გვინდა, პირველი საკითხი მოვიხმინოთ და დადგ-
ნილება მოვამზადოთ, მოდიეთ, მხოლოდ ამ საკითხზე ვილაპარაკოთ, რომ შემდეგ
დადგინებების პრეპტი შეადგინს შემდეგ მოსახერხებელი იყოს, რომ გადმოვიტოთ.

თავმჯდომარე. მე-5 და მე-6.

პ.კოდუაშვილი. ქალბატონო რუსუდან, როგორც კი რესპუბლიკაში დაიწყო ასეთი ქართველი მოსახლეობის გადანაცვლება ერთი კუთხიდან მე-2 კუთხეში, იმ წუთას დაიხვია საკითხი მათი სტატუსის შესახებ. რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა არაერთი ნორმატიული აქტი მიიღო ამის შესახებ და ლტოლვილები გაუთანაბრა ტერმინს, რომელიც მიანიჭა მან ასეთ ხალხს. ეს არის „იძულებით ადგილგადანაცვლებული პირები“. ასეთი ტერმინი ჩამოყალიბებულია და რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიღებული სხვადასხვა ნორმატიული აქტებით მათ მინიჭებული აქვთ ლტოლვილის საკითხი. ახლა რაც შეეხება ბატონი გიორგი ბარამიძის განცხადებასთან დაკავშირებით...

რ.ბერიძე. ე.ი. ვტოვებთ - ლტოლვილს.

პ.კოდუაშვილი. რა თქმა უნდა. არა „ადგილგადანაცვლებული“. დადგენილება არსებობდა, ბატონებო, მე გითხარით. ახლა ე.ი. ასეთი დადგენილება მიღებულია - მეთქი, რაც შეეხება ბატონ გიორგი ბარამიძის განცხადებას, მისი მოყვანილი განცხადება პრაქტიკული ხასიათისაა და პარლამენტის დადგენილებას იურიდიული სახე გააჩნია და ამასთან ის არ არის.

თავმჯდომარე. მე-6, მე-3, მე-2.

თ.სუმბათაშვილი. ჩემის აზრით, ეს არ იქნებოდა უპრიანი, რომ მხოლოდ ქალბატონ რუსუდანის მიმართ ყოფილიყო თქმული, როგორც წარმომადგენლისა, ამ დადგენილების, საერთოდ ეს უნდა იყოს, პარლამენტი დაინტერესებული უნდა იყოს და უფრო სწორად, მას მივმართავ როგორც თავმჯდომარეს და სპიკერს. საქმე იმაშია, რომ ასეთი დადგენილება, რომელიც დღეს ჩვენ უნდა მივიღოთ, უნდა იწყებოდეს იმით, რომ მითითებული უნდა იყოს, რომ მიმდინარეობს აფხაზეთში, რა არის ეს, როგორი ომია. ომს ყველანაირს აქვს განმარტება თავისი. ეს სპეციალისტებმა კარგად იციან და მე მგონია მონახავენ იმ სახელს, თუ რა მიმდინარეობს. განუწყვეტლივ პრესა და ტელევიზია ლაპარაკობს იმაზე, რომ მიდის სამამულო ომი, ჩვენ ამის შესახებ ვდუმვართ, სამამულო ომი ეს სამამულო ომია. ეს როგორც იურიდიული სახელია ომისა, ისე საყოველთაო-სახალხო, როდესაც უწოდებენ ამას ომს. მე გეკითხებით, რა ომი მიმდინარეობს, ვის ვეომებით ჩვენ. ვინ შემოვიდა, აი ეს ყველაფერი უნდა იყოს დადგენილებაში და უნდა შექონდეს კვალიფიკაცია მიცემული. სხვანაირად ამ დადგენილებას არავითარი ფასი არა აქვს. ეს შეუძლებელია. მე გეუბნევით, ნურც დღეს, ნურც ხვალ ნუ მივიღებთ ამ დადგენილებას, თუ იქ არ იქნება განმარტებული, რასთან გვაქვს საქმე, რა ომი მიმდინარეობს აფხაზეთში. ტყუილი ქაღალდი იქნება ეს დადგენილება

ამის გარეშე. როდესაც ჩვენ განვმარტავთ და ვიტყვით პარლამენტს, უზენაესი ორგანო, თუ რა მიმდინარეობს, შემდეგ უნდა შეიცვალოს მისად ქვეყანაში მდგომარეობა. თორემ გამოვა, რომ მხოლოდ უზრუნველყოფის კისერზე უნდა გადავიდეს ეს ამბავი, როდესაც ისინი ლაპარაკობენ, რომ საქართველოში ომია და საქართველოს მოსახლეობის ნაწილს და ზოგიერთ სხვა-სადაც ვერ გაუგია ეს. ეს განუწყვეტლივ ისმის. როგორ შეიძლება ეს დატოვოს პარლამენტმა რეაქციის გარეშე. რა ომი მიმდინარეობს საქართველოში, ჯერ ეს გადაწყვიტოთ და მერე მნიშვნელოვანი დადგენილება. რაც შეეხება ახლად კონკრეტულად ჩამოთვლა, რომელ სოფელს სჭირდება დახმარება და რომელი სოფლიდან უნდა გაიყვანონ დაზარალებული თუ არდაზარალებული, ტყვე და ა.შ. ყოველად შეუძლებელია ეს იყოს დადგენილებაში. ასეთი რადაცევი დადგენილებაში არ შედის და ვერც შევა, და ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ვინ-მე დარჩეს უყურადღებო ამ ფაქტების მიმართ. დადგენილებას, როგორც დადგენილებას, ფორმა აქვს და ეს ფორმა დაცული უნდა იქნეს და იგივე ვერ გადაიქცევა სტატიადა, ვერ გადაიქცევა მოწოდებად, ანდა რაღაცა ზოგად მიმართვად. იგივე უნდა იყოს დადგენილება და იგი უნდა იწყებოდეს აუცილებლად იმის განმარტებით, თუ რა მიმდინარეობს, იმიტომ, რომ გაითვალისწინეთ, რომ პარლამენტს არავითარი საბუთი ჯერჯერობით მიმდინარე პრობლემების გამო არ შეუქმნება. ეს არის პირველი საბუთი და პირველივე საბუთში თუ ეს ნათქვამი არ იქნა, ეს იქნება უპასუხისმგებლობა, მეტი არაფერი.

რ. ბერძენიძე. ბატონო თემურ, ეტყობა, თქვენ არ მოუსმინეთ სათაურს ამ დადგენილების. დადგენილება ეხება საქართველოს სახელმწიფოს მეთაურის ბატონ ედუარდ შევარდნაძის ინფორმაციის გამო.

თ. სუმბათაშვილი. სწორი არ არის. პარლამენტის თავმჯდომარის ინფორმაციის გამო დადგენილება უნდა მიღებულ იქნეს მას შემდეგ, რასაც პარლამენტი გადაწყვიტავს მის თავმჯდომარეს და მეთაურთან ერთად, თუ რასთან ვაპქვს საქმე და რა მიმდინარეობს. არ შეიძლება, არ იცოდეს სახელმწიფოს მეთაურმა და პარლამენტმა, რა ხდება საქართველოში და მერე გააკეთოს ინფორმაცია და მერე დადგენილება. ჯერ უნდა იყოს ეს, დადგენილება, რომელზეც მე მოგახსენეთ. შეიძლება ეს იყოს ცალკე დადგენილება, მაგრამ ჯერ ის უნდა იყოს. ბოლოსდაბოლოს, პარლამენტმა და ხელისუფლების მეთაურმა ან უნდა გამოაცხადოს ომი საქართველოში, ან არ უნდა გამოაცხადოს. ვისთან ვომობთ, მე თქვენ გეკითხებით. არავითარი ომი ჩვენ არ გამოგვიცხადებია. ვისთან ვომობთ. ან ეს არის უბრალო შეტაკება რაზმების, ან ეს არის ეთნოკონფლიქტი ან ეს არის უცხო ქვეყნის აგრესია და ან რაღაცა არის, და რა არის, ჯერ ამაზე ვილაპარაკოთ. თორემ, ვინ ვის ესროლა და რამდენი ტყვე გაიცივალა, ეს სხვა ამბებია. ეს სულ სხვა მოვლენებია, იბომბება თუ არა სოხუმი, სო-

ხუმში არის ბენზინი თუ არა, ეს აბსოლუტურად სხვა საქმეებია. რა ხდება სოხუმში და რა ხდება აფხაზეთის ტერიტორიაზე. აი, ეს არის პარტიზანული და ხელისუფლების მეთაურის პირველი საქმე. ამის გვერდზე ავლა არ შეიძლება და არავითარი დადგენილების, მე თქვენ გეუბნევით, არ შეიძლება. ჯერ პირველად ეს დადგენილება უნდა იყოს. აი, ეს არის ჩემი დრამა რწმენა.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

თ. გამყრელიძე. ბატონო, მე მიინდა ორიოდე სიტყვა მოვახსენოთ ამ დადგენილების თაობაზე და ერთგვარად რაღაც დამატება შევიტანო მასში. აქ იყო ლაპარაკი ლტოლვილების შესახებ და იმ სიტუაციის შესახებ, რაც შეიქმნა აფხაზეთის გარკვეულ რეგიონებში, რომლებიც დროებით დაკავებული არის ახლა გარკვეული ძალების მიერ. აი ის, რაც ხდება ქართული მოსახლეობის მიმართ, უნდა დახასიათდეს როგორც ეთნიკური წმენდა იმ რეგიონებისა და ეს ტერმინი, რომელიც ძალიან დატვირთული არის საერთაშორისო თვალსაზრისით და გაეროს დადგენილებებშიაც არის წარმოდგენილი, არის მოცემული თავმჯდომარის მოხსენებაში, იგივე ტერმინი უნდა ფიგურირებდეს, რასაკვირველია, აი ამ დადგენილებაში.

რ. ბერიძე. რა ფორმით გვთავაზობთ ბატონო თამაზ?

თ. გამყრელიძე. ეთნიკური წმენდა უნდა იყოს, უნდა ფიგურირებდეს.

რ. ბერიძე. რა ფორმით?

თ. გამყრელიძე. აი, რომ მიმდინარეობს ოკუპირებულ ან დაკავებულ რეგიონებში მოსახლეობის ეთნიკური წმენდა.

შეკითხვა დარბაზიდან.

გენოციდი არ არის ეს. გენოციდი სულ სხვა რამ არის. გენოციდზე ლაპარაკი არ შეიძლება ქართული მოსახლეობის მიმართ, მაგრამ ეთნიკური წმენდის შესახებ, რაც იყო, ეს არის ტერმინი საყოველთაოდ გავრცელებული და ძალიან დატვირთული შინაარსობრივად და იყო ნახმარი ბატონი ედუარდის მოხსენებაში.

რ. ბერიძე. ბატონო თამაზ, დიდი ბოდიში, ვასაგებია ბატონო თამაზ, მაგრამ დადგენილებაში ხომ არ ჩავწერთ, მიმდინარეობს ეთნიკური წმენდა. აი რა კონტექსტში ჩავწერთ თვითონ დადგენილების ფორმა.

ეს რაღაცნაირად უნდა გაფორმდეს ეს კონტექსტი.

შინაარსი რა იყოს. თქვენი წინადადების შინაარსი ჩამაწერინეთ.

თ. გამყრელიძე. „რომ მიმდინარეობს ეთნიკური წმენდა,“ **ЭТНИЧЕСКАЯ**

ЧИСТКА“არის ასეთი.

რ. ბერიძე. ვასაგებია, მე რე რა, ეს ხომ ფაქტის კონსტატაციაა. რა მოყვებს დადგენილებაში ამ ფაქტის კონსტატაციას. თქვენი წინადადების გაგრძელება.

თ. გამყრელიძე. რა უნდა მოყვებს, ჩვენ უნდა, აი ისე, რომ აღვნიშნავთ რომ ლტოლვილები არსებობენ და რა სიტუაცია შეიქმნა იქ, აი იმასთან დაკავ

შირებით უნდა იქნეს აღბათ, კონსტატაცია უკვე ძალიან მნიშვნელოვანი არის და დადგენილება რას შეიცავს, ეს უკვე შეიძლება დამატებით იქნეს ფორმულირებული.

თავმჯდომარე. მე-2 მიკროფონი.

გ. ნიკოლაიშვილი. ჩემი წინადადება არის, აი, ეს ტერმინი და ეს მოვლენა, რომელიც ხდება, უნდა იყოს კვალიფიცირებული, როგორც ეთნიკური წმენდა.

თავ-ბე-მე-2 მიკროფონი.

გ. ნიკოლაიშვილი. გელა ნიკოლაიშვილი, ილია ჭავჭავაძის საზოგადოება. ჩვენის აზრით, დადგენილების პროექტში, დადგენილებაში აუცილებლად უნდა გაეხდეს საზი იმ გარემოებას, რომ კონფლიქტის ზონაში მადესტაბილიზებულ ფაქტორს წარმოადგენს რუსეთის ჯარის ყოფნა, და უნდა დაევალოს ვინმეს, ნუ, ეს სარედაქციო ამბავია, რომ მიიღოს დონისძიებები, რათა დარქარდეს რუსეთის არმიის გაყვანა კონფლიქტის ზონიდან, როდესაც ჩვენ წინა სხდომაზე დავაყენეთ ეს საკითხი, იოქვა ის, რომ არავითარი ნოტები და არავითარი მიმართვები რუსეთის შეადგრობისადმი ამ საკითხზე საქმეს არ უშველის და მოყვანილი იქნა ჩინეთის მიერ 495-ჯერ დაყენებული ნოტა ამერიკისადმი და ა.შ. ეს გასაგებია და დღეს შეიძლება იგივე არგუმენტები მოყვანილი იქნას, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა აუცილებლად უნდა დააფიქსიროს ის ფაქტი, რომ მას რუსეთის ნაწილების ყოფნა კონფლიქტის ზონაში შეიძლება მადესტაბილიზებულ ფაქტორად, გმადლობთ.

თავმჯდომარე. მე-3.

რ. ბერძენი. ბატონო გურამ, მე მგონი გადის უკვე ეს ჯარები დაგვიანებული არ იქნება დადგენილების შეტანა - ეს ერთი და ზომიერებაზე ჩვენ თვითონ ვვსვებებით, იყოს ეს ჯარები, იმიტომ რომ, სხვა გზა არა გვაქვს.

თავმჯდომარე. კარგი, ზოდიშს ვიხდი, ბატონი ელუარდი გვეტყვის ამ საკითხზე მოსაზრებას და იქნებ ბატონო გურამ, აუცილებელია...

რ. შავიშვილი. ერთი, მსვლელობასთან დაკავშირებით, ბატონო ვახტანგ, რევაზ შავიშვილი, იქნება მივიღოთ წინადადება, რომელიც აქ იყო. აი ასე ჩვენ ვხარჯავთ უამრავ დროს და ამსოფლებურად არაფერი ვხარჯავთ, ასე მუშაობა არ შეიძლება. არის სამდივნო, თუ გნებავთ, შევქმნათ სარედაქციო კომისია, ნებისმიერი შემთხვევისთვის ერთი კომისია, აქ არის უამრავი წინადადებები, ვინც არის ამ საკითხით დაინტერესებული და მე ვიცი, რომ ძალიან ზევია, გადასცენ ამ სარედაქციო კომისიას თავისი წერილობითი წინადადებები, ამის მიხედვით შეიქმნას დადგენილების პროექტი და მერე აქ ოდნავი სწორება დაგვ-

თავისი მოსაზრებები. ეს აუცილებელია. კიდევ ერთი დაზუსტება. მთავარი მოვადგიანე მასალა არის-მეტეი, რომ ვთქვი, მეორე მასალად ნუ ჩივიან? ვთქვი, მოხსენება არ არის-მეტეი, მოხსენება იყო. მე გკითხეთ თქვენ, შეიძლება თუ არა ეს ავიღოთ საფუძვლად იმისათვის, რომ შევქმნათ საპარლამენტო დოკუმენტი. წინააღმდეგობა არავის გაუწევია მაშინ. ითქვა, რომ, საფუძვლად შეიძლება ავიღოთ. იქ არის, შეიძლება ვერ დაიმახსოვროთ იმიტომ, რომ, ვრცელი იყო ეს მოხსენება და ეს გამოხატვა, ყველა ფრაზას ვერ დაიმახსოვრებ. რაკონფლიქტია ესა. რა სასიკეთის არის, როგორ წარმოიშვა. ისტორიული ექსკურსი დღევანდელი მდგომარეობა, ერთგვარი ცდა მოწესრიგებისა, — ეს ყველაფერი ზედ-მოცემული იყო აქ. თუ უვარგისია, შევცვლით. აი, იმიტომ გთხოვთ, ეს კომისია დაუყოვნებლივ შეიქმნას, დღის ბოლოს ეს წინადადება შემოვიტანოთ და დავა-ლოს ამ კომისიას, რომ მოხსენებელთან ერთად ან ინფორმატორთან ერთად დაამუშაოს ეს მასალა ისეთნაირად, რომელშიც იქნება შეფასებებიც, როგორც საბის კონფლიქტია ეს, როგორ წარმოიშვა, რა პირობებიცაა დღეს ჩვენ წინაშე და რა გზებია მოგვარებისა. აი, ასეთი საპარლამენტო დოკუმენტი როცა მზად იქ-ნება, მაშინ ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ დღევანდელი მდგომარეობის, სახელმწიფოებთანაც, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და ა.შ. ასეთი ერთი ფუძემდებლური დო-კუმენტი უნდა არსებობდეს. აი, იმ დადგენილებაში, თქვენ რომ გვთავაზობთ, ბატონო სუმბათაშვილი, რომ, ახლა ამ დადგენილებაში ეს ყველაფერი შეფასება, სამამულო ომია ეს, კონფლიქტია, ეთნოკონფლიქტია თუ სხვა არის, მე გეუბნე-ბით, დღეს ვიდავოთ 24 საათი და არაფერი არ გამოვა დღეს. ეს უნდა იყოს ალბათ ჩადებული იმ მოხსენებაში, იმ ანალიზთან ერთად, იმ შეფასებასთან ერთად, რომელიც გამოითქვა და რომელიც მიუღებელია, მაშინ ერთად მოვქმნოთ ზუსტი ფორმულები, ზუსტი შეფასებები. მე ვგონია, თუ ასეთი დოკუმენტი არ იქნება მიღებული, ისე ეს დავა გაუთავებელი იქნება.

წ.სუმბათაშვილი. მე შემიძლება წინადადება, სწორედ თქვენნი მოხსენების საფუძველზე, თუ შეიძლება წინადადება, კი, განმარტება იყოს.

გ.შევარდნაძე. ვეთანხმებით.

ფ.სუმბათაშვილი. ეს განმარტება არის აუცილებელი.

გ.შევარდნაძე. ვეთანხმებით. ახლა რაც შეეხება რუსეთის ნაწილების გაყვანასთან დაკავშირებით, თუ ერთმანეთს ყურს არ დავუდგებთ, ისე არაფერი არ გამოვა. არავინ წინააღმდეგობა არ არის და არც მე ვათ შორის, გავიყვანოთ ის ნაწილები, რომელთა გაყვანა დღეს შესაძლებელია. ამას წინათ მეც და ბატონმა თენგიზ სიგუამაც მოგახსენათ თქვენ, რომ ასეთი მოლაპარაკება დაიწყო. 20 რიცხვიდან ნაწილების გაყვანა მიმდინარეობს. იქ ყველაზე რთული პირობებია იყო ლაპარაკობა, ვუშინ გენერალმა კამკამიძემ, რომელიც დაინიშ-ნა პირველ მოადგილედ, სათანადო კონკაქტები დაამყარა რუსეთის თავდაცვის



სამინისტროს შესაბამის ხელმძღვანელებთან, რომ ლაბორატორიის საკვანძო
 თითქოს გვარდება, წყდება. ეს პროცესი მიმდინარეობს, შეიძლება
 ფორმულა, ასეთი ჩანაწერი, ჩანაწერზე ვილაპარაკოთ, რომ დაჩქარდეს
 იმ ნაწილების გაყვანა აფხაზეთიდან, რომელთა გაყვანა შესაძლებელია ან
 აუცილებელია, ან რომელთაც გარკვეული დესტაბილიზაცია შეაქვთ აფხაზეთის
 მდგომარეობაში. მაგრამ, მე ვაცხადებ მთელი პასუხისმგებლობით, ჩვენ
 რომ დავაყენოთ დღეს ყველა ნაწილის გაყვანის საკითხი, სვალ ბომბორას
 აეროდრომი გახდება № 1 პრობლემა და იქ ვერც ერთი ამოცანა, რომელსაც
 ჩვენ ვაყენებთ, ვერ გადაწყდება. ჩვენ თვითონ მივეცით თანხმობა. თუ
 გნებავთ, გამასამართლეთ ამისათვის. მივეცით თანხმობა მას შემდეგ, რაც
 აფხაზეთმა დაიკავეს ის აეროდრომი და ხელში ჩაიგდეს იარაღი, ჩვენ მივე-
 ცით თანხმობა შემოსულიყო ეს ნაწილი, რომელიც ამას დაიკავებდა. ეს არის
 საშაერო თავდაცვის შესაბამისი ნაწილები და რომელიც გარანტიას იძლევა
 რომ სხვა თვითფრინავები, უცხოეთის თვითფრინავები არ შემოვლენ და ამა-
 ვე დროს არ გამოიყენებენ. თუ თქვენ გინდათ, რომ ამ ნაწილზე მივიღოთ
 დადგენილება, მივიღოთ, მაგრამ აგის პასუხი, რაც მოხდება ამაზე, იმ პი-
 როვნებამ, ვისაც ეს წინადადება შემოაქვთ.

შეკითხვა დარბაზიდან (განიკოლაიშვილი, ი.წერეთელი)

ე.შევარდნაძე. კაცო, თქვენ ლაპარაკობთ ერთ და ორ ფაქტზე და 150
 თვითფრინავი რომ შემოგვსება, მაგაზე ვინ არის პასუხისმგებელი, 150
 ცალი, რომელიც გააჩნია ბატონ ღუდაევს.

კამათი დარბაზში.

იცით, რა ვითხრათ? როცა ასეთ საკითხებს ვიხილავთ, პასუხისმგებლობა
 ყველას გვჭირდება. მე მაპატიეთ. მე მინდა დავუშვა, რომ ბატონი ღუდაე-
 ვი სვალ გასცემს განკარგულებას და ის თვითფრინავები საქართველოს
 დაარტყამს. არ მინდა, ეს დავუშვა. მე ისიც ვთქვი, რომ მზადა ვარ
 დავიწყოთ მოლაპარაკება ბატონ ღუდაევთან, და დღეს, სხვათა შორის, ასე-
 თი რაღაც იყო, რომ ბატონ ასლან ბეკოევის აქვს სურვილი შეხვდეს საქარ-
 ველოს ხელმძღვანელობას ან მის წარმომადგენელს. შეიძლება ამაზეც წავი-
 დეთ, მაგრამ, მე არაერთხელ განვაცხადე, ჩვენ არ შეგვიძლია უპასუხისმ-
 გებლო ხალხი ვიქნეთ, ანგარიში არ გავუწიოთ იმას, რომ თბილისი და სა-
 ქართველო გამოცხადდა უბედურების ზონად. ეს მართო გამოცხადებაა, თუ
 ჩვენ...

შეკითხვა დარბაზიდან (ალბათ, ბორის კაკუბავა)

.... ნუ, მე მაშინ არაფერი მაქვს სალაპარაკო და რაც გნებავთ, ის
 ჩაწერეთ.

თავმჯდომარე. ბატონო ბორის, ძალიან ვთხოვთ, დაბრძანდეთ, მე-4
 მიკროფონი. კამათი დარბაზში).




ბ. ასათიანი.

ერთი წუთი, ბატონო ირაკლი. მე ვფიქრობ, დადგენილება ფრ უნდა, ... რაც ჩვენ მოვაწყვეთ აქ. დადგენილება ეს არის მოხსენების გამო, თუ ამ მოხსენების საფუძველზე ჩვენ ვაპირებთ სადღაც დოკუმენტის გაგზავნას, რა გვიშლის ხელს. ერთი დღე, სამშაბათს, ხუთშაბათი ხომ არის ჩვეულებრივი პლენარული, მოვანდომოთ, რაც კამათი იქნება, საბჭო, მინისტრთა კაბინეტი და ა.შ. და ოთხშაბათს მოვიდეთ, ნუ დავიზარებთ. შევიკრიბოთ, დაგვირიგდეს ტექსტი იმ მოხსენებისა, პროექტის სახით, რომელიც უნდა მივიღოთ, წავიკითხოთ, მოვიდეთ, წავიკითხოთ ყველამ ჩვენ-ჩვენი მოხსენებები, ვიდაოთ, მოვაწყვოთ გარკვეულ სხდომად. ოთხშაბათს, სერიოზულად და მივიღოთ სერიოზული კარგი დოკუმენტი. იქ გადავწყვიტოთ, ვის ვეომებით ჩვენ. მე ვეთანხმები ბატონ ირაკლის, ხომ, ვეთანხმები აბსოლუტურად. მე მიმარჩნია ბატონი ედუარდი, მე ასეთ შემთხვევაში ბოლომდე ვერ დავეთანხმები, რომ ახლა დუდავეს გადავაცოლოთ ჩვენ, რაღაც სტრატეგიული ინტერესები ვქონდეს, არ არის სწორი, მაგრამ აქვს არგუმენტები სერიოზული ბატონ ედუარდს. ეს არ არის ხელწამოსაკრავი ხომ. ბატონი ედუარდი ასე თვლის. ჩვენ ასე ვთვლით, ახლა დადგენილება არ არის საგანი, ჩემის ღრმა რწმენით. ჩვენ რომ ვწერთ, რომ რომელ სოფელში, ასე არ არის ეს საკითხი. მივიღოთ ეს დადგენილება აი ასეთი, როგორც არის, რაზეც შევთანხმდით, დაიბეჭდოს ეს. და დღის ბოლოს დაგვირიგდეს, ან მალე დაგვირიგდეს, რომ დღის ბოლოს წავიკითხოთ. დადგენილება დადგენილებაა. მოხსენების გამო რაც წერია, მე ვფიქრობ, აი ეგ არის, მეტი არაფერი. რა შეიძლება მოხსენების გამო მეტი მიიღო და გადავწყვიტოთ. იმ დოკუმენტზე ვიმუშაოთ, სერიოზულად, იქითა ოთხშაბათიდან. ჩვენ რომ დაგვირიგდეს, ვთქვათ, სამშაბათს, როცა მოვალთ პლენარულ სხდომაზე დილიდანვე პროექტი იმისა, ოთხშაბათს რომ შევიკრიბოთ, არაფერი პრობლემა არ იქნება. ყველას მზა პოზიცია გვაქვს ჩვენი. ის...

დაახლოებით ვიცით, გავეცნობით კიდევ ერთხელ და საფუძვლიანი, ყოველი ფრაქცია გამოვიდეს თითო კაცი, შევთანხმდეთ, რომ ვიმუშაოთ. დამოუკიდებელი დეპუტატებიდან, ვისაც სურვილი ექნება, გამოვიდეს და ვნახოთ როგორ იქნება. მოდი, შევთანხმდეთ ამაზე. ჩემი წინადადება არის. ბატონო ვახტანგ, უკაცრავად. ჩემი წინადადება არის, რომ აი ამ დადგენილებაზე შევწყვიტოთ რა, არასერიოზულია დადგენილების გამო ასეთი დებატების გამართვა. ეს დადგენილება დაგვირიგდეს შესვენების შემდეგ ან მალევე დაგვირიგდეს, მე-2 შესვენებაზე და დღის ბოლოს მივიღოთ დადგენილება. მე რომ მკითხოთ, ახლაც შეიძლება ამის მიღება. არ არის ეს დადგენილება პრობლემა. შევთანხმდეთ, რომ ოთხშაბათს განვიხილოთ ის დოკუმენტი, რომელიც უნდა გავუგზავნოთ გაეროს. ასე ვქნათ, რა.

თავმჯდომარე. მე-6 მიკროფონი.



გ. მურაიძე. გურამ მურაიძე, სოციალ-დემოკრატიული პარტია. ბატონო ვახტანგ, მე ასეთი წინადადებით შემოვიდოდი, რომ იქნებ დახურულ საბჭოებში ჩვენ მოვისმინოთ საინფორმაციო-სადაზვერვო სამსახურის ხელმძღვანელის ინფორმაცია. დახურული იქნება, ბუნებრივია, თუ შიგნით სახავენი ჩვენი მეზობელი სახელმწიფოები საქართველოს მიმართ და იქნებ, ვთქვათ, ეს საყურადღებო აღმოჩნდეს ჩვენი კოლეგებისათვის. ეს ერთი. მე-2: ჩვენმა მეგობრებმა უნდა განასხვავონ ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა და დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის ბრძოლა. საერთოდ ეროვნულ მოძრაობას ევოლუცია ახასიათებს. შეიძლება ეროვნული ძალები ერთ ეტაპზე პროგრესულ პოზიციებზე იდგნენ; მაგრამ ვითარების შეცვლის შემდეგ ეს პროგრესული პოზიცია რეაქციულ პოზიციად შეიცვალოს და ამით საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას ხელი შეუშალოს.

თავმჯდომარე. მე-5.

გ. გოდერძიშვილი. დემუტატი გოდერძიშვილი. იცით, არ შეიძლება ადამიანი ვუნდერკინდი იყოს და ყველა საკითხში ერკვეოდეს ბრწყინვალედ. როდესაც ამა თუ იმ საკითხის ფაქტებისას მე ვხედავ, რომ დარბაზში სხედან ისეთი პირვნებები, რომლებიც ამ საკითხში ჩემზე კარგად ერკვევიან, მე თავს ვიკავებ ამ სიტყვაში გამოსვლისათვის, ვუსმენ მათ და ვეშაადები იმისათვის, გადაწყვეტილების მიღებისას რაზე ავწიო ხელი და რაზე არა. მე აქ არ ვიმსჯელებ იმაზე, რა არის ზღეფი და რა არის ბრეფი, იმიტომ, რომ ამაში კარგად ვერკვევი, მაგრამ ერთს კი ვხედავ—როდესაც საკითხი ეხება ჩვენი სამშობლოს, საქართველოში მცხოვრები ქართველი და არაქართველი მოსახლეობის ზედნიერ ან ცუდად ყოფნას, ან საერთოდ ყოფნა-არყოფნას, აი, ამ საკითხთან დამოკიდებულებაში ჩვენ გაცილებით სერიოზულები უნდა ვიყოთ და აი ასეთი გამოთქმისათვის, მაპატიეთ, ზღეფური მიდგომა ამ საქმისადმი არ უნდა გვქონდეს და ძალიან ვთხოვთ, მოვუსმინოთ ისეთ სერიოზულ და ისეთ ძალიან აუცილებელ მიმართებას, აი მთელი დარბაზისადმი, ბატონი სახელმწიფოს მეთაურისას, რომელიც მიმართულია იქითკენ, რომ ჩვენ გადავრჩეთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. ბარემ, მაშინ ბატონმა ნოდარმა გააგრძელოს. მე-5. ბოდბის ვინდი, თანმიმდევრობა ცოტა დავარდვიე.

ნ. ნათაძე. მე ვთხოვთ, რომ ყველა შემთხვევაში გავარჩიოთ ტაქტიკა ერთ მხრივ და ასე ვთქვათ, სამუდამო და პრინციპები მე-2 მხრივ. ტაქტიკა მოითხოვს ვიდაცის დატოვებას, ვიდაცის გაყვანას, მე-2 მომენტში, მე-3 მომენტში, მაგრამ ეს პრინციპებს არ ცვლის. პრინციპი ის გახლავთ, რომ რუსეთი ისეთი უცხოეთია ჩვენთვის, როგორც სხვა ნებისმიერი სახელმწიფო. რუსეთის თვითმფრინავი ისეთი უცხო თვითმფრინავია, როგორც ნებისმიერი სხვა. დღეს ზომბორას აეროდრომზე უცხო თვითმფრინავებია, რომლებიც შეიძლება ნე-

ბისმიერ მომენტში ჩვენს წინააღმდეგ წამოვიდნენ დასაბომბავად დასაბომბავად თუ უნდა თბილისის დაბომბვა, მას შეუძლია გადმოიფრინოს კავკასიონის ქედზე, სადმე ყაზბეგის მთებში. ამას, ვთქვათ, ვერავინ შეუშლის. არის ორად-ორი ფაქტორი, რომელიც რეალურია ჩვენს დაცვაში. ერთი ფაქტორი არის რუსის შავრსაწინააღმდეგო დაცვა— და რომელიც იმუშავებს ან საჩვენოდ, ან არ იმუშავებს— და მე-2 ფაქტორია ის, რომ ტერიტორია, რომელზეც დუდაევი იმყოფება, იურიდიულად არის რუსეთის ტერიტორია და იქიდან გადმოფრენილ თვითმფრინავზე რუსეთი აგებს პასუხს, მაშასადამე, იურიდიული მხარე პასუხისმგებლობის. მე მგონი, რომ ეს ჩვენი იურიდიული მხარე ყველა მომენტში მაქსიმალურად უნდა ვამუშაოთ. ყოველი გადმოლახვა ჩვენი საზღვრისა უნდა იყოს ფიქსირებული, ყოველი შეიარაღებული პიროვნების გადმოსვლა ჩვენს საზღვარზე უნდა იყოს ფიქსირებული, ყოველი ჩარევა რუსეთის ჩვენს საქმეში უნდა იყოს ფიქსირებული. ეს არის პრინციპი. დანარჩენი არის ტაქტიკა და ტაქტიკას ვინც უკეთ აწონ-დაწონოს, იმას დავუჯეროთ და ვენდოთ.

თავმჯდომარე. მე-4 მიკროფონი.

გ. სავთასი. გიორგი სავთასი, სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოება. ბატონო სპიკერო, მე მგონი, ჩვენ უნდა გავაკეთოთ, აი როგორც იყო თქმული, უნდა გავამრავლოთ ეს დადგენილების პროექტი, უნდა დავარჩიოთ და დღეს საღამოს იქნება თუ შემდეგ სხდომის დასაწყისში იქნება, უნდა განვიხილოთ ეს პროექტი, მაგრამ, მე არ მიმაჩნია, რომ ამ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით ასეთი მწარე დებატების გამართვა იყო აუცილებელი და თუ კი ასეთი დაწვრილებით ვაპირებთ ამ საკითხის განხილვას, მე მგონი, მანამდე კონსულტაციები უნდა ჩავატაროთ ერთმანეთთან და გზები უნდა მოვიძებნოთ, როგორ გამოვიდეს მთლიანად მთელი საქართველო ამ მდგომარეობიდან. ახლა ჩვენ რა ვამოგვდის. ჩვენ ყველაფერს ვამზობთ დიად, ე.ი. რაც კი ასეთი მომენტები იყო, ყველაფერს ვამზობთ მთელი მსოფლიოს გასაგონად. მე მგონი, ეს არ არის სწორი ტაქტიკა. ამიტომ, ე.ი. ვუბრუნდები, აი იმ წინადადებას ვუბრუნდები და მინდა ვთქვა პასუხისმგებლობის შესახებ. თუ ვინმეს მგონია, აქ არის ასეთი ტენდენცია, რომ პარლამენტის წევრებს პასუხისმგებლობა არ აქვთ, ძალიან ცდება.

თავმჯდომარე. მე-3 და მეორე მე-2. იქნებ შევწყვიტოთ კამათი და რაღაც ჩამოვავალიბოთ მიმართულება.

თ. დიხამინჯია. მე მთლიანად ვიზიარებ ბატონი ნოდარის გამოთქმულ, ასე ვთქვათ, პოზიციებს და მის, ასე ვთქვათ, პოლიტიკურ შეხედულებებს. უპირველესად რუსეთი არის პასუხისმგებელი იმაზე, თუ დუდაევს ნებას მისცემენ



და გადმოლახავს მისი სომალდები კავკასიონის საზღვარს. რაც შეეხება შანიზმთან მიმართებაში, მის ოდიოზურ ფიგურასთან მიმართებაში ერთი დეტალი მინდა გაგახსენოთ, რომ რამოდენიმე ხნის განმავლობაში ეს ადამიანი გუდაუთაში იყო და იქიდან ხელმძღვანელობდა ელემენტალურად იმ ოპერაციებს, რომელიც საქართველოს წინააღმდეგ იყო მიმართული. აგრეთვე ერთი მნიშვნელოვანი ეპიზოდიც მინდა გაგახსენოთ: როდესაც ბატონი ედუარდ შივარდნაძე ნიუ-იორკში გამოდიოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მაღალი ტრიბუნლიდან, სწორედ მაგ პერიოდისთვის ბატონი შანიზმი იყო დაპატიმრებული და ის მაშინვე გაათავისუფლეს, როდესაც ბატონმა ედუარდმა დასტოვა ეს მაღალი ტრიბუნა. აქედან გამომდინარე, იმის დასკვნა შეიძლება, რომ რუსეთის რეაქციული მხარეები ითვალისწინებენ რა ბატონი ედუარდის მაღალ პოლიტიკურ ავტორიტეტს პოლიტიკურ წრეებში. იმის და მიხედვით არეგულირებენ საქმეს, როგორც ამას პოლიტიკური ვითარება მოითხოვს, აი, ამ ფაქტიდანაც ჩანს. თავიდან ბოლომდე ვეთანხმები ბატონ ედუარდს იმის ასპექტში, როდესაც იგი ამბობს, რომ სრული პასუხისმგებლობა უნდა გამოვიჩინოთ, როდესაც ისეთ გადაწყვეტულ პოლიტიკურ ნაბიჯებს ვდგამთ. ამ თვალსაზრისით ეს ზემოთ აღნიშნული ფაქტებით, მე მგონი, უნდა გავითვალისწინოთ და ვინ რამდენჯერ დაბრუნდება, ასე ვთქვათ, დაპირებული მოლაპარაკება; ესეც აუცილებლად გათვალისწინებული უნდა იქნას. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-2.

გ.ნიკოლაიშვილი. მე, უბრალოდ, აღბათ, გავაგრძელებ მხოლოდ ამას და დავძენ, რომ როდესაც ვლაპარაკობთ პასუხისმგებლობაზე, რა თქმა უნდა, ყოველი ჩვენთაგანი უნდა ვრძნობდეს ამას, მაგრამ ჩვენ მაშინაც ვაგებთ პასუხს, როდესაც, დავუშვათ, იმ ბომბორას აეროპორტზე ვაძლევეთ საშუალებას და უფლებას რუსის ჯარს შემოსვლისას და აქედან შემდეგ, თუნდაც იმ ცალკეულ შემთხვევებში, ფრინდება თვითმფრინავი და ბომბავს ჩვენს პოზიციებს. აი, ეს პასუხისმგებლობაც ხომ არის, და აი ეს მინდა, და როცა დარღვევებზეა ლაპარაკი, იგივე 3 სექტემბრის ხელშეკრულება და შემდეგ

მრავალი ასეთი დარღვევა, ესეც, აკი ვიმეორებ, შეიძლება, მაგრამ მიძლია არ გავიმეორო, - აუცილებლად უნდა იქნეს დაფიქსირებული, ენდო ვინმეს და ან ხელი მიაწერო ამ სიტყვაზე, ასე არ გამოდის, როგორც ვხედავ.

თავმჯდომარე, ერთი, რივი მინდა დავარღვიო ბატონ ჯაბას-მთვრესმინათ.
ფ. იოსელიანი, ბატონო თავმჯდომარე, პატივცემულო დეპუტატებო, მე არ ვიცნობ არც მოხსენებას და არც ე. ი. ტექსტს, მაგრამ მე დღეს დავუბრუნდები და ალბათ მექნება შესაძლებლობა განვიხილო და რაღაც მონაწილეობა მივიღო, მაგრამ აი ამ გამომხსენებლის სიტყვებიდან გამომდინარე, მე რაღაც მაქვს, ერთი-ორი სიტყვა საქმელი, მაქვს ის არის, რომ ჩვენ უნდა მივიღოთ ალბათ ისეთი დოკუმენტი, რომელიც დაეხმარება აი ამ აფხაზეთის საკითხის გადაწყვეტას. აქედან ე. ი. უნდა მოხდეს ისეთი დოკუმენტის მიღება, რომელიც გაითვალისწინებს რეალურ ვითარებას და ეს მოძველებული რაღაც პოსტულატები, რომელსაც აკვირებულად გვაქვს, ზოგს კიდევ ე. ი. ინერციით მოხდევს, მე ვფიქრობ, უნდა იყოს გათვალისწინებული იმ მხრივ, რომ, აი უნდა ვიფიქროთ, რომ რუსეთი ის რუსეთი აღარ არის, რას ნიშნავს ეს. შეიძლება მას შექონდეს იგივე ინტერესები, მაგრამ ძალა აღარა აქვს მას, ჩვენ იმას ვამბობთ, იმის თაობაზე ვლაპარაკობთ, რომ რუსეთი ე. ი. პასუხისმგებელია და რამე, კი, ჩვენ შეგვიძლია დავაყენოთ საკითხი, მაგრამ ფაქტი დავინახეთ, რომ რუსეთი დაუპირისპირდა ჩვენებს საომარ ვითარებაშიც და დათმობაზე კი წავიდა და იქ გაიყიდნენ. გამოვიდნენ იქ საზღვრებში, მოხდებოდა ეს ერთი 5-6 წლის წინათ? 5-10 წლის წინათ? ჩვენ ახლა 10 წლის წინანდელი პოსტულატებით უნდა შევაფასოთ დღევანდელი ვითარება? შეიძლება ძალიანაც უნდა რუსეთს ის, რომ ჩვენ ახლა აქ ბევრს არ ვლაპარაკობდეთ, მაგრამ შეუძლია ეს გააკეთოს? არ შეუძლია. აქედან გამომდინარე და ის თვითმფრინავებიც, რომლებიც აღიან და რომლებიც ბომბავენ, ის, იციოთ, ცალკეული დაქირავებული პირებიც არიან. თითო ე. ი. გაფრენაში ის ვიდაც იყიდება და ვიდაც ყიდულობს იმას და რაღაც ხდება და სულ სხვა პროცესებია და ამ პროცესებს უნდა კარგად ჩაკვირვება და დაკვირვება და არ შეიძლება ჩვენ ამ ტექსტში მივიღოთ ისევე ძველი ამბებით, თუმცა არ შეიძლება ისიც უარვყოთ, რომ რომელიღაც ძალებს უნდათ ამის გაკეთება და რაღაც.

მხოლოდ პირდაპირი ასეთი რაღაცა სპონტანური გამოცხადებები, ეს არის დონკინოტობა და მეტი არაფერი. მე ასე მიმაჩნია, რომ ჩვენ დავიწყეთ ისევე ის მიტინგური ვარდინით, რომ ძირს ბუში და გაუმარჯოს იმას, ეს არის თამაში და მეტი არაფერი. ჩვენ უნდა ვიცოდეთ, რომ ძალიან სერიოზულ პრობლემასთანა გვაქვს საქმე. ეს პრობლემა არ არის მარტო, რომ აქ სხვა, ჩვენი სულ სხვანაირი პრობლემაა. ჩვენ ჯერ ის უნდა გადავწყვიტოთ, ჩვენ შევძლებთ თუ არა იმ ხალხთან ცხოვრებას. გვინდა თუ არა ეს და თუ რა იქნება შემდეგ, თუ ჩვენ დავადგებით აი იმ ეთნოწმენდის გზას, ისევე, როგორც არის თავის რაიონებ-


ში. და ეს ყველაფერი ასახული უნდა იყოს ამ დოკუმენტებში. ბატონო ანდრეასის ტერმინი ეს არის საერთაშორისო და ეს უნდა შევიდეს იქ აუტორიტეტულად და უნდა. ეს ახალი კატეგორიაა, ეს არის გამოცდილება აზერბაიჯანის, სომხეთის გამოცდილებაზე და სხვა გამოცდილებაზე დაყრდნობილი და მას უკვე სათანადო რეაქცია აქვს საერთაშორისო ე.ი. წრეებში. ამიტომ ეს უნდა იყოს შეტანილი, მე ვფიქრობ, ამ დოკუმენტში და ეს ახალი ვითარებაა საერთოდ საერთაშორისო ამბავში და აი, გენოციდის მოსაზღვრე ამბებია. ჩვენ რომ ასევე დავიწყეთ, ჩვენ გენოციდს დავვწამებენ, ამიტომ ეს სხვა ვითარებაა და ყველაფერი გათვალისწინებული უნდა იყოს და დოკუმენტი უნდა იყოს მიღებული, აქ პრეტენზიული არაფერია იმისათვის, რომ საკითხი იყოს. მოვეხმარეთ იმ ხალხს, ვინც მართლა რადიკალს ფიქრობს, აკეთებს, ბრძოლობს თუ რაც არის, ყოველ შემთხვევაში, რომ პარლამენტმა მიიღოს მონაწილეობა ამ პროცესში, რითაც შეუძლია. და ამით შეუძლია არა რადიკ სხვა, ცოტა დაკვირვებული და მოქნილი დოკუმენტის შექმნაში. გმადლობთ.

თავმჯდომარე. გმადლობთ. მე-6 და მე-3.

ი. წერეთელი. ჩვენ იმიტომ მოვითხოვდით და იმიტომ მოვითხოვთ ამ კონკრეტული საკითხის მიმართ ერთი საპარლამენტო სესიის მიძღვნას, რომელიც შეეხება საქართველოს ოკუპაციას... აგრესიას, რომ გვავინტერესებს გავიგოთ, რას წარმოადგენს და რა ორიენტაციის მატარებელია 11 ოქტომბერს არჩეული საქართველოს პარლამენტი. მე მიმაჩნია, რომ ისეთი აზროვნება, რომელიც იმას უშვებს, რომ ქართველი ერის მიერ პირდაპირ დაყენებული მოთხოვნა არ გვინდა რუსეთი, საქართველოს კატასტროფასთან მიიყვანს. არის აზროვნება რუსული ორიენტაციის მატარებელი, რომელსაც აქვს ერთადერთი მიზანი, ისტორიულად დამოუკიდებლობის გზაზე დაწინაურებული საქართველო ერთხელ და სამუდამოდ დატოვოს რუსეთის სამხედრო-სტრატეგიულ სივრცეში, ანუ საქართველო არ ჩამოყალიბდეს დამოუკიდებელ ქვეყნად. გურამ მურაიძისათვის, როგორც ჩანს, თურმე დამდგარა პროცესი საქართველოს დამოუკიდებლობის შენარჩუნებისა. მე მიმაჩნია, რომ არავითარი დამოუკიდებელი სახელმწიფო პრაქტიკულად საქართველო არ არის, იმიტომ, რომ, ჩვენ ვახორციელებთ ჩვენს კონტროლს უმნიშვნელოვანეს ქართულ რეგიონებში და ამის ერთადერთ მიზეზი არის სწორედ რუსული აგრესია. ამიტომ ჩვენ ამ საკითხს აუცილებლად დავაყენებთ და ამიტომ ვერ გავიგე აქ, რა ადეულებას იწვევს ეს საკითხი, მე არ მესმის. კი, ბატონო, მაშინ პარლამენტმა აიღოს, ჩვენ ავიღებთ პასუხისმგებლობას, თუ საკითხი ისე დადგება, რომ 20 საუკუნის 90-იან წლებში, სადაც ოკეანის თევზებიც კი შეტანილია წითელ წიგნში, რომ არაფერი დაემართოს, ერი დააყენებს თავისუფლებისათვის უკომპრომისო ბრძოლის იდეას და ამას შეეწირება, თუ ასეთი აზროვნებით სარგებლობს პარლამენტი, მაშინ მართლა ადარ ყოფილა, თუ ჩვენ



არ გვინდა რუსეთი და ამის გამო ჩვენ უნდა დავინგრეთ და ამისთვის
 დუდაევის გამო უნდა დავინგრეთ, მაშინ იმის ღირსნი ვართ, მართლაც
 ვიშალოთ და მაშინ რად გვინდა არსებობა. მე მიმაჩნია, რომ საქართველო
 დღეს არის რუსეთის ქვეშევრდომი ქვეყანა და ელემენტალურად ჩვენს თა-
 ბას, რომელმაც დაიწყო საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძ-
 რაობა, ეს მიზანი აქვს, რომ საქართველო არ იყოს რუსეთის ქვეშევრდომი
 და თუ ჩვენ ამის წინააღმდეგ ბრძოლას შევეწიწებით, არც ეს მიმაჩნია
 დიდ ტრაგედიადა. მე მიჩნევნია, ერთი საერთოდ არ არსებობდეს, ვიდრე
 მე-20 საუკუნეში იყოს ვიღაცის ქვეშევრდომი. ამიტომ მე მოვითხოვ კატე-
 გორიულად საქართველოს პარლამენტმა, ეს დღის წესრიგი რომ დამთავრდება,
 ერთი სესია მიუძღვნას, აქ არ არის ლაპარაკი ტაქტიკურ საკითხებზე, რომელიც
 ბატონმა ნოდარმა თქვა. მე იმას არ ვამბობ, ბოშობას აერთიანობ-
 დან გავიდეს თუ არა, საერთოდ, პარლამენტმა უნდა გააარკვიოს, საქართვე-
 ლო რომელ სტრატეგიულ სივრცეში უნდა იყოს: იმ სივრცეში, რომელსაც ჯერ
 კიდევ რუსეთის სტრატეგიული სივრცე უკავია, თუ იმ სივრცეში, რომელსაც
 სხვა სივრცე აქვია. და ის იღვას, რომელიც მოდის კახეთის მეფეებიდან,
 რომ რუსეთის გავლით წავიდეთ ევროპაში, იყო თავიდანვე განწირული იღვა.
 რუსეთის გავლით ჩვენ ევროპაში კი არ გავალთ, ჩვენ წავალთ დაღუპვი-
 საკენ და სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ რუსზე დიდი მტერი
 საქართველოს არ მყოფია და რუსი არის ყველაზე დიდი მტერი-თათარზე,
 თურქზე მეტი და ეს აზროვნება, რომ თურმე ჩეჩენია ჩვენი მტერი და თურ-
 მე შეიძლება თურქებმა გადაგვიარონ, ეს არის პრეკოკაციული აზროვნება,
 რომელიც საქართველოს სიღს უტეხავს ევროპისაკენ და ადამისავლეთის სამ-
 ყაროსკენ და ამიტომ დაფიქრდით, რას ლაპარაკობთ. ერთადერთი მტერი სა-
 ქართველოს მყავს რუსი. არც აფხაზია ჩვენი მტერი და აფხაზებიდან ჩვენ
 გვესვრის ის, ვინც გარუსებულია ფაქტიურად და ეროვნული ცნობიერება
 დაკარგული აქვს. ჩეჩენი არ არის ჩვენი მტერი, ჩეჩენი კი არ არის, აი
 ის საეჭვო ჩეჩენებია ჩვენი მტრები. იმის შიშით, რომ ჩეჩენი არ მომი-
 ვარდეს... კი ბატონო, მაშინ მითხარით, რომ თუ დამოუკიდებლობისათვის
 უკომპრომისო ბრძოლას მოჰყვება ქართველი ერის განადგურება, ეს პატიოს-
 ნად შითხარით და მე შიშადად ხმას არ ამოვიღებ, იმიტომ, რომ ჩემთვის
 რუსეთთან ერთიანი საქართველო არ არსებობს და გავალ პოლიტიკიდან და
 გიყურებთ თქვენ. მოდით, მითხარით პირდაპირ. ამიტომ მე მოვითხოვ, მა-
 შატირეთ ემოციები და ადგილები, მაგრამ ეს ემოციები ჩემგან არ მოდიოდნ
 იმიტომ, რომ სხვებმა დაიწყეს აქ წამოხტომა. ერთი საკითხი მიუძღვნას
 ამას და მინდა გავიგო, დღევანდელი საქართველოს ხელისუფლებასა და
 მთავრობას რა ორიენტაცია აქვს. დასავლური ორიენტაცია, რუსული ორიენ-
 ტაცია, თუ დასავლური ორიენტაცია რუსეთის გავლით. მე მიმაჩნია, რომ



რუსეთის გავლით ჩვენ რუსეთის იქეთ ვერ წავალთ და რუსეთში ყოფნას
 საერთოდ არაარსებობა სჯობია და ისიც სისულელეა, რომ მე-20 სექტემბერს
 90-იან წლებში, როდესაც კიდევ ვიმეორებ, რომ თევზები და ცხოველები
 ჰყავთ წითელ წიგნებში შეტანილი, რომ არ დაიღუპონ, რომელიმე ერთ
 შეიწიროს თავის თავისუფლებას და რაც შეეხება, რაც უფრო მეტი მსხვერ-
 პლი მოჰყვება, ისედაც ძალიან ბევრი ადამიანი იღუპება, შეიძლება ითქ-
 ვას, უაზროდ, იმიტომ, რომ შედეგები ჯერ არ სჩანს და დიდ საქმეს თუ
 ცოტა მეტი მსხვერპლი მოჰყვება, არც ეს იქნება დიდი უბედურება. აქ მე
 ერთხელ რეპლიკა მესროლეს, რატომ აფხაზეთში არა ხარო. მე თუ იარაღს
 ხელს მოვკიდებ, აფხაზეთში კი არ წავალ, აი აქ სათკუბაცოთო ჯარის შტა-
 ბია, ჯერ იმას დავარტყამ, იმიტომ, რომ ეს შტაბი არის საქართველოს და-
 პყრობის ცენტრი და ჩემთვის თბილისი დიდი ხანია დაკავებულია უცხო
 მტრის მიერ. აი ეს არის ჩემი პოზიცია. და თუ მე ამ პოზიციას გამოვ-
 ხატავ უკომპრომისოდ და ამას მე ახალს არ გეუბნებით, გეუბნებით 3 წე-
 ლია. შეიძლება არ მიიღოთ, ყოველ შემთხვევისათვის ამ რეაქციებს და მი-
 წევ-მოწევებს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. თქვენ ნუ მიიღებთ ისე, რო-
 გორც.....რაც მოჰყვება საქართველოს რუსეთში დარჩენას, აქ ჩემი არ
 ყოფნის დროს საკითხი დაისვა. აი, ხელშეკრულება, ახალი გეორგიევსკის
 დამდუბველი ტრაქტატი რომ ფორმდება, მე მოვითხოვ, რომ იმ ხელშეკრულე-
 ბაზე იყოს სახელობითი ხელმოწერა და დაფიქსირდეს ხელმოწერით, ვინ
 აწერს ხელს ხელშეკრულებას რუსეთთან, როდესაც ჯერ არ გარკვეულა რუ-
 სეთის აგრესიის საკითხი საქართველოსადმი და ვინ არის ამის წინააღმდე-
 გი. ისტორიამ, შთამომავლობამ გასცეს პასუხი. კი, ბატონო.

თავმჯდომარე. მე-3 მიკროფონი.

ო. ელოშვილი. ბატონო სპიკერო, ახლა, რამდენიმე დღეა ჩვენმა, ჩვენი
 სესიის სხდომები ტარდება და რამდენჯერმე საყვედურები თქვენ მიიღეთ და
 მეც მინდა დღეს გითხრათ ასეთი საყვედური. დავიცვათ რეგლამენტი. ერთი
 და იგივე საკითხზე რეგლამენტით ორზე მეტად გამოსვლა გამომსვლელს მგო-
 ნია არ შეუძლია. ახლა, ერთი საათი ვილაპარაკებ მე და არ გამაჩეროთ
 მაშინ და ძალიან ვთხოვთ პრეზიდენტს, რომ იმოქმედოს საერთოდ კანონის
 ფარგლებში, ჩვენივე მიღებული რეგლამენტის ფარგლებში. ეს ერთი. შემდეგ.
 როცა საკითხის გარშემო არის მსჯელობა, კეთილი ინებე და გავაჩერე და
 კიდევ მე-3: აქ შესანიშნავი წინადადება წამოაყენა ბატონმა რევაზ შა-
 ვიშვილმა. ვხედავთ, რომ საერთოდ აზრი არ არის დადგენილების პროექტზე.
 გადავდოთ, შეწყდეს კამათი, აქ არის უამრავი მოსაზრებები, მათ შორის
 მეც მაქვს მოსაზრება, რომ არ დავკარგოთ დრო, ჩვენ, შესვენებაზე იმ
 ნახევარ საათს გამოვიყენებთ, ახლავე ჩამოვაყალიბოთ სარედაქციო კომი-
 სია, შევიკრიბებით, შევთანხმდებით და შემდეგ გამოვიტანთ სამსჯავროზე.

თავმჯდომარე. ბატონო დეპუტატებო, ჩვენ ძალიან კარგად ვხედავთ ჩვენს ნაკლოვანებებს, მაგრამ ეს თქვენგან უნდა წამოსულიყო აზრი, რომ დღეს, ახლ-ყველური ჩემს მიმართ, რომ ერთი და იგივე ადამიანი 9-ჯერ არ უნდა მივიღეს მიკროფონთან, მე ვერც ერთხელ ვერ შევზღუდავ მას, მაგრამ გარკვეულ შემთხვევაში მე ვალდებული ვარ ვიგონოთ დარბაზის განწყობილება, ახლა ჩვენ წავედით სხვა მიმართულებით, რეგლამენტს ავცდით, სხვა საკითხები არის, მართალია, რაც დაისვა, ისიც საჭირო იყო, მე გთხოვთ, ახლა შევწყვიტოთ კამათი და ჩავდგეთ რეგლამენტის რიგში. ეს თქვენი მოთხოვნა ჩემს მიმართ სავსებით სამართლიანად მიმაჩნია. გთხოვთ, კენჭი ვყაროთ, რომ შევწყვიტოთ კამათი. ვინ არის მომხრე, გთხოვთ, დაუშვათ, წინააღმდეგი ვინ არის ერთი, 2, 7, 4. ბოდიშს ვუხდით ყველას, ვინც იღუპით ახლა, ყველა შემთხვევაში ყველას ვცემი პატივს, თქვენ არ გეგონათ, ახლა გული მომიდის, რომ აი რატომ, ვთქვათ, გინდათ სიტყვა, შემდეგ გავითვალისწინებთ ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რომ მე კვლავაც ვიქნები ერთგული დარბაზის ამ მოთხოვნის, რომ თანდათან უნდა დავკვალიანდეთ. ზედმეტი ლაპარაკისაგან მეც, თქვენც, ყველა უნდა განვთავისუფლდეთ, მხოლოდ საკითხის ირგვლივ, ვის რა მოგვაგონდება, ვის რა გაგვახსენებს, ვის რა გაგვახსენებს და გაგვახსენებს, ამის მიხედვით არ შეიძლება პარლამენტი მუშაობდეს. გთხოვთ, ახლა დაბრძანდით, მას ამ საკითხზე როგორც...

შეკითხვა დარბაზიდან.

მართალი ბრძანდებით, არა, ბატონო ვიქტორ, ნუ ვიქნებით ეჭვიანი, ყველან სამუშაოება იქნება. ყველას მოგცემთ, ახლა დაბრძანდით, ახლა არის ასეთი წინადადება, რომ ნუ ჩამოგვართმევთ ამას სახელდახელო გადაწყვეტილებაში, სარედაქციო კომისია უნდა შეიქმნას პარლამენტისა, რომელიც სამდივნოსთან იმუშავებს. შემოგთავაზებთ ჩემს კანდიდატურებს, წინასწარ მოგახსენებთ შეთანხმებული არა ვართ დეპუტატებთან, თუ ვინმეს დამატება გექნებათ, თუ გამოკლება გექნებათ, ეს სრულიად არ არის ძნელი საქმე და კიდევ აქაც, მე იმედი მაქვს, რომ თქვენ ღრის დაზოგავთ სარედაქციო კომისიას გთავაზობთ ასეთი შემადგენლობით: დეპუტატები - მანანა გიგინეიშვილი, ვალერი კვარაცხელია, ჯემალ აჯიაშვილი, მიხეილ მჭედლიძე, გიორგი ბარამიძე, გია ხავთაძე, გურამ მურაიძე, დავამატეთ გაიოზ როგავა, თენგიზ ბუაჩიძე, არჩილ იოსელიანი, ირაკლი მეღაშვილი.

შეკითხვა

სარედაქციო, ბატონებო, კომისიის თავმჯდომარეა. შეიძლება არის დეპუტატები ორთ კომისიაზე, ეს კომისიაა სერიოზული და იქნებ ბატონი თენგიზი კომისიის თავმჯდომარეა, მე გთხოვთ დეპუტატებს, ბატონო გია, კარგი, სავთასს აცხადებთ აქვს და გავითვალისწინოთ, ვალერი აქვს აცხადება, არის წინადადება, ქალბატონმა იზა ორჯონიკიძემ მიიღოს მონაწილეობა, აი, გადაწყ-

ვეტილები საარედაქციო კომისია პარლამენტის, არა? კახაბერ კახაბერიძე, ტონო კახაბერ, დავითიანსმეთ, გმადლობთ. ე.ი. მანანა გიგინეიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, მიხეილ მიჭედლიძე, გიორგი შარაშიძე, როგავა იყო დასახელებული. კიდევ? გურამ მურაიძე, ბატონი თენგიზ ბუაჩიძე თავმჯდომარეა და ამიტომ, არჩილ იოსელიანი, კახაბერ კახაძე, მე მგონი შევთანხმდით. მიჭედლიძე აცილება. დანარჩენი დავტოვოთ ამ შემადგენლობით, მანანა გიგინეიშვილი, ჯემალ აჯიაშვილი, გიორგი შარაშიძე, როგავა, გურამ მურაიძე, არჩილ იოსელიანი, კახაბერ კახაძე, გთხოვთ, დავამტკიცოთ. ბოდიშს ვინდი. კარგი. მოვამზადოთ რეგისტრაცია. მადროვეთ. მე რე გვითხარით, არ ვარგოდან-თქო.

შეკითხვა.

რა არ შეიძლება. ბრძანეთ, მე-3 მიკროფონი.

რ. შადვიშვილი. თუ ჩვენ ახლა ვამტკიცებთ საერთოდ პარლამენტის საარედაქციო კომისიას, მაშინ ეს პროცედურა და საერთოდ ასეთი შემადგენლობითაც არ შეიძლება ეს იყოს. მე მაქვს წინადადება: ამ ტექსტის დამდგენი საარედაქციო კომისია იყოს დროებითი და ჩვენ ძალიან სერიოზულად მოვიფიქროთ პარლამენტის მუდმივმოქმედი საარედაქციო კომისია, როგორც მუდმივმოქმედი კომისია; ის უნდა იყოს საკმარისად მრავალრიცხოვანი, უნდა იყოს წარმოდგენილი ყველა პოლიტიკური ძალა იმაში და მსხვილი ფიგურები, აუცილებელია ეს. ეს არის და ამ კომისიაში მუშაობა, მე-2 კომისიაში მუშაობაც შეიძლება, უნდა იყოს ნებადართული. აი, ამ გამონაკლისით. ამიტომ, მე მაქვს წინადადება, ეს კომისია იყოს დროებითი კომისია აი ამ დადგენილების პროექტის დამამუშავებელი და იმ კომისიაზე ჩვენ სერიოზულად ვიფიქროთ, ვთქვათ, 4-5 დღე მაინც.

ე. შევარდნაძე. წარმოდგენილი ხალხი ძალიან მსხვილი ფიგურებია, მაგრამ უფრო მსხვილი....

რ. შადვიშვილი. ეს ცოტაა, ბატონო ედუარდ, საარედაქციო კომისიისათვის.

თავმჯდომარე. მე სავსებით, ბატონებო, რამდენადაც, მადროვეთ. რამდენადაც არასასიამოვნო უნდა იყოს შენიშვნა, მომისმინეთ, შენიშვნა უნდა მიიღო, როცა სწორება და კარგია. მადლობას მოგახსენებთ, ბატონო რეზო. მე მგონი, სწორი აზრია. მივანდოთ ახლა დროებით ამ ტექსტის რედაქტირება დასახელებულ პირებს და შემდეგ კომისიის სრული შევსება სხვადასხვა სპექტრით, პარტიებით თუ წარმომადგენლებით შემდეგ დავამტკიცოთ. ამ შესწორებით, გთხოვთ, კენჭი უყაროთ წინადადებას. გთხოვთ, დაუშვათ. წინააღმდეგი ვინ არის არავინ. თავი ვინ შეიკავა — ერთმა, გმადლობთ. ახლა ჩვენ შევსვენება ნახევარი საათი საკმარისი იქნება, მე მგონი. შემდეგ განვახლებთ მუშაობას.

შესვენების შემდეგ

14 საათი და 20 წუთი.

თავმჯდომარეობს ვ.გოგუაძე.


რ. ბერიძე. ბატონებო, ყველა დეპუტატს არა აქვს შიტანილი საკადრო სექტორში თავისი ფოტოსურათი და აი ის ფურცელი, რომელიც შესავსები იყო, საადრიცხო ფურცელი, 70 დეპუტატისა არ არის. ყველაფერი ერთად უნდა გაკეთდეს. ძალიან გთხოვთ, ვისაც არა აქვს გაკეთებული, ეს სურათის გადაღება სდებია რუსთაველის ძეგლის პირდაპირ, იქ არის, ძველი მოზარდ მაცურებელთა თეატრი რომ იყო, იქ არის ფოტო, იქ შეიძლება გადავიღოთ ფერადი ფოტო, 4 ცალი და ფურცელი ყველას დაგირივდეთ, პირველ დღეს საქალაქო დღეში ნახეთ, საადრიცხო ფურცელზე. ძალიან გთხოვთ, აი ეს აუცილებლად ამ 2 დღეში ეს გადაკეთოთ. ორშაბათისთვის ყველასი იყოს დარიგებული. ვარდა ამისა, კიდევ ერთხელ მოგაგონებთ, კომისიის შემადგენლობები, ძალიან გთხოვთ, მოგვაწოდეთ, კომისიის თავმჯდომარეების საყურადღებოდ.

თავმჯდომარე. გთხოვთ, რეგისტრაციისათვის მოვემზადოთ. განხილული მინისტრთა კაბინეტის სტრუქტურების შესახებ ზოგიერთ ცვლილებებთან დაკავშირებით მოგვასხენებს სახელმწიფოს მეთაური, პარლამენტის თავმჯდომარე ბატონი ედუარდ შევარდნაძე.

ე. შევარდნაძე. ისე გავინაწილეთ ფუნქციები, ბატონი თენგიზი კანონის შესახებ გამოვა ინფორმაციით და ამ სტრუქტურის საკითხებთან დაკავშირებით მე შევეცდები გითხრათ. სანამ ამ საკითხზე გადავალ, ერთი შენიშვნა მინდა კვლავ გამოვთქვა: როგორმე პარლამენტში შევეცადოთ დამკვიდრდეს საქმიანი განწყობილება და საქმიანი დამოკიდებულება ყველა პრობლემისა და საკითხისადმი. სხვანაირად ჩვენ წინ ვერ წავალთ. რაზეც შევთანხმდებით, ის საკითხი უნდა მოგვარდეს და რაც შეიძლება თანერატიულად. თუ ორგანიზებულობის ელემენტი არ იქნება შეტანილი, მაშინ მე ვარწმუნებთ, რომ ამ უნაყოფო დავაში დაიხარჯება ჩვენი ძირითადი დრო და შედეგი არ გვექნება. ეს ერთი, მე-2: თუ მე ამას ვცოდავ, უნდა გამოსწოროთ, თუ არა და ყველა შევეცადოთ, რომ ერთმანეთის მიმართ იყოს კორექტული დამოკიდებულება, ყველა შემთხვევაში და არ უნდა ვიხმაროთ ისეთი სიტყვა, რომელიც მერე შეიძლება თითოეულ თქვენთაგანს, ვინც ამას გამოიყენებს, უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს. მე წელან მტკიც-ნეული რეაქცია გავაკეთე ერთ-ერთ გამოსვლაზე, როცა შეადრეს ისეთი რამ, როცა, მე ვიმეორებ იმ კაცის მიერ ნათქვამ ბლეფს, მე ამას არ ვღებულობ და არც მივიღებ. ნუ აღგებთ ახლა, არავითარი ის არ არის საჭირო. მე თქვენდამი

ძალიან დიდი პატივისცემით ვარ განწყობილი და ხშირად ვაქცევ თქვენს გამოსვლებს ყურადღებას, იგი კონსტრუქციულია, მხოლოდ ის, რაც მე ვაქცევია და არ მიმართება ბლექსად, მე ვთქვი ეს გაერთიანებული ორგანიზაციის ტრიბუნაიდან და იმ გამოთქმამ, ჩემმა გამოსვლამ, გარკვეულად შეუწყო ხელი საზოგადოებრივი აზრის შემობრუნებას მსოფლიოში — მე გადაჭარბების გარეშე ვლაპარაკობ — იმისათვის, რომ ჩვენი სიმაბოლოე გატანილიყო და ჩვენი სიმაბოლოე დადასტურებულიყო, ამიტომ ძალიან ვთხოვთ, ყველა შემთხვევაში, ეს მეც მესება, ალბათ, ხანდახან თუ გავცხადებთ ან რაღაცა ზღუდრულს გადავაჭარბებ, გადავაბიჯებ და ყველა, როგორც ცხარე კამათიც უნდა იყოს, როგორც რთული პრობლემაც უნდა იხილებოდეს, უნდა ვიყოთ, ჩემის აზრით, განწყობილნი იმისათვის, რომ ერთმანეთს პატივი ვცეთ და აღამიანის აღამიანური თავმოყვარეობა არ უნდა იყოს შელახული, მათ შორის თანამდებობის პირებისაც, ნურავინ ნუ ჩათვლის იმას, რომ პარლამენტის თავმჯდომარე იქნება თუ სპიკერი, ის დაქირავებულია და ვაღიფებულია მოთმინოს ეს ყველაფერი, არ არის ეს ასე, ისე, როგორც დებუტატები მოითხოვენ პატივისცემას, პატივი უნდა ვცეთ აღამიანურ დირსებას, ყველა პარლამენტის წევრს და ყველა მოქალაქეს, აი ეს განცხადება გავაკეთე იმისათვის, რომ ამეხსნა ჩემი მტკივნეული რეაქცია აი იმ გამოსვლაზე, რომელმაც, სიმაბოლოე გითხრათ, რაღაც შინაგანი ტკივილი გამოიწვია ჩემში. იმიტომ რომ ვცდილობ რომ შემთხვევითი რაღაცა არ წარმოვთქვა, მით უმეტეს, გაერთიანებული ორგანიზაციის ტრიბუნაიდან, სადაც ასე თუ ისე ყური დამიგდეს და ანგარიში გამიწიეს, ასეთ დაუფიქრებელ, — მე მიმართება, რომ დაუფიქრებელი იყო ეს, შეიძლება ჩემი მისამართითაც არ იყო, სხვისი მისამართით იყო მიმართული, მაგრამ რადგანაც მე ვთქვი, რასაც მე გამოვიყენე, ამიტომ პრაქტიკულად ეს ასე გამოვიდა, ეს არ არის მთავარი, მე-2 დღეს ასე მწვავედ დაისვა აქ რუსეთის არმიის შესახებ საკითხი და რუსებთან ურთიერთობის საკითხი, მე ერთხელ მინდა კიდევ ვთხოვთ თქვენ, რასაც ჩვენ ერთმანეთს ვეუბნებით, ის ან დავიშახლოვროთ, ან ჩავიწიროთ, ან რაღაც სხვა ხერხი მოვძებნოთ, იმიტომ, რომ ერთი და იგივეს განმეორება 5-და 10-ჯერ არც თქვენ გსიამოვნებთ და არც მე. თუ ბრძანებს, პარლამენტი იტყვის, რომ ასეთი ხელისუფლება არ არის საჭირო, ჩვენ დავანებებთ მუშაობას თავს, მაგრამ ასეთი აზრი არ გამოთქმულა, მე მგონი, რომ ამ ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა უნდა ჩამოყალიბდეს, რატომ უნდა ჩამოყალიბდეს და როგორ წარმოვიდგინო მე, ეს ყველაფერი ჩემს გამოსვლაში ვთქვი ამას წინათ აფხაზეთთან დაკავშირებით, ისიც, იმპერიამ იყო ნახსენები და ის ძალებიც, ვინაშაც ჩვენ არ შეგვიძლია არ ვითანამშრომლოთ და მე ისიც მოვახსენეთ, რომ ეს იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ხელშეკრულების პრაქტიკა, რომელიც მომზადდება — ასეთი წესი არ არსებობს, რომ წინასწარ წარუდგინონ პარლამენტს, იმიტომ, რომ, რატიფიკაციაზე მიღის ძირითადად ხელს

რომ მოაწერენ, მეტრე და იმდენად სერიოზული საკითხია, რომ ჩვენი მხარე-გვე-
 ნებით თქვენ წარმოგიდგინოთ. შეიძლება ეს დია სხდომა იყოს, შეიძლება დასუ-
 რული იყოს. განვიხილოთ, ვიმსჯელოთ და მივიღეთ ერთ დასკვნამდე. ამ დია
 ჭიშკარს ნუღარ ვამტვრევთ ახლა. არ არის საჭირო ახლა ამის მტვრევა, თუ ვინ-
 მეს მოხსენება აქვს, ბატონო ირაკლი წერეთელსაც აქვს მოხსენება. მე ვთხოვ,
 ბატონო სპიკერს, ქალბატონ რუსუდანს, შევადგინოთ რაღაც თემატური გეგმა. რა
 საკითხები უნდა განვიხილოთ ჩვენ, ვთქვათ, ამ თვის განმავლობაში, ნოემბ-
 რის განმავლობაში, რა საკითხები უნდა განვიხილოთ დეკემბერში, რა საკითხე-
 ბის განხილვას მოვასწრებთ იანვარში არდადეგებამდე, შესვენებამდე. შევად-
 გინოთ ეს გეგმა და იცოდეს ბატონმა ირაკლიმ, თუ ხსვა დემუტატემა, აი ის სა-
 კითხი, რომელიც მას ბინტერესებს, როდის იქნება განხილული, მაშინ ადარ
 იქნება ასე ყოველდღე ერთი და იგივეს განმეორება და ერთნაირ თემაზე ლაპარა-
 კი, ეს ახლა ელემენტალური საკითხებია, რომელზეც მე თქვენ მოგახსენეთ, მაგ-
 რამ თუ ეს ელემენტალური არ მოგვარდება, მე ვაპირებ, რომ აი დღეს დაი-
 ხარჯა ის დრო, სამუშაო დღე მთავრდება და მითხარით, რა გადაწყვეტილით; მე
 მიმამჩნია, რომ ამდენი ხალხი, ასეთი სერიოზული ხალხი საქმეს, სამუშაოს მო-
 წყვეტილი, არ შეიძლება უნაყოფოდ დროს ხარჯავდეს. რაც შეიძლება ნაკლები
 დრო უნდა დაიხარჯოს უნაყოფო და ხანდახან უსაგნო ლაპარაკში. ეს ბევრად
 იქნება დამოკიდებული ორგანიზაციაზე. ეს, რა თქმა უნდა, ჩემს მისამართითაც
 არის, იმიტომ, რომ პარლამენტის თავმჯდომარის ფუნქცია არავის ჩამოუცილებია
 მეც ამაზე უნდა ვიზრუნო თქვენთან ერთად. და რახან ეს საკითხი რუსეთის არ-
 მიახთან დაკავშირებით და რუსეთთან ურთიერთობასთან დაკავშირებით, მე კი-
 დევ ვიშეორებ. მე მივიღე წერილი, ამისგან არაფერი საიდუმლო არ უნდა იყოს,
 რუსეთის პრეზიდენტისა იმის შესახებ, რომ ის მზად არის, თუ საქართველო
 ჩათვლის საჭიროდ, ახლავე გაიყვანოს საქართველოდან რუსეთის შეიარაღებული
 ძალები. მე გაგაცნობთ ამ წერილს. ეს ძალიან ისეთი მეგობრული წერილი არის,
 მაგრამ ოფიციალური, რომელშიც გამოთქმულია ასეთი ფრაზა, არის ნახმარი,
 რომ ერთია, სპეციალური ფრაზა არის. რუსეთის ხელმძღვანელობა მზად არის,
 როცა იტყვის საქართველო, თუ როცა იტყვით, ახლავე მივიღოთ გადაწყვეტილება
 რუსეთის ჯარების შესახებ. ნუღარ დავამტვრევთ ამ კარებსაც. თუ ვიტყვით,
 პარლამენტი თუ გადაწყვეტს, ასე იქნება. მაგრამ მე ისიც განვაცხადებ, რომ
 კარგად ავწონ-დავწონოთ ყველაფერი, თითოეული თქვენთაგანი, თითოეული ჩვენ-
 თაგანი უნდა იყოს პასუხისმგებელი იმ გადაწყვეტილებაზე, რომელსაც ჩვენ მი-
 ვიღებთ, ეს იმდენად რთული და მნიშვნელოვანია. ყველაფერს ვიწვ ვიტყვი ახლა.
 აი, იმიტომ, კარგად იფიქრეთ, დღეს არ არის ამაზე გადაწყვეტილება მისაღები
 მაგრამ კარგად ვიფიქროთ და სერიოზულად შევხედოთ ამ ამბავს, ამასთან და-



კავშირებით რასხან ჩვენ გვისმენენ ტელემაცურებლები, მე მიმარჩია, რომ არა-
 ვითარი სამხედრო ქონება საქართველოდან არ უნდა გავიდეს, არაფერსაღირებელი
 საქართველოდან არ უნდა გავიდეს, თუ ეს არ იქნება საქართველოს ხელისუფლებას-
 თან შეთანხმებული. თუ ასეთი რამ ხდება, ჩვენ იძულებული ვიქნებით დავიცვათ
 და სწორად იქცევითან ის გამგებლები, რაიონის ხელმძღვანელები, რომლებიც სა-
 თანადო ზომებს ღებულობენ. მაგრამ მე კატეგორიულად დაუშვებლად მიმარჩია
 თავდასხმები, რომელმაც შეიძლება სამხედრო შეტაკებამდე მიგვიყვანოს, მით
 უმეტეს, ხელისუფლებასთან შეუთანხმებელი რაიმე დონისძიება. წინათ შეიძლება
 ზოგიერთ რამეს მე ვგუგუებოდი, ახლა არ შევეგუები, იმიტომ, რომ თქვენ ინე-
 ბეთ მე ვიყო სახელმწიფოს მეტაური და მთავარსარდალი. მე ახლა არ შემიძლია
 ვთქვა, რომ ეს მე არ ვიცოდი, ესა თუ ის აქცია, ყველაფერი უნდა იყოს შე-
 თანხმებული სახელმწიფოს ხელმძღვანელობასთან და ხელისუფლებასთან, ყველა
 აქცია, რომელიც მიმართული არის ასე თუ ისე ამ თუ იმ ნაწილის ქვედანაყო-
 ფის მიმართ, რა თქმა უნდა, უნდა გამოიჩინოს, აი, გუშინაც დამირეკეს -
 დახვდნენ მანქანას, დაჭრეს ჯარისკაცი, დაჭრეს ოფიცერი, ამას წინათ შემთხ-
 ვევა იყო, დაიღუპა 2-3 კაცი. შეიძლება მე-2 მხრიდანაც არის ასეთი ამბე-
 ბი. უნდა შეწყდეს, სანამ რუსეთის არმიის ნაწილები იქნებიან საქართველოში,
 ჩვენ უნდა გვექონდეს ნორმალური ურთიერთობა. თუ ჩვენ არ გვაიძულებენ, რაღაც
 საპასუხო ზომები მივიღოთ. თუ საპასუხო ზომები უნდა მივიღოთ, ალბათ ეს მთა-
 ვარსარდალმა უნდა იცოდეს, რა უნდა იყოს ეს და როგორი უნდა იყოს ეს ზომე-
 ბი, და იქნება თუ არა ადეკვატური იმისა, რასაც ჩვენ თავს ვვახვევენ, ამი-
 ტომ მე ძალიან გთხოვთ, მივმართავ მოსახლეობას, ყველას, რომ ძალადობისაგან
 და ასეთი გამოვლინებათაგან, რაც არ ლაპარაკობს ჩვენს კულტურაზე, ამისა-
 გან თავი უნდა შეიკავოს ყველამ. იმიტომ, რომ, შეიძლება ძალიან სერიოზულ
 უსიამოვნებასთან ვქონდეს საქმე. აი, ეს განცხადება მინდოდა გამეკეთებინა.
 ახლა, აი ეს სტრუქტურა როგორ ჩამოყალიბდა გუშინდელი განხილვის შემდეგ
 და ზოგიერთ საკითხზე შეიძლება კენჭისყრაც იყოს საჭირო, რესპუბლიკის მი-
 ნისტრთა კაბინეტი, მისი პრემიერ-მინისტრი, გუშინ შევთანხმდით, რომ კანცელა
 რები და სხვა დამხმარე სამსახურები არ იქნება აქ აღნიშნული. პირველი
 ბლოკი, ვიცე-პრემიერი. ჩვენ მაინც გთხოვთ, რომ აი ეს მონახაზი ეკონომიკუ-
 რი რეფორმების შტაბის შესახებ დარჩეს აქ, რომ ყველას წარმოდგენა ვქონდეს,
 რომ ეს ბლოკი, ამ ბლოკის კურატორი ვიცე-პრემიერი უშუალოდ აგებს პასუხს
 ამ დიდ საქმეზე, ეკონომიკის სამინისტრო აი ასე გამოიყურება ეს ბლოკი,
 ეკონომიკის სამინისტრო.

შეკითხვა.

დარიგება ვერ მოახწრეს? არა გაქვთ არა? მე მგონი ჩვენ გუშინ ვილაპა-
 რაკეთ, რომ... შეკითხვა.

არ ავრქმარდები. ეკონომიკის სამინისტრო, ამაზე დავა თითქოს იყო,

მაგრამ მეტი შევთანხმდით, რომ დარჩეს, ფინანსთა სამინისტრო. ფინანსთა სამინისტროსთან და არა სამინისტროში. სამინისტროსთან იქნებ არსებობს საგარე-სახარო ინსპექცია. რისთვის არის ასეთი დაკავშირება, გუშინ უკვე მოგახსენეთ. საგარეო ეკონომიკური ურთიერთობათა კომიტეტი. ვაჭრობის სამინისტრო და ვაჭრობის სამინისტროს შემადგენლობაში ან სამინისტროსთან, თუცა მე მიმაჩნია, რომ ალბათ სამინისტროს შემადგენლობაში უნდა იყოს. მატერიალურ-ტექნიკური რესურსების დეპარტამენტი. აქ იყო მოსაზრება, რომ, თუ ვთქვათ, სამინისტროს სისტემაში შედიან, იქნებ დეპარტამენტი არ იყოს. ასეთი მოსაზრება იყო. ბატონი ჯიბუტი ამბობდა, თქვენი მოსაზრებანი იყო. შეიძლება სხვა სახელი დავარქვათ, მაგრამ სისტემა ერთი უნდა იყოს. მთავარი სამმართველო იყოს. არა ვარ წინააღმდეგი. მთავარი სამმართველო ვაჭრობის სისტემაში, ვაჭრობის სამინისტრო, სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტი.

ვალერიან ალვაძე. ამასთან დაკავშირებით, თუ შეიძლება, როცა იხილებოდა ეს სქემა, მაშინ ითქვა, რომ პრივატიზაცია არის სერსეშედი, ძირითადი დერძი ჩვენი ეკონომიკური ფორმისა. იმაზეც ითქვა, რა უზადრუკ მდგომარეობაშია ეს კომიტეტი, შეიძლება ითქვას, შეურაცხმყოფელ მდგომარეობაშია. დღეს ითქვას, რომ რეფორმატული მთავრობა უნდა შევქმნათ და რეფორმებზე ითქვა ზევრი. ითქვა, რომ იგი სამინისტროს დონეზე აუცილებლად უნდა იყოს, სხვა მოსაზრებაც გამოითქვა, რომ სამინისტროებზე მაღლა უნდა იდგეს. მიტანილი იქნა მაგალითი სხვა ქვეყნებისა და რუსეთის, მაგალითად, კომიტეტის თავმჯდომარე ამავდღროს ვიცე-პრეზიდენტი არისო. აზრი გამოითქვა იმის შესახებ, რომ პარლამენტთანაც კი უნდა იყოს, ისე მაღლა უნდა იდგეს ეს-ათ. ამ კანონის პროექტი რომ არის კაბინეტის შესახებ მიღებული, ფაქტიურად ეს ძალიან დაბალ დონეზე რჩება. ამ კომიტეტის თავმჯდომარე კაბინეტის წევრიც კი არ არის, ამ კომიტეტის თავმჯდომარეს პარლამენტის კი არ ამტკიცებს, მხოლოდ კაბინეტი უნდა დაამტკიცოს. აი, მე მიმაჩნია, რომ უფრო გაბედულად ვლაპარაკობ, რადგან მე იქიდან წამოსული ვარ ახლა, რომ ასეთი მიდგომა ამ კომიტეტის მიმართ რეფორმატორული მთავრობისა და რეფორმატორული პარლამენტისაგან არის უადრესად არარეფორმატორული მიდგომა.

გ. შევარდნაძე. მე მგონი, ბატონო ვალერიან, ამას კომიტეტს დავარქმევთ თუ სამინისტროს, ამით ზევრი არ შეიცვლება. მე არა ვარ წინააღმდეგი სამინისტრო დავარქვათ. იყოს სამინისტრო, მაგრამ ეს მაინც სხვა სამინისტროების გვერდით აყენებს მას. თუ გნებავთ, სამინისტრო ეწოდოს, მაგრამ დეზულება საგანგებო უნდა იყოს, განსხვავებული სამინისტროებისაგან და შეიძლება ასე რაიწეროს ეს გადაწყვეტილებაში, რომ ეწოდოს ამ სისტემას სამინისტრო და დავალოს მინისტრთა კაბინეტს, პარლამენტს წარმოუდგინოს დეზულება, რომელიც მას მიანიჭებს იმ უფლებებს, რომელიც აუცილებელია შესრულდეს, რომელიც დასჭირდებ

ბა ამ თავისი მისიის შესასრულებლად. შეიძლება ასე? მაშინ აი ასეთნაირად. რაზეც შევთანხმდებით, ვუყაროთ კენჭი, არ ჯობია? ვინ არის მომხრე რომ სახელმწიფო ქონების მართვის კომიტეტს მივანიჭოთ სამინისტროს სტატუსი და დავავალთ მინისტრთა კაბინეტს წარმოადგინონ შესაბამისი დებულება ამ სამინისტროს განსაკუთრებულ ფუნქციათა შესახებ.

თავმჯდომარე. პულტები მოამზადეთ. ვინ არის მომხრე. გთხოვთ, ჩართეთ, ხელახლა ჩავატაროთ, ბატონო თენგიზმა გვიან აიღო.

კენჭისყრა: მომხრე - 118, წინააღმდეგი - 34, თავი შეიკავა - 5.
რეგისტრაცია გაიარა - 157-მა.

ე.შევარდნაძე. შესწორება მიღებულია. კიდევ ერთ საკითხთან დავგჭირდება კენჭისყრა.

ი.ქადაგიშვილი. სამინისტროში სომ იქნება....

არ იქნება საჭირო, ამას ვურვიენებთ იმიტომ, რომ წარმოადგენა გქონდეთ, რომ ის კომიტეტი, რომელიც კომიტეტია თუ დაწესებულება, რომელიც აქამდე დამოუკიდებლად შედიოდა ამ მთავრობაში, ის ადარ იარსებებს. ვაჭირობას იქნება ეს ფუნქცია.

ი.შენგელაია. უკაცრავად, ბატონო თავმჯდომარე, გაგაწყვეტინეთ. ერთი კითხვა მინდა დავსვა. აქ ნახსენები იყო საგარეო-ეკონომიკურ ურთიერთობათა კომიტეტი. ასეთი ამ სტრუქტურაში, ამ ბლოკში, უფრო სწორად, ახლა, ჩვენ გუშინ ჭარკვევით ვთქვით ისეთი რამ, რომ მინისტრებს, მართალია, ამტკიცებს პარლამენტი, მაგრამ არის ის სტრუქტურა, რასაც უშუალოდ მინისტრთა კაბინეტი ამტკიცებს, ვთქვათ, დეპარტამენტის მეთაურებს და ა.შ. მაგრამ არის კომიტეტები საგანგებო უფლებებით, რომელსაც პარლამენტი ამტკიცებს.

ხმა დარბაზიდან. აი, კითხვა მაქვს.

შეკითხვა.

ყველა კომიტეტს, განურჩევლად. ე.ი. ეს კომიტეტიც შედის.

შეკითხვა.

ე.შევარდნაძე. ეს თუ ასე წერია, შეცდომა არის, მინისტრებს, კომიტეტების თავმჯდომარეებს, ამტკიცებს პარლამენტი. ვინ არის მომხრე, რომ დაუშვათ კომიტეტის თავმჯდომარეები იქაც. გთხოვთ აწიოთ ხელი. გთხოვთ, დაუშვათ. წინააღმდეგი ვინ არის?

თავმჯდომარე. ბატონო ივლიანე, აუცილებელია? აი, იმ სახელმწიფო კანონს 2/3 უნდა.

ჩვენ 152 ვართ, კვორუმი არის, მაგრამ 2/3-თვის არ არის. ხელახლა ვნახოთ რეგისტრაცია, რა საშუალება გვაქვს. ნახეთ, მონახეთ დებულება.

ე.შევარდნაძე. პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით პარლამენტი ნიშნავს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პრემიერ-მინისტრის მოადგილეებს, მინისტრთა კაბინეტის წევრებს.

ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც ვახტანგ სამაღაძე შეცდომაში შევიყვანე ტურნიზი, გამოითქვა მოსაზრება, ტურნიზი იყოს ან კომიტეტი, ან სამინისტრო. სამინისტრო? მე ვუშინ ერთი რამ მოგახსენეთ. მთავარია ჩვენი ერთობის სისტემა გვექონდეს და ორით მეტი იქნება თუ სამით, სამინისტრო იქნება, თუ კომიტეტი, ამას არსებით მნიშვნელობას არ ვანიჭებ. აი, ამიტომ, როგორც თქვენ მიგაჩინათ, თუ მიგაჩინათ, რომ სამინისტრო უნდა იყოს, იყოს, თუმცა ჩემთვის ამას პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს. ვინ არის მომხრე, რომ იყოს სამინისტრო, კომიტეტს ვუყაროთ კენჭი? რჩება კომიტეტი. საბაჟო დეპარტამენტი და თუ ეს არ გამოიწვევს დიდ დავას, მე ვგონი, არ უნდა გამოიწვიოს; სტატისტიკისა და ანალიზის სამმართველო. ჩვენ რომ ვამტკიცებთ, ჩვენ რომ ვნიშნავთ სტატისტიკის და ანალიზის უფროსს, ეს არ უნდა ნიშნავდეს, ჩემის აზრით, იმას, რომ ის არ შედის მთავრობის სტრუქტურაში.

სტატისტიკის სამმართველოსთან დაკავშირებით, სომ არ აჯობებს, რომ რამდენადაც ეს ამ ბლოკში შედის და ძალიან მნიშვნელოვანი სამსახურია, ცოტა სტატუსი ავწიოთ და მთავარი...

შეკითხვა.

არა, იგივე ბლოკში დარჩეს, ოღონდ სტატუსი მივანიჭოთ სხვა. დეპარტამენტის.

გ. შევარდნაძე. დეპარტამენტებს ვამტკიცებთ, მე ვგონი, არ ივარგებს.

ი. შენგელაია. მაშინ კომიტეტი. აქ გავითვალისწინოთ ერთი რამ: ნებისმიერ ქვეყანაში, როგორი სტრუქტურისაც უნდა იყოს და როგორი თვითმმართველობით, ინფორმაცია და სტატისტიკა არის ერთიან სახელმწიფო სტრუქტურაში. ამიტომ ეს რანგი დიდი უნდა იყოს, რომ იგივე აფსაზეთში და აჭარაში მისდამი დაქვემდებარებული სტრუქტურები არსებობდეს.

გ. შევარდნაძე. ვინ არის მომხრე, რომ შევიტანოთ აქ არა სამმართველო, არამედ კომიტეტი?

თავმჯდომარე. კარგი იქნება, პულტით ვყაროთ? თანახმა ხართ ხელის აწევით. ორივე ხერხი შეიძლება.

კენჭისყრა: მომხრე - 124, წინააღმდეგი - 7. თავი შეიკავა - 6. რეგისტრაცია - 137.

გავიდა. გადაწყვეტილია. მიღებულია, ე.ი. კომიტეტი.

გ. შევარდნაძე. ახლა, ერთი სადავო საკითხი იყო ვუშინ, ბატონი ზურაბ ჟვანია და სხვები მწივანეთა პარტიიდან კატეგორიულად აყენებდნენ საკითხს, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო გადმოვიტანოთ ამ ბლოკში, მაგრამ მეჩვე, როგორც მე ვიცი, ბატონ თენგიზს შექონდა შეხვედრა გარკვეულ დელეგაციებთან, პარტიების ხელმძღვანელებთან და ისინიც ასევე კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ დარჩეს იმ ბლოკში, სადაც ახლა არის, ლაშარაკია სოფლის მეურნეობის, მრეწველობასა და სხვა ბლოკზე. იქნებ ესეც კენჭისყრით გადავწყვიტოთ.

გ. გელოვანი. ზოდის გიხდით, ბატონო თავმჯდომარე, მე ამასვე შექონდა პრინციპული მოსაზრება, რადგანაც დაახლოებით 10წელი ვიმუშავე მაგ სისტემაში,



რომელიც გარემოს დაცვის კონტროლის პრობლემებს იკვლევდა. ეს, მე მემორანდუმის საინსპექციო სამსახური და თუ საინსპექციო სამსახურები არ იქნება მინისტრთა საბჭოს დაქვემდებარებაში, არამედ დაექვემდებარება პარლამენტს, შესძლებენ უფრო ეფექტურ კონტროლს ყველა საწარმოზე. მე მხოლოდ ეს მოსაზრება მიქონდა და მინდოდა გამეცნო პარლამენტისთვის ჩემი მოსაზრება, საპარლამენტო სტრუქტურაში რომ იყოს გარემოს დაცვის სამსახური, მთელი ში თავისი პიდროს სამსახურითა და თავისი აპარატით. ეს ხომ არ არის დარგი, რომ იყოს სამინისტრო. ეს არის საინსპექციო ფუნქცია.

ე. შევარდნაძე, პრინციპში თქვენ ვეთანხმებით ამაში, მაგრამ პარლამენტს ძალიან გაუჭირდება, იცით, მთელი სამინისტროა. მე მგონი, ჩვენ დავკამაყოფოდეთ იმით, რომ საკონტროლო პალატა არის ჩვენს განკარგულებაში, როგორც მთავარი საინსპექციო და ა.შ.

გ. გელუჯანი, შეიძლება ეს პერსპექტივაში იყოს გათვალისწინებული, ზოდის გიხდით.

ე. შევარდნაძე, კიდევ არის ამ საკითხთან დაკავშირებით, გამოსვლის მსურველი? მე-2 მიკროფონი.

გამომსვლელი, ბატონმა ზურაბ ყვანიამ წარმოადგინა სტქარტველოს მწვანეთა ფრაქციის წინადადებები, პოზიცია იმის თაობაზე, რომ რა თქმა უნდა, ჩვენ ვმუშაობთ, რომ ეს სტრუქტურები ჩამოყალიბდეს პარლამენტთან და ეს სტრუქტურები იყოს სრულყოფილი, მაგრამ ჯერჯერობით რომ ეს სტრუქტურები ჩამოყალიბებული იყოს, უფრო სწორად, შედიოდეს რეფორმების ბლოკში, იმიტომ რომ ეს დასაბუთებულადაც იყო წარმოდგენილი ჩვენი შეფასებით, მიდის რეფორმები, განსაკუთრებული და დღეს არის ეკონომიკური კრიზისი, განსაკუთრებული სიმძიმე და აწევება სწორედ საქართველოს ბუნებას, ბუნებრივ რესურსებს, არის იმის რეალური საშიშროება, რომ ბუნებრივი რესურსები ამ სიმძიმის პერიოდში, ე.ი. ძნელ პერიოდში უმოწყალოდ იქნება გარანაგებული და ამიტომ შეთანხმებული სახელმწიფო პოლიტიკა უნდა იყოს რეფორმებსა და ბუნებრივი რესურსების გამოყენებას გარემოს დაცვას შორის, აი, ეს იყო ჩვენი წინადადება და ასევე, თუ საიდუმლო არ იქნება, გვინტერესებს, რომელმა ფრაქციებმა ჩათვალეს საჭიროდ, რომ ასეთი გადაწყვეტილება, ჩვენს მიერ წამოყენებული, ყოფილიყო უარყოფილი, გმადლობთ.

თავმჯდომარე, მე-5.

ნ. ნათაძე, ჩვენ ვლამბარაკობთ იმაზე, რაც არის, რაც წერია ამ ფურცელზე, მაგრამ რაზედაც იყო წინადადება, რაც არ არის, ამაზე არ ვლამბარაკობ, მე მინდა გთხოვოთ, იქნებ მოკლედ შევეხოთ და კენჭი ვუყაროთ საკითხს საავტომობილო გზების დეპარტამენტის შესახებ.

თავმჯდომარე, მე-4.

ი. ქადაგიშვილი. ჩვენ, ბატონო თავმჯდომარე, გავიარეთ ეს პირველი საბაჟო უბნად და მე მაინც უკან დაბრუნება მინდა. აქ წერია „საბაჟო დეპარტამენტი“. ხომ არ გავითვალისწინებთ იმას, რომ რა უნდა იყოს ამ პირობებში საბაჟო საქართველოში და რომ მას განსაკუთრებული მხარდაჭერა სჭირდება თუ რას, კომიტეტის ზომებზე რომ ავიდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, დღევანდელი არსებული სიტუაციით ამ სამსახურმა შეიძლება თავისი საქმე ვეფქტურად ვერ გააკეთა, თუ მას პირდაპირი გასასვლელი არ ექნება მინისტრთა კაბინეტზე. მას თუ დღეს კიდევ ბარიერები შეექმნა, ისედაც ეს ერთ-ერთი გაჩანაგებული დარგი და ძალიან მნიშვნელოვანი, შეიძლება ძალიან რთულ მდგომარეობაში ჩავარდეს და საქმემ წინ ვერ წაიწიოს; საბაჟო დეპარტამენტზეა ლაშარაკი, რომ კომიტეტის ხარისხში ავიდეს და მე-2 მომენტი არის ის, რომ იქნება სოციალურ უზრუნველყოფის, შრომის და დასაქმების სამინისტრო მე-4 ბლოკიდან აი ამ მე-2 ბლოკში გადმოვიდეს. აი, ეს ორი საკითხი მსურს, რომ პირველი და მე-2 საკითხი კენჭისყრაზე ან განხილვის საკითხზე დადგეს. გმადლობთ.

ე. შევარდნაძე. მე ჩემს აზრს მოგახსენებთ. საბაჟოს შესახებ ბატონი ირაკლის მოსაზრება საფუძვლიანია, ჩემის აზრით. ეს ძალიან პრინციპული საკითხია და თუ ეს რაღაც ხარისხის ამადლება მას წონას მოუმატებს და გაუადვილებს თავისი ფუნქციის შესრულებას, მაშინ შეიძლებოდა, ჩემის აზრით, კენჭის ყრაზე დაგვეყენებინა და ეს წინადადება მიგვედო. ვინც იზიარებს ამას, რომ საბაჟო დეპარტამენტის ნაცვლად იყოს კომიტეტი. ვუყაროთ კენჭი?

კენჭისყრა. რეგისტრაცია 163. მომხრე 133, წინააღმდეგი - 25, თავი შეიკავა - 3.

თავმჯდომარე. მიღებულია.
ე. შევარდნაძე. გმადლობთ. ახლა გარემოს დაცვის შესახებ. მე და ბატონმა თენგიზმა სხვა ბლოკში რომ შევიტანეთ გარემოს დაცვა. თუ ეს არ არის პრობლემა, მაშინ ეს არ მიმართინია პრინციპულად, შეიძლება გადმოვიტანოთ და შევიდეს პირველ ბლოკში. მაგრამ ერთი რამ არის, იცით, ერთი რამ გავითვალისწინოთ ჩვენ რომ აქ ბლოკებს დავამტკიცებთ, ეს იმას ნიშნავს, რომ პრემიერ-მინისტრს ადარ ექნება უფლება ერთი სამინისტროდან გადაიტანოს მეორეში, გადაანაწილოს ფუნქციები ვიცე-პრემიერებს შორის. ძალიან ცუდი ჩარევაა, მაგრამ რასან ასე დაისვა, მივყვეთ ბოლომდე და მეორე შეიძლება მივიღოთ დადგენილება, რომ პრემიერ-მინისტრმა მეორე იმოქმედოს თავისუფლად. ამჯერად პრინციპული სასიათი მივცეს.

ბატონო გია, დავიწყეთ და ახლა უფრო მეტი დრო დაიხარჯება. ასე რომ, ვინ არის მომხრე, რომ ეს გარემოს დაცვა აი ამ ბლოკში შევიდეს? მე-6.

თ. მდინარაძე. მე მაგალითად, ვერავითარ უხერხულობას ვერ ვხედავ, რომ გარემოს დაცვის კომიტეტი არის მე-5 ბლოკში. საქმე იმაშია, რომ აქ არის ის სა-

მინისტროები, რომლებიც უნდა იყოს ეკოლოგიური. ის, რაც ეკოლოგიურია, ეკონომიკურია და აქედან გამომდინარე, ეკონომიკას, აი აქ, მათ უნდა ჰქონდეთ რაღაც ზესამინისტრო ფუნქცია, რომელიც მაკონტროლებელი უნდა იყოს და ამასთან დაკავშირებით ტურიზმის სამინისტრო, რომელიც აქ არის, მიმართება, რომ ისიც ამ ბლოკში უნდა გამოვიდეს, მე-5 ბლოკში, განტვირთვა ექნება იმიტომ, რომ იგივე ტურიზმის ეკოლოგიურია, ე.ი. აქ შეიძლება იყოს ეკონომიკური, მაგრამ უფრო ეკოლოგიურს უნდა მივხედეთ ჩვენ.

ე.შევარდნაძე. მე-2 ნაწილის მიმართ მე პროტესტს ვაცხადებ. რაც შეეხება პირველს, განვიხილოთ. იმიტომ რომ ის გადაწყვეტილი არის.

გივი აბალაძე. გივი აბალაძე, გორის საარჩევნო ოლქი. პატივცემულო დეპუტატებო, აგრძელებს ბლოკთან მიწა გამოვსატო ჩემი დამოკიდებულება, აგრძელებს ბლოკს ვიხილავთ.

ე.შევარდნაძე. გარემოს დაცვაზეა ლაპარაკი.

გ.აბალაძე. გარემოს დაცვა აგრძელებს ბლოკშია და ვიხილავთ ამას.

ე.შევარდნაძე. გარემოს დაცვა დარჩეს იქ, სადაც არის ჩაწერილი, თუ გადმოვიტანოთ პირველ ბლოკში, აი ამასთან დაკავშირებით უნდა თქვათ.

გ.აბალაძე. ვასაგებია.

ე.შევარდნაძე. თქვენ რომ მკითხეთ ვინ არის ის, გუშინ რომ გამოთქვა აზრი, თქვენ გრძნობთ, ვინც გამოთქვა ეს აზრი. მაშინ დავაყენოთ კენჭის წყარზე. ვინ არის, როგორი იქნება უფრო სწორი. გადმოტანა თუ იქ დარჩეს. ზურაბ, როგორ ვინდათ, რომ უყაროთ კენჭი.

ვინ არის მომხრე, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო შევიდეს პირველ ბლოკში, ვინ არის ამის მომხრე, რომ გარემოს დაცვის სამინისტრო შევიდეს პირველ ბლოკში. ვინ არის ამის მომხრე იმისა, რა საკითხსაც აყენებს მწვანეთა პარტია და ბატონი ზურაბ ყვანია და სხვები, ბატონო ზურაბ, მე დავაჭირე აქ წითელ დილაქს, მაგრამ არ გამოვიდა არაფერი. შემდეგ ბლოკი კენჭისყრა. მომხრე - 70, წინააღმდეგი - 75, თავი შეიკავა - 13.

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

პ.კოფიაშვილი. ბატონო ირაკლიმ დააყენა საკითხი, რომ მე-4 ბლოკში არსებული სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქმების სამინისტრო გადმოტანილი იქნას პირველ ბლოკში, ეკონომიკურ ბლოკში. აქ აქცენტები გაკეთებულია სწორედ იმის მიმართ, რომ შრომისა და დასაქმების პრობლემები უფრო აი ამ ბლოკთან არის ახლოს, ვიდრე ამ ბლოკთან, რა ჰქვია იმას. ეს ფაქტიურად ნახევარი ბიუჯეტია რესპუბლიკის.

ე.შევარდნაძე. მე გთხოვთ გაითვალისწინოთ ერთი ამბავი. აქ იმდენი პრობლემაა თავმოყრილი, რომ პრაქტიკულად უმართავი გახდება ეს ბლოკი. მე-3.

ზ.ანდრიაძე. ზურაბ ანდრიაძე, ბლოკი „ერთობა“. ბატონო თავმჯდომარე,

იცით რა, პირველი ბლოკიდან თითქმის შეიძლება ნებისმიერი სამინისტროს გადატანა, მაგრამ აი ეს სოციალური უზრუნველყოფის ნაწილს, რაც შეეხება ბატონი თენგიზი დამეთანხმება, რომ საბუნსიო ფონდი, წმინდა ისეთი შემოსავლის კატეგორიით რომ ვიმსჯელოთ, ე.ი. ბიუჯეტს უტოლდება, ამის მოცულება ეკონომიკური კატეგორიიდან ყოველად დაუმეგობრდება.

ე. შევარდნაძე. მთელი განათლების სისტემა ბიუჯეტზეა, მთლად უანშრთელობა მთლიანად ბიუჯეტზეა. გაითვალისწინეთ, რომ პრაქტიკულად უმართავი იქნება, მე ვიცოც, რასაც ნიშნავს ეს, რაც დაკავშირებულია რეფორმებთან და ბიუჯეტთან და ფინანსებთან, თავისთავად იმუშავებს ამ სისტემაში. იმიტომ, რომ აქ ვინც უნდა აიყვანოს ეს ბლოკი, ის ეკონომიკურ რეფორმათა შტაბი მასთან არის.

ზ. ანდრიაძე. გასაგებია, ბატონო ედუარდ, მაგრამ იქნებ კენჭი გვეყარა.

ე. შევარდნაძე. გადავიდეთ მე-2 ბლოკზე. მრეწველობის სამინისტრო, არის სადავო რაიმი. სათბობისა და ენერგეტიკის სამინისტრო, რომელშიც შევლენ დეპარტამენტის უფლებით, ან კორპორაციის უფლებით „საქნავთობი“, „საქენერგო“, „საქგაზი“ და „საქნახშირი“. ნუ, ალბათ აღარ გამოდის იმიტომ, რომ გუშინ მე შევთავაზე ბატონ იური ჭედიას, გამოსულიყო თავისი არჯუმიენტებით. იჯდა ჩუმად და არ გამოვიდა. ასე რომ, მხოლოდ ერთი რამ იქნება საჭირო, მე და ბატონი თენგიზი შეთანხმებული ვართ, რომ თვითონ სამინისტროს ფუნქცია უნდა განისაზღვროს ძალიან კარგად. ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა ნიშნავდეს დამოუკიდებლობისა და ავტონომიურობის ხელყოფას ამ დიდი სამსახურებისადმი.

არქიტექტურის და მშენებლობის, არ ყოფილა, სათაური ეს. საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო. კავშირგაბმულობა, საჰაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი. საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი, მე-2.

დ. მამალაძე. რაც შეეხება ტრანსპორტის სფეროების დანაწილებას, ჩემის აზრით, არ იქნებოდა მიზანშეწონილი, მითუმეტეს, თუ გადავხედავთ, სხვა ქვეყნებშიც არ არის, მაშინ შეიძლება უფრო დავანაწევრო და არ იქნება მართებული ეს, იმიტომ, რომ მოგეხსენებათ, დიდი სფერო არის საავტომობილო ტრანსპორტი, პერსპექტიული სფეროებია საჰაერო ტრანსპორტიც, რკინიგზის ტრანსპორტიც, მაგრამ, მე მგონი, ასე შეიძლება სხვა ტრანსპორტიც იყოს პერსპექტიული, გამოვძებნოთ, მაგრამ ასე თუ დავანაწევრებთ, მე მგონი არ იქნება მიზანშეწონილი. ჯობია გაერთიანდეს ერთი სამინისტროს ქვეშ და იქ შეიძლება ჩამოყალიბდეს სამმართველოების, ან რაღაც სხვა სახით, სადაც ავტონომია შეუნარჩუნდებათ მათ, სჯობია, რომ კენჭი ვუყაროთ. მე მინდა ეს საკითხი დავაყენო.

თავმჯდომარე. მე-5.

ვ. ლორთქიფანიძე. საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტის მაგიერ ხომ არ ჯობია ის, რაც არის, „საქართველოს სანაოსნო“.

თავმჯდომარე. სანათსნო რა დაწესებულებაა.

ე.შევიძარდნაძე. რაშია საქმე, იცით, ჩვენ პრინციპული გადაწყვეტილება მიღებული გვაქვს, რომ აი ის, რასაც სანათსნოს უწოდებთ, ის და თევზჭერა გაერთიანდეს.

ვ.ლორთქიფანიძე. თევზჭერა ტრანსპორტი არ არის, ეს არის რეწვა, ეს კვების მრეწველობის ეპარქიაა და რეწვაა.

ე.შევიძარდნაძე. არ ვიცი, რამდენად მიუღებელია, შეიძლება საზღვაო-სამოქალაქო ბლოკი, საზღვაო დეპარტამენტი რომ იყოს, მართალია, იქ არის რაღაც, გეოლოგებს აქვთ 2-3 დღე, მაგრამ ეს ვადა გათავდება, იყოს საზღვაო დეპარტამენტი. მე-7.

ნ.ლევიშვილი. როდესაც ლაპარაკია საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროზე, ჩემის აზრით, ჯობია იყოს ტრანსპორტის სამინისტრო, იმიტომ, რომ არსებობს ტრანსპორტის სხვა სახეები, რომელიც ამ სამინისტროში შედის. ეს არის მეტროპოლიტენი, საბაგირო გზების სამმართველო და კიდევ სხვა საკითხები და ჩემის აზრით, იყოს აქ ტრანსპორტის სამინისტრო. საავტომობილოს ნუ გამოვყოფთ და დანარჩენი, როგორც არის წარმოდგენილი.

ე.შევიძარდნაძე. ახლა, შევიდეს თუ არა სხვა, დეპარტამენტებად რომ გვაქვს ეს წარმოდგენილი ამ სამინისტროში, ჩვენ, მგონი, შევთანხმდით ამ აზრზე. აქ რკინიგზებზე გამოვიდნენ და არის თუ არა საჭირო, არ ვიცი. არც ბატონი ვარდოსანიძე არის შუად, კიდევ უბასუხოს. მე მგონი, მაინც შევთანხმდეთ იმაზე, რომ საავტომობილო ტრანსპორტი და კიდევ ზოგიერთი, ვთქვათ, ცალკე იყოს და რაც შეეხება, ჩვენთვის გიგანტებია ეს; რკინიგზა, საზღვაო ფლოტი, საჰაერო, მართლაც ცალკეა და რომელსაც აბსოლუტური, ასე ვთქვათ, ავტონომიზმი სჭირდება. რაც შეეხება შესათანხმებელ ამბებს, ამისთვის არის ვიცე-პრემიერი, იქნება კოორდინაციის სახე და შეთანხმების ვუყაროთ კენჭი? ვინ არის მომხრე, რომ დარჩეს ასეთნაირად, სატრანსპორტო საქმეა, რომელიც წარმოდგენილი არის.

კენჭისყრა: მომხრე-203, წინააღმდეგი -49, თავი შეიკავა - 6. გადაწყვეტილება არ არის მიღებული.

მე წეღან კორექტულობისკენ მოვუწოდებდი ყველას, მაგრამ, მაინც მინდა ვთქვა: ცოტა მეტი ყურადღება, მეტი ანგარიში გავუწიოთ იმ ხალხს, ვინც სპეციალისტია, ვინც პროფესიონალია და ვინც ამის თუ იმ დარგზე მეტი იცის, ვიდრე მე და კიდევ სხვამ. მე გთხოვთ, სიტყვა მისცეთ ბატონ ვარდოსანიძეს.

ლ.ვარდოსანიძე. პატივცემულო დეპუტატებო! მე მგონია, რომ დღეს მეტად მტკივნეულ და საჭირო საკითხს ვიხილავთ, რომელიც ასე საჭიროა რესპუბლიკისათვის, საქართველოსათვის. ტრანსპორტი, ყველამ ვიცით, რომ მართლ ის

არ არის, როგორ ვიმგზავროთ. ეს არის მეტად რთული ორგანიზმი, ქვეყნის სასიცოცხლო არტერია და ამიტომ მე, როგორც სპეციალისტმა, ვუშინებდი ვაშლივ-
 თქვი ჩემი მოსაზრება და დღესაც ვიმეორებ. ვიწყებ რკინიგზის ტრანსპორტით. ეს არის ყველაზე მსხვილი ორგანიზაცია, ალბათ უნდა ჩავიხედოთ ღრმად, მარ-
 ტო ის არ არის საკმარისი, რომ მგზავროს და კლიენტის თვალით შევხედოთ ამ საქმეს. იქ არის ძალიან ღრმა მექანიზმი, სადაც თავმოყრილია ტექნიკის ყველა დარგი უკლებლივ—ენერგეტიკა, მშენებლობა, საგზაო მშენებლობა, საგზაო მეურნეობა, სალოკომოტივო და სხვა—ყველას არ ჩამოვთვლი, ძალიან ბევრი. ამავდროულად მას აქვს ძალიან დიდი ქსელის სამედიცინო დაწესებულებების, სასკოლო, სავაჭრო და სხვა; რაც შეეხება ტვირთბრუნვას, დღევანდელი საზომით ნუ შევხედავთ ამას, იმიტომ რომ, დღეს ყველაფერი გაჩერებულია, თითქმის ნახევარი რკინისგზა დანგრეულია, ხიდები აფეთქებულია. ყველაფერს თავი დავანებოთ, ყველაფერი რომ დაწყნარდება, ამას ძალიან დიდი მასშტაბის საორგანიზაციო და საადმინისტრაციო სამუშაოები სჭირდება. გარდა ამისა, ტრანსპორტში, რკინიგზის ტრანსპორტთან უნდა იყოს აუცილებლად თბილისის მეტროპოლიტენი. ეს არის მიწისქვეშა რკინის გზა, რომელიც ყველა სტანდარტებით ერთნაირია, როგორც რკინისგზა, არავითარი განსხვავება არ არის. გარდა ამისა, ამას უნდა გადაეცეს სარემონტო ქარხნები, ამჟამინდელი ელექტროვაგონშემკეთებელი ქარხანა, ყოფილი, კერძო და სხვა, რაც შეეხება ტვირთბრუნვას და საერთოდ მოცულობას მუშაობისას, ჩვენ თავიდან სტატისტიკას თუ გადავხედავთ, ეს არის წამყვანი დარგი როგორც სამეურნეო თვალსაზრისით, ასევე სტრატეგიული თვალსაზრისით. ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მითუმეტეს დღევანდელ პერიოდში, არ შეიძლება ამ სამინისტროების ყველას ყოფნა ერთად, ამ პერიოდში ღრმებით უნდა იყოს გამოყოფილი ცალკე რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტრო, ვთქვათ, საავტომობილო ტრანსპორტის, ან ტრანსპორტის სამინისტროს, საზღვაო დეპარტამენტი და საჰაერო დეპარტამენტი, როგორც არის მოცემული პროექტში. ახლა რაც შეეხება კოორდინაციის საკითხს. აქ უაპარაკია, რომ იყოს ერთი სატრანსპორტო სამინისტრო. ეს ვაკეთდა, ბატონებო, ორი წელია მუშაობს და ამ ორი წლის განმავლობაში ამან არავითარი ეფექტი არ მოიტანა და რატომ: თუ ჩამოყალიბდება და იქნება ერთიანი სატრანსპორტო სამინისტრო, მაშინ უნდა იყოს იქ ყველა დარგების სამმართველოები. იქ რკინიგზის სპეციალისტები, ერთი მოადგილე, მე-2, მე-3, საზღვაო და ყველამ უნდა მოიყაროს თავი. საჭირო იქნება ძალიან დიდი აპარატი, რომელსაც არ ეყოფა რამოდენიმე ათეული მილიონი წელიწადში. ახლა, უფრო მარტივად, უფრო ოპერატიული რომ გახდეს, მითუმეტეს დღევანდელ პერიოდში, სამართლიანად არის წარმოდგენილი პროექტი, მხოლოდ ერთი შენიშვნით - იყოს რკინიგზის ტრანსპორტის სამინისტრო, მათი კოორდინაცია მოხდეს, როგორც თქვენ ბრძანეთ, ბატონო ედუარდ, ვიცე-პრემიერის

თავმჯდომარეობით, ვისთანაც იქნება, რომელ ბლოკშიც შევა, უნდა შევქმნათ საკოორდინაციო საბჭო, რომელშიც შევლენ ამ სატრანსპორტო უწყების ხელმძღვანელები. ეს საკოორდინაციო საბჭო საჭიროა არა ყოველდღიური, ოპერატიული მუშაობისათვის, არამედ პრობლემატიური საკითხების გადასაწყვეტად, როგორც არის შერეული ტვირთზიდვა, შიგატარებები, ტვირთზიდვის, საგანგებო ტარიფები, ტვირთზიდვის, სხვათაშორის, ჯერ არაფერი დამუშავებული არ არის, ჩვენ თუ გვინდა საერთაშორისო არენაზე გავიდეს ჩვენი ტრანსპორტი, ამას სჭირდება ტარიფების დამუშავება. არის სხვა მრავალი საკითხი, რომელიც პრინციპში განიხილება ამ კომისიაზე და გადაწყდება. ამიტომ მე მიმაჩნია, რომ ჩამოყალიბდეს ისეთნაირად, როგორც მოგახსენეთ. და მე ვთხოვ დეპუტატებს, ანგარიში გაუწიონ, ნუ შევხედავთ ისე უბრალოდ ამ ტრანსპორტის საკითხს, ცოტა ღრმად ჩავწვდეთ და რაც საჭიროა ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ. გავაკეთოთ, რაც აუცილებელია დღეს, მით უმეტეს, როცა ყველაფერი აღსადგენი იქნება თავიდან და ხვალ, როცა გაიზრდება და გაიზრდება საერთაშორისო ტვირთზიდვა, ჩვენ ძალიან მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, ჩვენ დავგვირდება ასეულობით მილიონი ტონის გამოყანა საზღვაო პორტებიდან, ჩვენ გავგვირდება ამის გაკეთება.

ე.შვედარდნაძე. მე-3, მერე მე-2.

ი.ხაინდრაძე. პატივცემულო თავმჯდომარე, პატივცემულო კოლეგის გამოსვლამ დამარწმუნა, მხოლოდ საწინააღმდეგოში იმისა, რასაც ის იცავდა, მე სრულიად არ მესმის, ჩემთვის გაუგებარია, რა ესაქმება სკოლის სარკინიგზო ტრანსპორტის სამინისტროსთან. რატომ უნდა გადავიდეს ამ სამინისტროში, ვლქვამთ, ელმავალმშენებელი ქარხანა, როდესაც ეს მრეწველობის დარგია და ა.შ. ამიტომ სწორედ მიმაჩნია, რომ ეს გამოსვლა კიდევ ერთი არგუმენტი იყო იმისათვის, რომ გადავსინჯოთ ის სისტემა, რომელიც მოცემული არის პროექტში.

თ.სიგუა. ბატონებო, გუშინ, თქვენ გახსოვთ, აქ დავა იყო ამ საკითხზე. მე მოგახსენებთ ახლა ზუსტ მონაცემებს. დღევანდელ დღეს ნუ ავიღებთ, დღევანდელი დღე მარცვინებელი არ არის. 1970 წელი, რკინის გზით, ტვირთბრუნვა პროცენტებში 21%-ია წილის საერთო ტვირთბრუნვაში, საავტომობილო - 72%, საზღვაოში - 5, 9, 80 წელი. თანდათან კლებულობს, ყოველ ხუთწლეულში და დღეს დღეობით 1991-1992 წწ. ჩავთვალოთ რომ არ არის მარცვინებელი. რკინისგზის, ტრანსპორტის წილი ტვირთბრუნვაში არის 14, 6, საავტომობილო ტრანსპორტი - 80, 6%, საზღვაოსი 4, 7%. 92 წლის სექტემბერშია გაკეთებული ეს, 70 წლიდან დღემდე მთელი სტატისტიკური მონაცემები. მგზავრთა გადაყვანაში: საავტომობილო ტრანსპორტის წილია



47, 8, სარკინიგზო ტრანსპორტის წილი—14, 4, საავიაციო ტრანსპორტის წილი—30, 8, მათ შორის აქ არის მეტროპოლიტენი მოყვანილი - 6, 8%, ამდენად, მაპატრიეთ, მაგრამ თქვენს მიერ ნათქვამი, რომ წამყვანი დარგიო და გუშინ რომ ამტკიცებდით, 70%-ით და მე რომ ვთქვი საპირისპიროდ, ეს ასეა. ახლა მე ვესმის, თქვენი პროფესიონალური ინტერესებიდან გამომდინარე გინდათ, მაგრამ დღეს საქართველოს რკინისგზას არავითარი საფუძველი არა აქვს ამტკიცოს, რომ სამინისტროს დონემდე იყოს დაყვანილი, არც მგზავრთა გადაყვანით, არც ტვირთბრუნვით.

თავმჯდომარე. მე-2.

რ.კუპრაძა. სტრუქტურის განხილვა რომ დავიწყეთ, მე მაშინ ჩემი არგუმენტები მოგახსენეთ იმის თაობაზე, რომ ამ სამინისტროს გახლეჩვა შეუძლებელია-მეთქი და მოვიყვანე მრავალი მაგალითი იმისა, რომ ყველა წამყვან ქვეყანაში ტრანსპორტის სამინისტრო არის ერთ-ერთი წამყვანი სამინისტრო და ის გა საზღვრავს მთლიანად მთელი ტრანსპორტის სტრატეგიას-მეთქი. ამდენად, ახლა, პირველ ყოვლისა, მე მინდა საყვედური ეთქვა იმასთან დაკავშირებით, კენჭი ვუყარეთ და გადაწყვეტილების მიღების შეცვლა რაღაც დამატებითი ხერხებით, ასე ვთქვათ, მოხდეს, მაგრამ ის არგუმენტები, რომ სამინისტრო იყო რკინისგზა იმიტომ, რომ მას საავადმყოფოები ჰქონდა თავისი, საბავშვო ბაღები ჰქონდა თავისი, სკოლები ჰქონდა თავისი, ეს იყო უდიდესი შეცდომა, დღეს იგივე რატომ უნდა გავიმეოროთ, ტრანსპორტის სამინისტრო ეს არის ერთიანი, სერიოზული, ასე ვთქვათ, სამინისტრო, რომელმაც მთლიანად უნდა განსაზღვროს მთელი სტრატეგია ტრანსპორტისა, ამიტომ მისი გახლეჩვა ყოვლად დაუშვებელია. იყოს ის დეპარტამენტების სახით შესული შიგნით, გინდათ სამმართველოების სახით, მაგრამ კოორდინატორი აუცილებლად უნდა იყოს დიდი ტრანსპორტის სამინისტრო, გმადლობთ.

ი.შენგელაია. გუშინ მე არ მომეცა ამის შესახებ აზრის გამოთქმის საშუალება, შეიძლება ეს წინ უსწრებდეს რაღაც მოვლენებს, მაგრამ მე მაინც მინდა ეს წინადადება დავსვა იმიტომ რომ, ჩვენ უკვე დავუშვით ასეთი რამ ბეჭდვითი სიტყვასა და პოლიგრაფიასთან დაკავშირებით და კორპორაცია შევქმენით. სომ არ აჯობებდა, და ეს მოხსნიდა ძალიან ბევრ პრობლემას, თუნდაც ფუნქციონალური გაერთიანების თვალსაზრისით, სომ არ აჯობებდა, ასეთი რამ გაგვეკეთებინა: რომ ჩამოყალიბდეს სახელმწიფო სარკინიგზო კომპანია, სახელმწიფო საავტომობილო კომპანია, საჰაერო ტრანსპორტის კომპანია სახელმწიფო მხოლოდ და ასევე საზღვაო კომპანია და სწორედ ტრანსპორტის სამინისტრო ფუნქციონალური ექნება მხოლოდ და მხოლოდ და ამხოლოდურად ყველა კომპანია თავის სამეურნეო საქმიანობაში იქნება დამოუკიდებელი. აი, მე ვთავაზობთ ამ წინადადებას, თუ ეს წინ არ უსწრებს რაღაც მოვლენებს გმადლობთ.

ზ. ანდრიაძე. ბატონო დეპუტატებო, ჩემის აზრით, ჩვენ ისევ ვუშვებთ შეცდომას, იმიტომ რომ კენჭი უკვე ვუყარეთ და გადაწყვეტილება უკვე აღმოჩნდა ეს ერთი მხარე და მე-2. ყველა ქვეყანაში არსებობს რკინისგზა, არსებობს გერმანიის რკინისგზა, არსებობს საქართველოს რკინისგზა დღეს უკვე, მაგრამ ეს არის სამეურნეო ერთეული და არა მართვის სისტემა და მართვის ერთეული. ამ შემთხვევაში, სამინისტროში, მე ვეთანხმები ბატონ ირაკლის მიერ წარმოქმულ აზრს, რომ უნდა შეიქმნას ერთიანი მართვის სისტემა სამინისტროს სახით. მასში შევლენ ცალკეულ დამოუკიდებელ ერთეულებად, ისეთი ერთეულები, როგორც არის რკინისგზა, როგორც არის საჰაერო ტრანსპორტი, როგორც არის საზღვაო ტრანსპორტი და ა.შ. გარდა ამისა, მე მინდა, რომ ჩვენ შეცდომა არ მოგვივიდეს. ძალიან გთხოვთ ეკონომიურ და ეკონომიკურ განსაზღვრებას ყურადღება მივაქციოთ. ტვირთბრუნვა არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ტვირთის გადატანას. საქმე იმაში გახლავთ, რომ, რკინისგზა ითვლის თბილისიდან ვლადივასტოკამდე თავის ტვირთბრუნვაში, მაშინ, როდესაც შემოსავალი არის მხოლოდ ის, რაც მოდის თბილისიდან მარნეულამდე, თბილისიდან პორტამდე, საქართველოს საზღვრამდე, მთელი დანარჩენი თანხები მიდის იმ ტერიტორიის რკინისგზებში, სადაც ისინი გადიან. გმადლობთ.

ჯიბუტი. მე ვფიქრობ, რომ აქ საკითხი კენჭის წყარზე როდესაც დადგა, არის იმდენი ალბათობა, რომ ეს საკითხი შეიძლება განიხილოს სხვანაირად. მაგალითად, კაცია, რომელიც ფიქრობდა, რომ უნდა იყოს ტრანსპორტის სამინისტრო, მაგრამ ტრანსპორტის სამინისტროში უნდა შედიოდეს საჰაერო ტრანსპორტი, შეეძლოს მიეცა ამისათვის საწინააღმდეგო ხმა. შეიძლება კაცია, რომელიც ფიქრობდა, რომ ტრანსპორტის სამინისტროში უნდა შედიოდეს საზღვაო, შეეძლოს ამ წარმოდგენისათვის მიეცა ხმა, ამიტომ ჩვენ უნდა ვუყაროთ კენჭი ცალ-ცალკე. მაგალითად, იყოს თუ არა ტრანსპორტის სამინისტრო იმ გაგებით, რომ ის შეიმუშავებს ზოგად პოლიტიკას, მასში შედის საავტომობილო, საჰაერო, მილსადენი, ბავირ-გზები, თუ არა და ასე ჩამოვყვეთ, თორემ მთლიანად საკითხის ასე დასმით იყო ბევრი ვარიანტი შესაძლებელი. გარდა ამისა, მე მინდა კიდევ ერთი რამე დავამატო აქ. ბატონმა ირაკლიმ რაც ზრძანა, ეს არის აბსოლუტურად სწორი, მაგრამ ეს არის შერსპექტივის საკითხი. მხოლოდ, რაც შეეხება იმ კომპლექსს, რკინისგზასთან შემოერთა იმ დროიდან, როდესაც რკინისგზა იყო ვასამხედროებული და ჩვენ ახლა, როდესაც გაგვარჩია ისეთი სიტუაცია, როგორც არის საწვავზე და სხვადასხვა, უნდა ავიღოთ რაღაცა სეგმენტი ეკონომიკაში, ისეთი, მაგალითად, ტრანსპორტში, მაგალითად, რკინისგზა, რომელიც აუცილებლად იარსებებს და იმოქმედებს. სხვანაირად ჩვენ ქალაქები ერთმანეთს მოგვიწყდება. დასავლეთი საქართველო აღმოსავლეთს მოსწყდება, იმიტომ



რ თუ არ არის რაღაცა სხვა და ა.შ. რაღაცა უნდა ავიღოთ ერთი, სადაც რაღაცა პრობლემას გადავწყვეტთ ან გადაწყვეტა დაიწყება, ასეთი, მე ვფიქრობ, ამ წუთას არის რკინისგზა. მე იმას არ ვამბობ, სამინისტრო ე რქვას თუ არა, პრინციპში ვერ ვხედავ ამას დიდ პრობლემას, რა ერქვამ ევრა, მაგრამ ის უფლებები და რაღაცეები, რომ რკინისგზასთან უნდა იყოს სარემონტო და სხვადასხვა ორგანიზაციები ამაზე, ეს ცალკეა, ეს აუცილებელია, ის, რომ ვაგონში, რომ ჩამატვრევენ მინებს, სომ, მაგრამ მე პრინციპში ორ საკითხს გამოვყოფ - ერთი: კენჭისყრაზე დადაყენოთ ცალ-ცალკე და აქ საკითხი არ არის, არ შეიძლება იყოს ამ ბლოკების გაუქმებაზე, იმიტომ რომ, საჰაერო, საზღვაო, რკინისგზა და ეს ავტონომიური ორგანიზაციებია, მაგრამ შეიძლება დადგეს რომ, როგორც ვაქვით, საგადასახადოს და მაგალითად, ტრანსპორტის სამინისტროსთან და ასე რომ, ვარიაციები ბევრია და მივყავთ კენჭისყრას თანმიმდევრობით. ვთქვათ, ტრანსპორტის სამინისტრო იყოს თუ არა ასეთი, რომელშიც შედის საავტომობილო და სხვა. მეტი თუ არ გავა საჰაერო, მაშინ ე.ი. დგება ორი საკითხი: საჰაერო ტრანსპორტი იყოს ასეთი ავტონომიურად წარმოდგენილი თუ სამინისტროსთან.

თავმჯდომარე. მე-5.

ლ. შაკიაშვილი. ბატონო თავმჯდომარე, მე მინდა გკითხოთ ერთი რამ: მე რამდენადაც მახსოვს, გუშინ აქ ლაპარაკი იყო საგზაო დეპარტამენტის თაობაზე და თქვენ ბრძანეთ, რომ გავითვალისწინებთ და შევთა რომელიმე ბლოკში. მე ვხედავ, რომ ამ ბლოკში უნდა იყოს შესული წესით. ალბათ არქიტექტურისა და მშენებლობის საქმეთა სამინისტროსთან, როგორც დეპარტამენტი და არსად არ არის ასახული და ჩვენ როცა კენჭი ვუყარეთ, ეს გათვალისწინებული იყო. გამოგრჩათ თუ გადაიფიქრეთ. ძალიან გთხოვთ, მიპასუხოთ ამ შეკითხვაზე.

ე. შევარდნაძე. სხვა პრინციპზეა აგებული. ის არც დეპარტამენტია, კორპორაციაა, კოორდინაციას უწევს მინისტრთა კაბინეტი და ერთ-ერთი ვიცე-პრემიერი... მესუთე მიკროფონი!

ჯ. გორგოძე. ბატონო დეპუტატებო, ფრიალ საინტერესო და საყურადღებო წინადადებები დააყენეს ბატონებმა ირაკლი შენგელაიამ და ზურაბ ანდრიაძემ, მაგრამ მე პიროვნულად ვფიქრობ, რომ ეს არის ჩვენი სამომავლო საქმე და მიმდინარე ეტაპზე მივიღებთ გადაწყვეტილებას, რომ შექმნას კორპორაციები საზღვაო, საჰაერო, სარკინისგზო ან საავტომობილო, ჩვენ ძალიან დიდ დროს დავკარგავთ მათ შექმნა-ჩამოყალიბებაში და ფაქტიურად ისედაც დაშლილი ეს მეტად საჭირო ორგანიზაციები სახალხო მეურნეობისათვის და ჩვენი სახელმწიფოსათვის, ისედაც მოიშლება და ვერაფერ სარ-

გე ბელს ვერ მოგვცემს მიმდინარე ეტაპისათვის. რაც შეეხება შიგნით სარ-
 კი თხს, გაერთიანებას ერთ სისტემაში. აქ უკვე ითქვა, რომ ასეთი გაერ-
 თი ანება არსებობდა. ჩვენ სხვადასხვა სამსახურებრივი მოვალეობის შეს-
 რულებიან დროს შეხება გვქონია და მეტნაკლებად საქმის კურსში ვართ,
 როგორც მაღალი რანგის პროფესიონალები, პრაქტიკოსი შემსრულებლები და
 ადგილებზე მყოფნი და მიმაჩნია, რომ დიდი სარგებელი არ მოუტია ამ გაერ-
 თიანებას, ამ ტრანსპორტის გაერთიანებას. დღეს, ალბათ, ყველაზე მეტად
 საჭირო იქნება, მივანიჭოთ ავტონომიები თითოეულ ამ დარგს, მივცეთ სა-
 მუშაოება, ჩამოყალიბდნენ ისინი თანამედროვე სატრანსპორტო ერთეულებად.
 ეს იქნება სარკინიგზო-საზღვაო და საჰაერო და მომავალ პერსპექტივაში,
 რომელზედაც ჩვენ ყველანი შევთანხმდით და სხვადასხვა აზრი გვქონია,
 რომ ჩვენ განვიხილავთ სტრუქტურებს დამატებით, სწორედ მაშინ ვილაპარა-
 კოთ, თუ რა ფორმით იყო წარმოდგენილი მმართველობა, საერთო-საკოორდინა-
 ციო მმართველობა ამ მეტად მნიშვნელოვანი დარგისა. საზს გავუსვამდი,
 როგორც ყოფილი რკინიგზული, რკინიგზის დარგის მნიშვნელობას. აქ უკვე
 ითქვა ბატონმა ჯიბუტმა და სავსებით ვეთანხმებით, რომ დღევანდელ საწვავ-
 საცხები მასალების უმკაცრეს დეფიციტში... შეიძლება დეფიციტი ამოვხსნათ,
 მაგრამ ძალიან კარგად ვიცით, რომ რუსეთის ხელმძღვანელობამ გააკეთა
 განცხადება, რომ ის მხოლოდდამხოლოდ საერთაშორისო ბაზრის ფასებით აწარ-
 მოებს ურთიერთობას - საწვავ-საცხები მასალების რეალიზაცია მაქვს მხედ-
 ველობაში - ჩვენ პირობები მაინცდამაინც არ გაგვიუმჯობესდება უახლოეს
 პერსპექტივაში. ენერგეტიკული კრიზისიც კარგად ვიცით, მაგრამ ყოველ
 შე მოხვედრაში გაზაფხულის, ზაფხულისა და შემოდგომის პერიოდში ჩვენ ასე-
 თი კრიზისი არა გვაქვს. ამ პერიოდში მაინც გვექნება საშუალება, რესპუბ-
 ლიკის სახალხო მეურნეობა ნორმალურად ფუნქციონირებდეს და ცალკეული კუთხე-
 ები ერთმანეთს უკავშირდებოდეს. აქ მოტანილი იყო რამდენიმე მაგალითი
 ფოთიდან ტრანსპორტირების შესახებ, ძირითადი ტვირთებისა, რომლებიც უნ-
 და შემოვიდეს. მე სპეციალისტი არა ვარ ამ დარგის, მაგრამ დარწმუნებუ-
 ლი ვართ, რომ ძალიან დიდი თანხები დაჯდება ფოთის პორტის თვერბტიული
 რეკონსტრუქცია საავტომობილო ტრანსპორტის დატვირთვის მიზნით. იქ არ-
 ს ეზობს შესანიშნავი ბაზა რკინიგზის ტრანსპორტის დატვირთვისათვის - და
 ვ ფიქრობ, მისი შენარჩუნება აუცილებელია. თუ რკინიგზის ტრანსპორტის
 ამ მნიშვნელობის გავითვალისწინებთ და ერთი საფეხურით სტატუსსაც
 ა ვწევთ, ჩვენ ყველანი მოგებული დავრჩებით ჩვენს ხალხთან

ერთად. გმადლობთ ყურადღებისათვის.

რ. ბერიძე. ბატონებო, ერთი წუთით მეც ვისარგებლებ დეპუტატის უფლებით, თუ შეიძლება, მართალია, წუნელ სადმის დადლილები ვიყავით, მაგრამ ძალიან გთხოვთ, დავძაბოთ ყურადღება და მოვიგონოთ, ჩვენ გუშინ კენჭი ვუყარეთ მთლიანად ამ ბლოკს, ამ სტრუქტურით, რომელიც არის და დავვრჩადიად მხოლოდ საკითხი იმის შესახებ, რკინიგზის სამინისტრო იყოს თუ კომიტეტი. ძალიან გთხოვთ, მოიგონოთ, რაზე მსჯელობთ ახლა. არ იყო ეგრე?

ი. შენგულაია. მე მინდა განმარტება გავაკეთო, იმიტომ, რომ მე არ მიხსენებია სარკინიგზო კორპორაცია. ძალიან გთხოვთ, სწორად გაიგოთ. მე ვთქვი კომპანია და კომპანიასა და კორპორაციას შორის ძალიან დიდი განსხვავებაა. ეს ერთი. ჯერ ეს ერთი, კომპანიის ჩამოყალიბება არავითარ პრობლემებთან არ არის დაკავშირებული. არ არის იმიტომ, რომ ეს არის სახელმწიფო კომპანია. მე ამას ვამბობდი და... არც დაუინებით მომიტხოვია, რომ დღესვე მივიღოთ გადაწყვეტილება-მეთქი, მაგრამ თუ ამ გზით ვივლით, ჩვენ ძალიან ბევრ პრობლემას მოვხსნით, თუნდაც საქმთავარენერგოსთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ შეიძლება ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ელექტროკომპანია, რომელსაც ავტონომია შენარჩუნებული ექნება სამინისტროსი, თუ ის იქ შევა, გმადლობთ.

ე. შევარდნაძე. მე-3.

ზ. მურვანიძე. ბატონებო, აქ ჩემამდე მხოლოდ სპეციალისტი გამოვიდა. მე მინდა მომხმარებლის თვალსაზრისით მოვიწოდოთ, რომ მომისმინოთ. მოდის ტვირთი საიდანდაც. ჯერ შაერთ, მერე რკინიგზით, მერე მატარებლით და გზაში დაიკარგა. რომელ სამინისტროში ვეძებთ?

ხმები დარბაზიდან.

ზ. მურვანიძე. მე ძალიან გთხოვთ, დავუკვირდეთ-რეპლიკებს.

რომელ მილიციაში? ძალიან გთხოვთ, დავუკვირდეთ, რომ მათ უნდა ჰყავდეთ ერთი პასუხისმგებელი პირი, ერთი სამინისტრო, რომელშიც შევა: ყველაზე უკეთესი ვარიანტია, ალბათ ის, რაც ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, მაგრამ თუ ეს შესაძლებელი არ არის, არ არის კიდევ ცალკე სამინისტროები საჭირო და ეს იყოს ბლოკთან შესული, სამინისტროსთან.

ე. შევარდნაძე. ვინ არის მომხრე, რომ შეწყდეს კამათი?

შეკითხვები დარბაზიდან. (გარკვევით არ ისმის)

ე. შევარდნაძე. დღეს პარლამენტმა ხმა მისცა იმას, თუ დარჩება ტრანსპორტის სამინისტრო, რომლის შემადგენლობაში შევა საშაერო ტრანსპორტის დეპარტამენტი, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტი, რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტი. აი, ამას მიეცით თქვენ ხმა. მე მოგახსენებთ, რომ მე პირადად წინააღმდეგი ვარ და არ მიმიცია ხმა ამისათვის. რასთან პარლა-

მენტმა ეს სისტემა მოიწონა, მე არ ვაპირებ, კენჭისყრაზე შეორიყრა ვაყენო. მაგრამ ეს ყველაზე უნდა იცოდეს, რომ ჩვენი მოქმედება ამ შემთხვევაში...

სმეზი დარბაზიდან: დიდი შეცდომაა.

გ. შევარდნაძე. ეს, ვიმეორებ... ვემოხრილები პარლამენტის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, მაგრამ ძალიან შეტკინა გული იმის გამო, რომ....

სმაური დარბაზში.
გ. შევარდნაძე. მოითმინეთ, მოითმინეთ!

.... რომ ჩვენ იმ ხალხს, ვინაც უშუალოდ უბღება ცხოვრება, მუშაობა ამ პირობებში, ცოტა მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთ. ამ შემთხვევაში ეს გადაწყვეტილება უკვე მიღებულია, მაგრამ სხვა შემთხვევაში სპეციალისტებს, პრაფიციონალებს, ვინც უშუალოდ პასუხისმგებელი, ცოტა მეტი ანგარიში უნდა გავუწიოთ, აი, ეს უნდა შენიშვნა მინდა გავაკეთო. გ.ი. ვინაჩრუნება (დადგენილები) იმ ფორმით, რა ფორმითაც ახლა არსებობს. თუმცა, მე და ბატონი თენგიზ სიგუა ვიყავით რკინიგზელებთან, ეს იყო ხუთი თვის წინ და იქ გადაწყვეტილება, მაშინ პარლამენტი არ იყო, გამოვაცხადეთ, დავრწმუნდით იმაში, რომ რკინიგზის დეპარტამენტი უნდა ყოფილიყო ცალკე. ჩვენ შევხვედით საპარლამენტო ფორმის მუშაკებს და პრაქტიკა გამოხატული იყო მთავრობაში იმის შესახებ, რომ ეს იქნება ავტონომიური, დამოუკიდებელი სამსახური, მაგრამ პარლამენტი ფორმალურად კი არ არის უმაღლესი ორგანო და ამის გამო ეს გადაწყვეტილება მიღებულია დღეს.

სმაური დარბაზში.

გ. შევარდნაძე. კავშირგაბმულობის სამინისტრო!

პ. კოფეშვილი. კავშირგაბმულობის სამინისტროსთან დაკავშირებით მინდა ვითხროთ. კავშირგაბმულობისა და ინფორმაციის სამინისტრო...

სიგუას სმა შორიდან. ბატონო გუგუაძე, სანამ ამის განხილვაზე გადავიდეთ, ასეთი წინადადება მაქვს: გუშინ რთვარც იყო აქ წამოყენებული, სამი თუ ოთხი თვის მერე, საგანგებოდა სენიაზე... აი დღესვე ჩაიწეროს, რომ განხილულ იქნას წინადადება ბატონ ირაკლი შენგულაიასი და მომზადდეს, ვთქვათ (???) სიტყვა გაურკვეველია) სახით ეს სამი დეპარტამენტი.

გ. შევარდნაძე. ეს შეიძლება, მაგრამ მე უნდა ვითხროთ, რომ თუ ყველა კონცერნზე პარლამენტი მიიღებს დადგენილებას, არაფერი ამისგან არ გამოვა. ეს უნდა გადაწყვიტოს მინისტრთა კაბინეტი. რომელი კომპანიის იქნება, რომელი კონცერნი, ბილსდაბილს, რომელი რომელ სტრუქტურაში შევა, ესეც პარლამენტის საკითხი უნდა იყოს, მაგრამ რასაც მივიღეთ გადაწყვეტილება, კანონი კანონია!

სმეზი დარბაზიდან. ბატონო გუგუაძე, მოგვეცი სიტყვა!

გ. შევარდნაძე. მხოლოდ ერთხელ გავაკეთე გამოხატვისი იმის გამო, რომ ტექნიკა არ მუშაობდა. მართლაც არ მუშაობდა და სანამ

მე თავმჯდომარე ვარ, მეორე გამონაკლისს არ დავუშვებ. ჩვენ კენჭი ვუყარ-
რეთ, ხმა მივუცით და პასუხიც ვაგოთ. მოორჩა, გათავდა!

ხმები დარბაზიდან, ხმაური.

ე.შევარდნაძე. კავშირგაბმულობის სამინისტროსთან დაკავშირებით არის
ასეთი მოსაზრება, ბატონ პაატა კოლუაშვილს მიხრინია, რომ იყოს ეს კავშირ-
გაბმულობისა და ინფორმაციის სამინისტრო. ინფორმაცია ცოტა სხვა ფუნქციის
არის და ახლა რომ ჩვენ ეს მისია დავაკისროთ ამ სამინისტროს, მე მგონი,
არც კავშირგაბმულობა იქნება და არც ინფორმაცია, ისე, როგორც დღეს, არ
გვბქვს არც ერთი და არც მეორე.

ხმა დარბაზიდან, ბატონო ელუარდ, პროცედურასთან დაკავშირებით უფლება
მაქვს მოვითხოვო სიტყვა?

შევარდნაძე. მე-6! რა არის?

გ.მურაიძე. ე.ი. ჩვენ ვუყარეთ კენჭი, დარჩეს თუ არა. ვერ გავიდა წი-
ნადადება, მაგრამ გაერთიანების შესახებ კენჭი არ გვიყრია, ამიტომ ეს
საკითხი უნდა დაისვას და თუ დავეთანხმეთ, მაშინ ერთიანდება. აბა, ისე
როგორ შეიძლება?!

ხმაური დარბაზში, ხმები - სწორია!

ე.შევარდნაძე. მე-5.

გ.ლორთქიფანიძე. უკაცრავად, ბატონო დეპუტატებო, აქ იყო ნათქვამი
ასეთი სიტყვა „მონსტრი“, აი, ერთი კაცი - რომ უფას სათავეში ოთხი ამისთან-
ა მიუზრუნების საქმიანობას... ეს არის ტიპიური გადმონაშთი ძველი ცხოვრე-
ბიდან, რომდესაც არის ვიღაცა პარტიული მუშაკი, რომელსაც ყველაფერი შეუძ-
ლია და ყველაფერი იცის, ამიტომ, - რა თქმა უნდა, ჩამოყალიბდეს ან...
როგორ შეიძლება რკინიგზის და ავტოტრანსპორტის და კიდევ სხვისი ერთად ყოფ-
ნა?! ვინ არის ის კაცი, ვინ იუღება იქა, რომელმაც იცის ოთხივე ასეთი სფე-
რის იმდენად, რომ უხელმძღვანელოს?! ის, რომ მოადგილეები ეყოლება, არ შეე-
ლის საქმეს, ამიტომ, მე მგონია, რომ ბატონ ირაკლის წინადადება ყველაზე
უფრო სწორია, რომ თუ სამინისტროს არ დავარქმევთ, დამოუკიდებელი სახელმ-
წიფო კომპანიები ჩამოვაყალიბოთ, მაგრამ საქმე აკეთოს იმ კაცმა, ვინც
იცის ეს საქმე და არ დავსვათ ვიღაცა მართლა მონსტრი, რომელმაც არცერთი
ეს საკითხი არ იცის, ეს ერთი ამბავი და მეორე მე მაინც გთხოვთ, რომ დავ-
ფიქრდეთ ერთ საკითხზე....

რეზლიკა დარბაზიდან.

გ.ლორთქიფანიძე. დღეს ვგრე არ არის, ბატონო თენგიზ, მაგრამ, სვალ მატა-
რებელი გავა, ჩვენ ვფიქრობთ ასე, თუ ვგრე არ იქნა, დავიფუშებით. მატარე-
ბელი იქნება, რომელიც წავა, თბილისი-პარიზი, თბილისი-ბერლინი, წავა, წავა,
უსათუოდ, მოვა და ვგ დრო ადრე თუ გვიან. ის, რომ რკინიგზა არის უზარმაზარ-
ი აპარატი და ასე ვფიქვით, უზარმაზარი რაოდენობა დამიანებისა, რომელსაც
უნდა ხელმძღვანელობა, ამას გავუწიოთ ანგარიში და რაც გინდათ ის დავარქვით,
ამას არა აქვს მნიშვნელობა, მაგრამ ეს რომ დამოუკიდებელი ორგანიზმი უნდა
იყოს, მე ამასი ეჭვი არ მეპარება.

სიგუა დარბაზიდან. არავინ წინააღმდეგი არაა, მე ვარ სამინისტროს
წინააღმდეგი.

გ.ლორთქიფანიძე. არ ვიცი, ეს თქვენ იცით.

ჯ. იოსელიანი. საქმე ის არის, ბატონებო, რომ ზ... ბოდიშს ვითხოვ, რომ ვერ გავცხადებ თავის დროზე ყველაფერ ამას, მაგრამ ახლა კიდევ მინდა რაღაც ისეთი ვთქვა... იქნებ დაგვიანებულია, მაგრამ აი ამ საკითხმა ძალიან დამაფიქრა ამ რკინიგზისა და ტრანსპორტის სამინისტროს ირგვლივ, მართალია ბატონი ვიგა, როგორ შეიძლება გაერთიანება. წარმოუდგენელია, ვიღაცამ სწორე თქვა, მარტო სიტყვა, ტრანსპორტი... მაშინ ველოსიპედიც ტრანსპორტია და ტრანსპორტზე ხომ არ არის, კაცო, საქმე, მამაჩემი იყო რკინიგზელი და მე ვიცი, როგორი ტრადიციული ორგანიზაცია იყო ესა, რაღაც ტრადიციები ქონდათ. პეწი იყო ამაში და დღესაც აქვს ზოგიერთ რკინიგზელს შემორჩენილი ესა და იმას რომ აურ-დაურეც, არ გამოვა. ეს მარტო ტრადიციების თვალსაზრისით. ახლა გადაწყვეტილება მიღებულია. ამაზე ლაპარაკი, ალბათ, წყლის ნაყვანა, მაგრამ ამან მე ერთ დასკვნამდე მიმიყვანა, რომ იქნებ, შეიძლება თვითონ ამ სტრუქტურას რაღაც დროებითი დავარქვათ. იმიტომ, რომ ისე გამოდის, ჩვენ რეფორმებს არ ვაპირებთ. ოცი სამინისტროა, ცხრამეტი სამინისტროა ყველაზე... დანარჩენებიც ბიუროკრატიული დაწესებულებებია. ე.ი. გამოდის, ჩვენ არ ვაპირებთ რეფორმას, ამიტომ ის მაინც დავარქვათ, რომ დროებითია ესა. როდესაც მოხდება პრივატიზაცია, შეიძლება, გაკოტრდეს ყველა სამინისტრო სულ ერთ დღეში!..

ე. შევარდნაძე. გუშინ იყო, ბატონო ჯაბა, შევთანხმდით, რომ ოთხ თვეში უნდა წარმოადგინონ წინადადება.

ჯ. იოსელიანი. კი, ბატონო, მაშინ დავარქვათ ამას დროებით, შეიძლება ცხოვრებამ დაგვაცენოს ისე, რომ სულ გაბითურდეს ყველა სამინისტრო ერთბაშად.

ე. შევარდნაძე. მე-2.

კ. გაბაშვილი. მე უფრო საპროტედურო ტიპის რამ მინდა ვთქვა: ჩემის აზრით, საკითხის ისე წაყვანა, როგორც ახლა მოხდა ტრანსპორტთან დაკავშირებით, გამოიწვია ერთმა რამემ, რაც შეიძლება განმეორდეს სხვა უწყებებთან დაკავშირებით. მე მინდა, ჩემი თავიც და ჩემი კოლეგებიც, სუყველანი გავაფრთხილო, რომ ჩემის აზრით, რომელიმე ცალკე მყოფი დეპარტამენტის ან კომიტეტის მაინცდამაინც სამინისტრომდე აყვანა იწვევს ძალიან სერიოზულ უკურეაქციას. ეს საკითხი, რომელიც ახლა ასე გადაწყდა, იყო მხოლოდ იმის გამო, რომ იქ ფაქტურად, შეთანხმებული, დაუშვებია, დროებით... ცალ-ცალკე მათი ყოფნა, განსაკუთრებით ერთ-ერთის სამინისტროს სტატუსით წარმოდგენამ, მოთხოვნამ შექმნა. ამიტომ დავფიქრდეთ, მოთხოვნა იმაზე მეტის, რაც ამ წუთში საჭირო და რეალურია, უკურეაქციას იწვევს კენჭისყრის დროს. მე ამის თქმა მინდოდა.

სამაური დარბაზში.

ე. შევარდნაძე, ნუ გავაგრძელებთ კამათს!
ხმაური.

მუჩაიძე, მე უფლება მაქვს, აზრი გამოვთქვა. მე მიკვირს, ვთქვათ, მსოფლმხედველობრივი საკითხი ამ პრობლემატიკის და მათემატიკის შემარჯვებულ ორიენტაციების პარტიების პოზიცია. თქვენ ყველამ იცით, რომ რკინიგზა-ზეც სახელმწიფო საკუთრებაა დღესდღეობით, არა? საპატრონო ტრანსპორტშიც, საზღვაო ტრანსპორტშიც, თქვე დალოცვილებო, თუ შემანჯვრეულ პარტიები ხართ, მონოპოლიზმისკენ რატომ მიდისართ?! ჭირიქით, დემონოპოლიზაცია უნდა მოვახდინოთ!

ხმა დარბაზიდან, თქვენ წარმოდგენა არა გაქვთ!...

მუჩაიძე, ბატონო ირაკლი, თქვენ არ გეხებათ. უნდა მოხდეს ამ ეტაპზე დემონოპოლიზაცია და ამის შემდეგ... კომპანიებზე მეტი უნდა გადავიდეთ...

რეპლიკები დარბაზიდან (არ ისმის).

მუჩაიძე, თქვენ ყველამ შესანიშნავად იცით, იმ სფეროში რა ნეგატიური მოვლენებია ერთ დიდ ბირთვად შეკრული და ეს ნეგატიური მოვლენა უნდა დაიშალოს.

შევარდნაძე, გმალობთ, მე ვთხოვთ, ნუდარ ვიკამათებთ, იმიტომ, რომ არაფერი უბედურება არ ხდება. შევინარჩუნებთ იმ მდგომარეობას, რა მდგომარეობაც დღეს არის, მე ასე გავიგე უმრავლესობის აზრი, რომ ის მდგომარეობა, რაც დღეს არის, ასე თუ ისე მისაღებია... ორგანიზაციული სტრუქტურა, ორგანიზაციული ფორმა - ამას ვინარჩუნებთ, დღეს არის ტრანსპორტის სამინისტრო, რომელიც ასე თუ ისე, მართავენ ყველა სახეობის ტრანსპორტს: რკინიგზას, საზღვაოს, საავიაციოს და ა.შ. აი, ამ მდგომარეობას ვინარჩუნებთ, თუ ვითმენდით დღემდე, შეიძლება კიდევ მოვითმინოთ კიდევ სამი-ოთხი თვის განმავლობაში, რახან ხმა უკვე მივუცით ამას.

მე-4 და დავამთავროთ!

5. ასათიანი, მე ვფიქრობ, ამას პრინციპული მნიშვნელობა აქვს. აქ ბატონი გურამის გამოსვლასთან დაკავშირებით - შემარჯვებულ-შემარცხენე. მისი გამოსვლა იყო ტიპიური შემარცხენე პარტიების დაშახასიათებელი, ამ მიმდინარეობის საღხის. აბსოლუტურად შერეულია ცნებები ერთმანეთში ჩვენ შინ შევთანხმდით, ვიდრე იხეთ სტრუქტურას, რომელიც არარეფორმისტულია თავისთავად, ამ თვალსაზრისით... რას შევქმნით, სხვაშია საქმე, თუ ჩვენ გავარჩენთ უწყებებს ჩამოყალიბებული სახით, გაცილებით უფრო გაძნელებდა, ვთქვათ, იმ იდეის განხორციელება, რაც ბატონმა ირაკლი შენგელაიამ ბრძანა. ვთქვათ, კომპლენიებად გარდაქმნა ამის, თუ ესენი ჩამოყალიბდებიან ცალკე უწყებებად, მოიკიდებენ ფეხს, თავისი დიდი აპარატები ექნებათ შესაბამისად, ვერ შევქმნით, თუ ჩვენ ეს გვინდა, რომ ესენი როდესმე



სახელმწიფო კომპანიაში იქნენ, უაზრობა, რომ ახლა ტრანსპორტის სამინისტროში იყვნენ, რომ ისინი აღარ ჩამოყალიბდნენ საბჭოთაოდ, როგორც ცალკე უწყებები, თუ გვინდა. თუ არ გვინდა, მაშინ ეს იქნება სადავო და საკომათო, ჩვენ რა გზას დავადგენით. მაგრამ ეს, მე იმედი მაქვს, სამთხვეობა, როცა წარმოადგენს მინისტრთა კაბინეტი და მთავრობის თავმჯდომარე გვერდების ჩვენ ამას, ალბათ, მაშინ იქნება კომათის საგანი, ან დღესვე უნდა ვიკომათოთ და ეს მაშინ უფრო სერიოზული საკითხი ხდება, ვიდრე სტრუქტურა არის ამისთვის ლაპარაკი, ეს მინდათა შექმნა და დავამთავროთ, კენჭი ნაყარია, დავამთავროთ. ბოლოსდაბოლოს რა გვიშლის ხელს, თუ ხვალინდელ ვერ იმუშავებ, ვამოვბ პრემიერ-მინისტრი ან სახელმწიფოს მეთაური და იყვინს, რომ ვერ მუშაობს, ბატონებო, აქვენი მიღებული კანონი და ვნახოთ, კიდევ ერთხელ ვიმსჯელებთ ამისზე და დავამთავროთ, კი, ბატონო. მაგრამ წამდარწმუნებ ცვლად რომ ვერ ვიხვეწივით, დაშლად ამისი... არ არის სასურველი, ხალხი არანორმალურ მდგომარეობაშია, მე რამდენადაც ვიცი, სამინისტროებში, ზოგი სამინისტრო ერთიანდება - იშლება, ერთიანდება - იშლება, ამიტომ ამიტომის გაკვრას ვედათაუდის ხალხი, მცირდება, იზრდება შტატები... რა ვიცი... გადავწყვიტეთ. გადავწყვიტეთ. ყოველ შემთხვევაში, დღევანდელი მდგომარეობა მაინც შენარჩუნებულია და აქ რადაცა რადიკალური ცვლილებები არ არის.

ვ.გოგუაძე.

ბატონო გუგუაძე, ერთი რამ მინდა შეგახსენოთ; აქვენი გახსნის სახელმწიფო საბჭოში არაერთგზის მოგვმარტებს, კოლექტიურად მოვიდნენ რკინიგზის წარმომადგენლობა და ითხოვენ, რომ დავვანებოთ თავი, სხვებს არ ცალკად ჩვენთვის და აქვენი, ბატონი თენგიზი, ყველანი დაბრძოთ და სახსება სული ამოიქვია. არც ტრანსპორტის მინისტრი იყო წინააღმდეგი, არც რადაც ამბობდები არ ამუხებდა და... ახლა თუ ამას არ მივეცით თავიანთი ავტონომიური საქმის სამუშაოება, ამას შეიძლება ცუდი რამ მოჰყვებ. აქ ლაპარაკი ძირითადად იმაზე, რკინიგზის სამინისტრო იყოს, თუ დეპარტამენტი. დანარჩენზე, მე ვგონი, აქ ვერაფერზე შეიძლება შეთანხმება.

(სმეორე დარბაზში).

ვ.გოგუაძე.

მე ვთქვი, რომ მინდა გავახსენოთ-შეიქვი, რომ ეს ხალხი, ეს დამოუკიდებელი ერთეულები გლობალიზაციის დამოუკიდებლობას, რომ თავიანთ საქმეს ავიტონ მიხედონ.

(სმეორე დარბაზიდან).

გ.შევაბდნაძე.

მე ვთხოვ. კენჭი მე ერთხელ უკვე ვუყარე, მეორედ არ ვიცი, რას უნდა ვუყაროთ.

სმა დარბაზიდან.

როგორც არის წარმოდგენილი, ამას ვუყაროთ კენჭი, არ შეიძლება?

გ.შევაბდნაძე.

არ შეიძლება, საკითხი ასედააჩივრად იყო: ვინ არის

მომხრე იმისა, რომ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტრო და ეს ბლოკი შემდეგში, საპაერო, საზღვაო და სხვა მიიღოთ ისე, როგორც არის შემოთავაზებული. არ გავიდა ეს წინადადება... მე-5.

6. არველაძე. ბატონო ელვარდ, ჩვენ ვუყარეთ კენჭი, ამ სახით გავიღეს თუ-არა. ხმა მისცა 64-მა, წინააღმდეგი იყო 60, მაგრამ ეს ხმა არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ხმა მივეცით ერთიანი სამინისტროს შექმნას? მაშინ რატომ ვდებულაბთ გადაწყვეტილებას, რომ შევქმნათ სამინისტრო? საერთოდ ამაზე საკითხი არ დავსებულა.

3. ჯორჯაძე. სწორია.

6. არველაძე. ჩვენ ვთქვით, მივიღოთ თუ არა ამ სახით, არ მივიღეთ, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ სამინისტრო შეიქმნას, ერთიანი სამინისტრო.

7. შევარდნაძე. ლაპარაკი არის, კიდევ ვიმეორებ, იმ კომპლექსზე, რომელიც ახლ თუ ისე, გუშინ შეთანხმებული ვიყავით, მაგრამ გუშინ ჩვენ კენჭი არ გვიყრია, ყველასთვის არ მოგვიხსენია, ლაპარაკი არის საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროზე, ლაპარაკი არის საპაერო ტრანსპორტის დეპარტამენტზე, საზღვაო ტრანსპორტის დეპარტამენტზე, რკინიგზის ტრანსპორტის დეპარტამენტზე. მე დავაყენე საკითხი ასეთნაირად: ვინ არის მომხრე, რომ ეს კომპლექსი სწორედ ასე იყოს წარმოდგენილი, არ გავიდა ეს წინადადება. რა გავაკეთოთ ახლა? დავიწყეთ მანობულატორები?

ხმაური დარბაზში.

3. კოდუაშვილი. მე ვინდა, გავახსენო ბატონ დეპუტატებს იმ საკითხის შესახებ, თუ რამდენჯერ და როგორი შესჯერება იყო ამ საკითხზე, როგორც სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტზე, ისე მთავრობის კაბინეტში, მინისტრთა კაბინეტში. მე ვინდა ვთხროთ, რომ მინისტრთა კაბინეტში ნამდვილად იყო მომზადებული წინადადება და არაერთხელ ითქვა ეს სახელმწიფო საბჭოს პრეზიდენტზე; მის შემდეგ, რაც ბატონი ელვარდი და ბატონი თენგიზი ბაქანდუბოძენ რკინიგზის სამმართველოში, რკინიგზის დეპარტამენტის შექმნის თაობაზე. ამიტომ მე შემოვდივარ წინადადებით, რადგან ის ნაწილი დარჩა ერთიანი სამინისტროში, კენჭი ეყაროს მხოლოდ და მხოლოდ რკინიგზის დეპარტამენტის შექმნის საკითხს ამ სამინისტროს გარეშე! ეს ერთიანი სამინისტრო ამ კომპლექსში, ხალხ რკინიგზის, დეპარტამენტს ცალკე ეყაროს კენჭი!

9. შევარდნაძე. რკინიგზა ხმელეთზე მარტო არის და ზღვას და პაერს რას ვერჩით.

ბ. კოფუაშვილი. თქვენ რასთან ამბობთ, რომ არ დააყენებთ ხელახლა კენ-
ჭისყრას? მე აქედან გამომდინარე გეუბნებით, დადაყენოთ მხოლოდდა-
მხოლოდ რკინიგზის დეპარტამენტის საკითხი ცალკე.

ბ. ქადაგიშვილი. პრეზიდენტი იმას იტყობს, რომ თუ ერთიანი სამინისტროს
კენ მივდივართ, წავიდეთ ასეთი გზით: იყოს არა სამი დეპარტამენტი -
რკინიგზის, საჰაერო და საზღვაო, და შემდეგ მეოთხე, საავტომობილო ტრანს-
პორტის დეპარტამენტი. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს ოთხი სამეურნეო ორ-
განო არის ფუნქციონალურად დამოუკიდებელი თავის სამეურნეო საქმიანო-
ბაში. უშუალოდ ტრანსპორტის სამინისტრო განაგებდეს და აკრებდეს იმ
საქმეს, რასაც შეეძლება შეთანხმება ამითი მუშაობისას და რასაც შეეძლება
პერსპექტივების განსაზღვრა, სტრატეგიის და პოლიტიკის განსაზღვრა
ტრანსპორტის განვითარებაში. ოთხი სამეურნეო ფუნქციონალურად დამოუკი-
დებელი დეპარტამენტი იყოს და ერთი სამინისტრო, რომელიც სწორედ სტრატე-
გიას და პოლიტიკას განსაზღვრავს და არა სამეურნეო მიმართულებებს.

გ. შიგარდნაძე. სხვათაშორის, ვიპტირებ ყურადღებას, ეს ახალი ელემენ-
ტი და ძალიან საინტერესო, იმიტომ, რომ თუ ამ სამინისტროსგან არაფერ-
იც გამოვიღოთ, იმიტომ, რომ ეს ფაქტურად დარჩა საავტომობილო ტრანსპორტის
სამინისტროდ და არა საჰაერო, საზღვაო და ა.შ. აი, ეს, რასაც
ბატონი ირაკლი ამბობს, შეიძლება ეს კომპრომისი, უმრავლესობას და
უმცირესობას შორის. მაშინ ადვანიშნოთ, შეიქმნას საავტომობილო ტრანს-
პორტის დეპარტამენტი და იყოს ტრანსპორტის სამინისტრო ასეთი. მაშინ
სხვა ამოცანებიც გასაგები იქნება.

ხმაური დაჩაბში.

ა. მარშანი. მე თხოვნი მაქვს, პატრივტეზულ პარტამენტარებო, ცოტა
ფუნაურად მოვერვივებთ ჩემი განცხადება, მაგრამ მე არც დეპარტამენტი
ვიღებ მონაწილეობას და არც კენჭისყრაში. იმიტომ, რომ ცოტა ფუნაურად
მიმარნიო ამ საკითხებზე მსჯელობა. ძალზედ დიდ პოლიტის ვინდი, დიდი-
ტანტორი მსჯელობა ვამოდის აქ, ამ საკითხების ირგვლივ. მე თხოვნი
მაქვს ასეთი თქვენს მიმართ, რომ.... (ჩანაწერში ფრაზა წყდება)....
პროფესიონალებს ვთხოვთ, რომ დაადგინენ რეფორმების გზას. იმიტომ, რომ
ეს საინტერესო მთლიანად, სატრანსპორტო, პარალელიზებულია. ვთხოვთ კიდევ ერ-
თხელ, პროფესიონალებს მოვუხმინოთ, იმათ აზრს მოვუხმინოთ.

შეკითხვა დაჩაბშიდან: ვის თვლით პროფესიონალებად?

ა. მარშანი. ვის ვთვლი და ვინც მუშაობს ამ დარგებში და გამოცდი-
ლება აქვს, ვთხოვთ მათ, რომ რეფორმების გზას დაადგინენ.

ვ. ლორთქიფანიძე. ბატონო ელუარდ, ახლა რომ ახალი იდეა დაიზადა, მის შესარდასაჭერად შე ვინდა, ცოტა ზეჯით აიხედოთ, საბიბისა და ენერჯეტიკის სამინისტროსაც ასევე აქვს დეპარტამენტები ამ სქემამდე გვერდიდან, ისევე სქემა რომ განვიხილოთ.

გ. საფთასი. ბატონო თავმჯდომარე, შე იგივე წინადადება მინდობა შემოთავაზებინა, რაც შემოთავაზებათ ბატონმა ირაკლი ქადაგიშვილმა, მაგრამ მაქვს კიდევ ერთი წინადადება, რომელიც ამ საკითხსა და შეესება. ბატონმა თენგიზ სიგუამ ჩვენ მოგვახსენა, თუ რა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული ჩვენი ტრანსლოცია, შე ვაყენებ საკითხს, რომ გამოანგარიშებული იქნეს, საკითხი რომ დამთავრდება, შემდეგ რომ თავიდან იწყება განხილვა, აი ის დრო, სულ ყველაფერი ყველა დეტალებზე განვიხილოთ, გამრავლდეს თბზე და დიდი ფულადი ჯარიმები დავუწესოთ ამ ხალხს, სხვა გამოსავალი არ არის, შე მგონი, სამეურ დავუბრუნდით ერთი და იგივე საკითხს, გადავანდევინოთ ის ფული, რასაც საბელმწიფო ზარალობს.

ე. შევარდნაძე. სხვათაშორის, ეს ძალიან სერიოზული საკითხია, იმიტომ, რომ ანგარიში უნდა არ წარმოუდგენიათ, შე ვიცო, რა ანგარიშია ეს, რა წარმოგვიდგენენ, მერე ვილაპარაკოთ ჩვენი მუშაობის წესზე, რას იტყვის უმრავლესობა, რომელიც მხარი დაუჭირა წყაღველ მოსაზრებას, რომ საფუძვლად ავიღოთ ბატონ ირაკლი ქადაგიშვილის მიერ შემოთავაზებული წინადადება? იყოს დეპარტამენტები და იყოს სამინისტრო, მაგრამ არა საბავშვო-მობილო, საერთოდ ტრანსპორტის, შეიძლება ამასზე?..

ი. შენგულაია. ფაქტიურად, ის, რაც შე შემოთავაზებთ, იგივე არის ეს, მხოლოდ, იქ კომპანიებზე იყო საუბარი, აქ დეპარტამენტზე, განსხვავებები არის, მაგრამ თუ ჩვენ გარდაქმნას მივიღებთ, აი იმ ვარიანტს, რომ შემდეგში ეს დამოუკიდებელ სამეურნეო ერთეულებად ჩამოყალიბდება, მაშინ ეს ვარიანტი კომპრომისულად შეიძლება ჩაითვალოს.

ე. იოსელიანი. შე ვფიქრობ, რომ ეს შეიძლება იმ შემთხვევაში, თუ ამ სამინისტროს ექნება ახალი ფუნქცია. ე.ი. ფუნქციონარული ცვლილებები თუ იქნება შიგ. მაკოორდინირებელი, თორემ თუ ახალი ბიუროკრატიული აპარატი შეიქმნის... ეს სად მივდივართ, კაცო, რეფორმებისაკენ კი არა, ისევ უკან ვბრუნდებით?!

რეპლიკები დარბაზიდან.

ჟ. იოსელიანი. შენ, ძეო, განმკარგულებელი და მინისტრი კი არ უნდა იყო, უნდა იყო მომგვარებელი და რაც მომავალში უნდა იყოს სამინისტროები, ის ფუნქციები უნდა დაეკისროს, მაშინ, შე მგონი, გამართლებული იქნება.

ე. შევარდნაძე. დავამთავროთ! შეიძლება საფუძვლად ავიღოთ ეს წინადადება? ... ვინ არის მომხრე, რომ შეიქმნას ტრანსპორტის სამინისტრო, რომლის



შემაღვენილობაში შევა საავტომობილო ტრანსპორტის დეპარტამენტის
ნიგზო დეპარტამენტი, ავიაცია და საზღვაო, ვახოვთ, დამიდასტურით.

კენჭისყრა: მომსრე - 143, წინააღმდეგი - 12, თავი შეიკავა - 3.
სულ - 158.

გოგობაძე. როგორც იქნა, მივაღწიეთ.

შევაძრუნაძე. ვერც ერთი თავსატეხი იქნება, არ ვინდა, ასეთი მიწისტ-
ნი მოქმენო. კავშირგაბმულობის სამინისტრო დავტოვოთ, როგორც არის, ისე?

სამეზი დარბაზიდან. დავტოვოთ.

გ. შევაძრუნაძე. გეოლოგია? გეოდეზია?

ტექნიკური ზედამხედველობა?

სამ დარბაზიდან. ბატონო ელუარდ, აქ იყო ინსპექციის...

შევაძრუნაძე. იყოს ინსპექცია, მხოლოდ სამთავრობო სტრუქტურაში უნდა
იყოს, ეს ძალიან სერიოზული ფუნქციებია... ვიცე-პრეზიდენტი, თავდაცვის
სამინისტრო, განათლების სამინისტრო, კულტურის სამინისტრო, ჯანმრთელო-
ბის დაცვის სამინისტრო, სოციალური უზრუნველყოფის, შრომისა და დასაქ-
მების სამინისტრო.

ი. ქადაგიშვილი. უკაცრავად, რომ ასე გავჩხვებით. ჩვენ მაინც გავიძა-
რეთ ის პირველი ბლოკი, მაგრამ გვინდა, დავაყენოთ კიდევ ერთხელ კენ-
ჭისყრაზე. პირველი ბლოკის შესუსტება შეიძლება, თუ ტურიზმს ჩვენ მა-
გალითად, გადავიტანთ მაგ ბლოკში. მაგრამ მე მაინც ვგონია, შრომა,
დასაქმება, სოციალური უზრუნველყოფა, რომელსაც უშუალოდ არის დაკავში-
რებული იმ სიძნელეებთან, რაც რეფორმის შედეგად წარმოიშვება, მაინც აქ
რავსვამთ. ტურიზმი, ფუნქციონირებადაც ესეც რეფორმის საქმეა, მაგრამ გა-
ნათლებაც, უანდაცვაც, ყველაფერი რეფორმის საქმეა. ამიტომ შეიძლება ამ
ბლოკიდან ტურიზმი გადავიტანოთ იმ ბლოკში, მაგრამ სოციალური უზრუნველყოფა გად-
მოვიტანოთ იქ, სადაც მოსახლეობის დასაქმებია, სოციალური უზრუნველყოფის ეხე-
ბა და უშუალოდ რეფორმასთან, რომელიც არის დაკავშირებული. აი, ეს და-
ვაყენოთ კენჭისყრაზე, ბლოკები გადავანაწილოთ.

გ. შევაძრუნაძე. როგორც გადაწყვეტს პარლამენტი, როგორც ტრანსპორტზე
გადაწყდა, ისე გადაწყდება აქაც. რა თქმა უნდა, გავა ის წინადადება,
რომელსაც უმრავლესობა დაუჭერს მხარს, მაგრამ მე ვერ წარმომიდგენია
კარგად სოციალური უზრუნველყოფა უანმრთელობის სისტემის გარეშე. მე
კარგად ვერ წარმომიდგენია შრომისა და დასაქმების პრობლემების მოწყ-
ვება... განათლების სისტემის გარეშე, მომზადების და გადამზადების
სისტემის გარეშე. იქ სამუშაო ადგილების პრობლემა არის. მართალია, აქ
სხვა პრობლემებია. - მომზადება, გადამზადება, კადრები და სხვ. მე
მეტს ადარ გადაგაჩქარებ არგუმენტირებას. ვაყენებ კენჭისყრაზე. ვინ

არის შემხრე, რომ დარჩეს ისე, როგორც არის? ე.ი. ამ ბლუკში: განმარტობა, კულტურა, ჯანმრთელობა და ა.შ.

კენჭისყრა: შემხრე - 118, წინააღმდეგი - 33, თავი შეიკავა - 7. რეგისტრაცია - 158. მერე მუორე წინადადებას ვუყრით კენჭს, რომელიც ბატონმა ირაკლიმ დააყენა. მივცინოვრებისა და ტექნიკის კომიტეტი, ან სამინისტრო. ვინ არის შემხრე, რომ იყოს კომიტეტი და შემდეგ სამინისტრო.

კენჭისყრა: შემხრე - 133, წინააღმდეგი - 16, თავი შეიკავა - 7. სულ - 156. დარჩა კომიტეტი.

ჯ. იოსელიანი. ბატონებო, ამ სტრუქტურებში არ არის ერთ-ერთი-შეადარე სტრუქტურა. ჩვენ მივიღეთ საბჭოებზე მამველთა კორპუსის რაღაც ინსტიტუტი და დავამტკიცეთ. ჩვენ ვართ სვისმური ქვეყანა, აქ ჩვენ ვავაეროიანთ სამოქალაქო თავდაცვა მამველთა კორპუსთან და ფაქტიურად ის უკვე ფუნქციონირებს სამი წელიწადი, ხან ასე, ხან ისე, ხან კანონით, ხან უკანონოდ. ეს ამ სისტემაში სულ არ არის წარმოდგენილი. თუ არ არის ამის აუცილებლობა, კი, ბატონო, მადრამე მე ვფიქრობ, რომ... გვაქვს ჩვენ ის ცბლკე სამსახურები იმისა? ... წყაღდილობა, მეწყერი, არის მიწისძვრები, სტიქიური უბედურებები. ვარდა ამისა, სამოქალაქო თავდაცვა, რომელსაც ასე თუ ისე, ტრადიციები აქვს, აქვს ბაზები. საბანტრო რატომ არის შინაგან საქმეთა სამინისტროსთან, რა კავშირშია? ეს ყველაფერი არსებობს და ფუნქციონირებს, ავად თუ კარგად. ამის იგნორირება, მე ვფიქრობ, არ არის სწორი და უნდა ვავითვალისწინოთ, ის რომელიდაცა ბლუკში, - როგორც მამველთა კორპუსი, დავტოვოთ. დავუქვემდებაროთ, ვინდა სამინისტროს, ვინდა ვიცე-პრეზიდენტს, როგორც იქნება. ეს სამსახური უნდა არსებობდეს აუცილებლად. დონაბრეც მანდ შედითდა, ეს დიდი ორგანიზაცია, რომელიც არსებობს ნახევრად ლეგალურად. ხან დახურეს... რას ვუშვებით ამ რამდენიმე ათას კაცს, არ ვიცო.

ე. შევარდნაძე. თუ არ ვცდები, გუშინ წამოაყენეს ასეთი წინადადება, რომ იქნებ შევქმნათ რაღაც საგანგებო დანიშნულების კომიტეტი თუ სტრუქტურა, იქნებ ასე ვავაკუოთ, ბატონო ჯაბა, რომ რაღაც გარკვეული დრო მივცეთ შინისტრთა კაბინეტს და დამუშავოს ეს საკითხი, როგორ შეიძლება, რა სახით შეიძლება ეს შემთავდეს სამთავრობო სტრუქტურებში. ვთქვათ, ათი დღის განმავლობაში დამუშავდეს ეს საკითხი.

სიგუა დარბაზიდან. არსებობს ეს სამოქალაქო თავდაცვა და მამველთა კორპუსი. ჩვენ უამრავი ასეთი ორგანიზაცია გვაქვს, რომელიც სამთავრობო სტრუქტურაში არ ჯდება.

(ხმაური დარბაზში).

ე. შევარდნაძე. მივსვით დავალება მინისტრთა კაბინეტს...

თ. სიგუა. /თავიდან არ ისმის/... კორპორაციები არ უნდა შევიყვანოთ. ეს იგივეა: იცით, ვთქვათ საავტომობილო ვზები. უზარმაზარი საქმეა საქართველოსთვის, ძირადაც ჩავდეთ კორპორაცია, რომელიც ვადის მინისტრთა კაბინეტზე, იქონიერებს არაფერს სავაჭროს მეშვეობით, პირდაპირ... იქონიერებს არაფერს სავაჭროს სტრუქტურა არ ერქმევა.

ე. იოსელიანი. ე. ი. რომელი სტრუქტურა იქნება, სად იქნება, რა იქნება, თავისი დაფინანსება... ბიუჯეტზე ხომ უნდა იყოს, ხომ არ შეიძლება...

ე. შევარდნაძე. შევა სამთავრობო სტრუქტურაში ანდა ისე იარსებებს, როგორც სავაჭრო და სხვები არსებობენ და იქნება სახელმწიფო გარანტი იმ სფეროში, რომელიც აუცილებელია.

ე. იოსელიანი. საგზაოთა და მნიშვნელოვანი დიდი განსხვავებებაა, ძალიან გლობალური საკითხები არის დაკავშირებული ამასთან. მაშინ უნდა დანაწევრდეს და სხვა რომელიღაც სამინისტროებს უნდა დაევალოს ამის გაკეთება, იმის გაკეთება...

ე. შევარდნაძე. დავადალოთ, შემოიტანონ.

ე. იოსელიანი. კი, ბატონო.

ა. მარჯანი. ბატონო ადვოკატი: მე ამ კორპორაციის დებულებას ვაპრობირებ ვარ; მე ვგონი, თქვენც დაამტკიცეთ სახელმწიფო საბჭოზე. შევლა თუ ფინანსს სჭირდება, ლტოლვილებსა და განსახლებას და იმ სამინისტროში, იმ კომიტეტში შევიდეთ ეს კორპორაცია.

ე. შევარდნაძე. მე მომივიდა ეს აზრი, მაგრამ კიდევ ნახვა უნდა, შეიძლება ერთად იყოს.

ა. მარჯანი. ლტოლვილებისა და განსახლებისა შესაბამისი იქნება ეს.

ე. შევარდნაძე. შევისწავლოთ.

მ. გორგაძე. ჩვენ სტრუქტურას ვადაგენთ, ბუნებრივია, ვიხილებით წინ და ალბათ, საქართველო გამოვა საომარი მდგომარეობიდან, იქნება მშვიდობა, სადაც მას ნამდვილად დაჭირდება სამთავრობო თავდაცვის რადაც გარკვეული სტრუქტურა და ეს უნდა იყოს აუცილებლად სამთავრობო სტრუქტურა. წინააღმდეგ შემთხვევაში პრაქტიკულად ის ვერაფერს ვერ გააკეთებს ვინაიდან სამინისტროსთან... შეიძლება ეს ვადაწყდეს, მაგრამ ეს არის საკმაოდ გლობალური პრობლემა თავისი რეზერვებით, შენობებით, იმ სტრუქტურით და იმ კანონმდებლობით და სხვა რადაცელების შემთხვევებით, რომელიც მიუთითებს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ.

ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს რამე და აუცილებელია, დღესვე იქნეს დაწყებული მოსამზადებელი სამუშაოები ამ პერიოდისათვის.

ე. შევარდნაძე. გეგანხმებით. თუ გნებავთ, ახლავე შევითანოთ თავდაცვის ბლოკში?

მ. გიორგაძე. არა, ეს პრინციპულად განსხვავებული პოზიციებია. ეს დღეს ემთხვევა მათი ინტერესები ერთმანეთს, თორემ ხვალ-ზეგ - იქნება სულ სხვადასხვა...

ე. შევარდნაძე. დაფუძნებით: შევითანოთ თავდაცვის ბლოკში. შევთანხმდით? კიდევ რა არის?

გ. იორაშაშვილი. ბატონო თავმჯდომარე: მე მიწოდდა, მეოთხე ბლოკზე შევთქვა: აქ გამოიჩინებოდა ტელედეპარტამენტი, გუშინ იყო, დღეს აღარ არის.

ხმაური დაჩხაჩხინი.

ე. შევარდნაძე. ფინიკური კულტურა. სომ ვთქვით, შევთანხმდით... კენჭისყრა? დავერვიეთ კენჭისყრას. მაშველთა კორპუსი შევითანოთ თავდაცვის ბლოკში. ვინ არის მომხრე?

თ. სუმბათაშვილი. მე მიწადა პარლამენტის ყურადღება მივაქციო ამ ტერმინებს. რას ნიშნავს სამთავრობო სტრუქტურა და რა მნიშვნელობით ამბობს ამას პრემიერი და სახელმწიფოს მეთაური. სამთავრობო სტრუქტურა - როდესაც იხმარება ეს ტერმინი, ნიშნავს იმას, რომ ამ სტრუქტურის მეთაური, დეპარტამენტის თავმჯდომარე თუ მინისტრი არის მთავრობის წევრი, ე.ი. კაბინეტის წევრი და შეესაბამება არ ნიშნავს. არ ნიშნავს, რომ ვინც დასახელებით არ შედის ამ სტრუქტურაში, არ შედის ბიუჯეტში და არ არის მთავრობის ქვეშ, ასე ვთქვათ, აქ ლაპარაკია იმაზე, ამ სამსახურის მეთაური იქნება თუ არა მინისტრთა კაბინეტის წევრი, თუ მაგალითად, მაშველთა კორპუსის თუ გზათა სამმართველოს უფროსი უნდა იყოს კაბინეტის წევრი, ასე უნდა დადგეს საკითხი, თორემ ყველაფერი ეს იქნება სამთავრობო ფუნქცია. ყველაფერი სამთავრობო სტრუქტურაში იქნება, რაც იქნება ბიუჯეტზე და რაც მთავრობის განკარგულების ქვეშ იქნება. აქ არის ლაპარაკი, ეს პერსონები არიან კაბინეტის წევრები თუ არა, ზემოთ ეს გავითვალისწინოთ, თორემ იგულისხმება, თითქოს ვინც არ არის ამ სქემაში, მათში იქნება. არავითარ შემთხვევაში! იქნება ადმინისტრაციული ხელისუფლების მფარველობის, მისი განკარგულების ქვეშ და ა.შ. როგორც წესი და რიგია.

ე. შევარდნაძე. მე ვთხოვთ: გაუწიეთ ანგარიში იმ ამბავს, რომ ჩვენ აქ რადვირთუ ბევრი ისეთი უწყება, რომელთა ხელმძღვანელები არ იქნებიან კაბინეტის წევრები. დეპარტამენტებია ჩამოთვლილი და ა.შ. ეს

იმითვე კეთდება, რომ საზოგადოებას შექონდეს წარმოდგენა, რომელიც უნდა
სად იქნება, როგორ იქნება, ხომ არ გამოვვრჩა და ა.შ. მე არ ვგულისხ-
მბ, რომ მამველთა კორპუსის ხელმძღვანელი იქნება კაბინეტის წევრი, მაგ-
რამ ამ თავდაცვის ბლოკში თუ ჩამოითვლება ეს, მაშინ ის, რაც აწუხებს
ბატონ ჯაბას და სხვებს, არა მარტო მას, მოიხსნება ეს პრობლემა. შეიძ-
ლება დავუშვათ და ამით გაირკვევა ყველაფერი. იქ ხომ არის კანონში
ნათქვამი, კაბინეტის წევრები ვინ არიან და ამით თავისთავად ბევრია
ნათქვამი.

ვინ არის მომხრე, გთხოვთ....

შეკითხვა დარბაზიდან.

მ.გოგუაძე. აი, თავდაცვის ბლოკში რომ იყოს მამველთა კორპუსი.

კენჭისყრა. მომხრე - 125, წინააღმდეგი - 24, თავი შეიკავა - 4,
სულ - 153.

ე.შეგვარდნაძე. ფიზკულტურა დარჩეს....

3. მუსელიანი. ბატონო ედუარდ, მე მგონი, ფიზიკური კულტურა უნდა მოიხს-
ნას, ცოტა სასაცილო ასოციაციებს იწვევს.

თუ გავითვალისწინებთ, თუ რა დიდი როლი ენიჭება სპორტს ქართველი
ერის სულიერი აღზრდის საქმეში, თუ გავითვალისწინებთ რა უზარმაზარი
სამუშაო უნდა შეასრულოს მან ქართველი კაცის ჩამოყალიბების საქმეში,
მე ვფიქრობ, რომ კომიტეტი უნდა გადაიქცეს სამინისტროდ. მე ვინდა
ვთქვა, რომ საბჭოთა სპორტი და სპორტი საერთოდ, დღევანდელ მსოფლიოში
არის სხვადასხვა ცნებები. ამერიკაში, საერთოდ მსოფლიოში, სპორტი
არის უდიდესი ინდუსტრია, უდიდესი ბიზნესი. მაგალითად, სპორტიდან მიღე-
ბული მოგება თითქმის იგივეა, რაც მანქანათმშენებლობიდან მიღებული მო-
გება შეერთებულ შტატებში. ამიტომ ყველგან მსოფლიოში აქვია სამინისტრო
და მოდიო, გთხოვთ, ნუ დავუბრუნდებით ჩველ სპორტკომიტეტს, ამ სახელს,
რომელიც სპორტსმენებს ასე არ უყვართ! საქართველოში სპორტს აქვს უდი-
დესი პერსპექტივები ყველა მხრივ, ქართველი არის უნიჭიერესი ადამიანი,
ამიტომ მოვითხოვ დადგეს კენჭისყრაზე და იყოს სამინისტრო.

ე.შეგვარდნაძე. ეს არ არის პერსონალური შენიშვნა. მაგრამ მე ძალიან
გთხოვთ, ყველამ მივბაძოთ სავთასის მაგალითს, რაც იყო სათქმელი, თქვა
ხუთ სიტყვაში.

ხმაური დარბაზში.

ე.შეგვარდნაძე. მოიცათ, მოიცათ, ლაშარაკი არის იმაზე, რომ დარჩეს
სპორტის კომიტეტი.

ხმები: სამინისტრო!

ე.შეგვარდნაძე. ე.ი. ფიზიკური კულტურა იქნება... პირველი წინადადება
არის სპორტის კომიტეტი, მეორე იქნება სამინისტრო, ვინ არის მომხრე რომ
დარჩეს კომიტეტი?...



სმეზი დარბაზიდან: სამინისტრო!

კენჭისყრა: მომხრე - 82, წინააღმდეგი - 57, შეიკავა - 9. სულ - 158.

ზ. გოგუაძე. არ გავიდა.

ე. შევარდნაძე. ვინ არის მომხრე, რომ იყოს სამინისტრო?... ვთბოვ, ბატონ ვახტანგს, მაშატიოს, რომ მისი ფუნქციები მივითვისე, იმიტომ, რომ მე ვფიქრობ, ასე უფრო ჩქარა იქნება.

გოგუაძე. (ღიმილით) გაპატიებთ, ბატონო ელუარდ.

კენჭისყრა: მომხრე - 74, წინააღმდეგი - 75, თავი შეიკავა - 2, სულ - 157. სამინისტრო არ დადასტურდა.

ი. ხაინდრაძე. მე ვგონი, ბატონო თავმჯდომარე, სამართალია პური ჭამა - გუშინდელ შეთანხმებულ სქემამი მოცემული იყო სპორტის დეპარტამენტი და ჩვენ სხვა გამოსავალი არა გვაქვს გარდა იმისა, რომ გუშინდელი გადაწყვეტილება დავადასტუროთ.

გ. ნიკოლაიშვილი. პროცედურასთან დაკავშირებით, ბატონო თავმჯდომარე, საკითხი ისე კი არ დავაყენოთ, დარჩეს თუ არა, არამედ შევივალოს თუ არა და თუ არ გავა, ეს ავტომატურად ნიშნავს იმას, რომ დარჩება და თრჯუნ კენჭისყრა აღარ დავგეგმოდება.

ე. შევარდნაძე. მე ვგონი, ამას დიდ ცოდვად არავინ ჩაგვითვლის, რომ გაიყოს ჩვენი კორპუსი დეპუტატებისა და ახლა რეალურად შევხედოთ, დავტოვოთ სპორტი ისევე მეორეხარისხოვნად, თუ გამოსნატოს პარლამენტი თავისი დამოკიდებულება ამ სისტემისადმი. შეიძლება სამინისტრო, მართლაც, იწვევდეს ეჭვს და იქნებ შევთანხმდეთ, რომ დავუჭიროთ მხარი კომიტეტს... იმიტომ, რომ კომიტეტზე დაბლა დეპარტამენტი და სხვა რაღაც ახლა ამ ეტაპზე, ალბათ, არ ვარგა, ჩემის აზრით და თუ ეს არ იქნება თავს მოხვევა, რაღაც ნებისა, მაშინ, იქნებ, ვფიქრობთ კენჭი სულ მეორედ, რაზან არც ერთი გავიდა და არც მეორე.

თ. გელოვანი. ბატონო თავმჯდომარე, ბატონო დეპუტატებო, მე დიდ პატივს ვცემ ჩემს წინ გამოსულ ორატორს, რომელმაც დიდი საქმე გააკეთა ქართული სპორტისათვის, მაგრამ მერწმუნეთ, სწორედ დეპარტამენტის ქონა სპორტში უფრო გაათავისუფლებს მას და უფრო გაუხსნის გზას ბიზნესისაკენ და მოამზადებს სამინისტროს მარწმუნებს სამინისტრო სწორედ მარწმუნად აწვეს სპორტს. რაც მეტი თავისუფლება იქნება, უფრო გახდება სპორტი ბიზნესის სფერო. ჩვენ პროფესიონალური სპორტისკენ უნდა წავიდეთ, მაშინ ყველა შეძლებს იმ დიდი საქმის გაკეთებას, რაც გააკეთა ბატონმა მუსხელიანმა.

ე. შევარდნაძე. მართალი ხართ თქვენ, ამსოლუტურად მართალი ბრძანდებით. პრინციპში, არც დეპარტამენტი, შეიძლება აუცილებელი, მაგრამ

დღეს ისევ ძველი სტრუქტურები მოქმედებენ. მხედველობაში მასწავლებლებსა და უმაღლესი განათლების სისტემა, მრეწველობის დარგიც და ა.შ. ამიტომ სახელმწიფო კომიტეტის არსებობა თავისთავად ნიშნავს სახელმწიფოს დამოკიდებულებას ამ სფეროსადმი. მე არა ვარ წინააღმდეგი, თუ ვნებავთ, დეპარტამენტის დაუპყნოთ კენჭისყრაზე.

თ.სუმბათაშვილი. გამოსავალი არსებული მდგომარეობიდან მე ასე ვგანსებთ: არის მრავალი სფერო და სპორტიც ასეთი სფეროა, სადაც სამინისტროს არსებობა პერსპექტივაში სრულიად გამორიცხულია და საჭირო არ იქნება, ამას თვითონ ცხოვრება დაგვანახებს, იმიტომ, რომ ის სფერო ნამდვილად უნდა გათავისუფლდეს, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ჯერჯერობით ეს ვერ მოხდება და ბიუჯეტი სჭირდება და დოტაციებზე უნდა იყოს სპორტი. ამიტომ უნდა იყოს სამთავრობო სტრუქტურაში. მე არაფერი მიიქვამს კულტურის სამინისტროზე. სინამდვილეში თავის დროზე არც კულტურის სამინისტრო არ იქნება საჭირო იმიტომ, რომ კულტურა უნდა იყოს თავისუფალი, მაგრამ მას სჭირდება დაფინანსება და ამიტომ სამინისტროც არის საჭირო. აქ უფრო საქმეზე კი არ იყო ლაპარაკი, პრესტიჟზე იყო, პრესტიჟი, როგორც ჩანს, ჩვენს ყოფაში საქმეა. საქმე ისაა, რომ კარგად უღერს "სამინისტრო". გარდა ამისა, მინისტრი კოლეჯის წევრია, ასევე წევრია კომიტეტის თავმჯდომარეც, მაგრამ, როგორც ჩანს, კარგად უღერს, სიტყვა "სამინისტრო". მე შემომაქვს ასეთი წინადადება: იყოს სპორტის სამინისტრო, ვინაიდან სპორტს უნდა დაფინანსება, ვიდრე იგი მოგვებს მოტივებს, გათავისუფლება და გახდება დიდი ბიზნესი, თავდაპირველად, ამას სჭირდება დაფინანსება, მაგრამ თვით სამინისტრო ძალიან დიდი აპარატი არ უნდა იყოს, იმ დარგებს, რომელთაც მეორე სამინისტროსგან, დეპარტამენტებისგან, კომიტეტებისგან გათავისუფლება უნდათ, თავიდანვე უნდა შექნდეთ პატარა აპარატი, რომ მეორე ამ აპარატის გათავისუფლება, უმჯობეს იყოს ადვილი. ამჟამინ თუ შექმენით დიდი სამინისტრო, მაშინ მას უფრო ძნელად დაშლით, ვიდრე კომიტეტს, ხოლო კომიტეტი უფრო ძნელად დაიშლება, ვიდრე - დეპარტამენტი. თუ იქნება პირობა, რომ ეს სამინისტრო იქნება მოქმედი, ძალიან მცირე რიცხოვანი და პრესტიჟისთვის ერქმევა სამინისტრო, მაშინ დასაშვებია, ხოლო ბიუროკრატიული სამინისტრო - არავის არ უნდა. ბატონო მუსხელიანი ბრძანა, რომ სპორტკომიტეტი სპორტსმენებს ეჯავრებოდეთ - სწორედ იმიტომ ეჯავრებოდეთ, რომ იგი დიდი სტრუქტურა ჯყო და სპორტს ხელს უშლიდა. ერქვას მინისტრი სპორტის მინისტრს, პყავდეს სულ რამდენიმე კაცი, მთავრობიდან აიღოს ფული და მოახმაროს სპორტს. ეს იყოს მისი საქმე! ნუ რაერვბა სპორტის საქმეში, როგორც ერწოდებ სპორტკომიტეტი, ასე შეიძლება,

რომ პრესტიჟისთვის იყოს მიწისტროი!

ხმაური დარბაზში.

თ. სუმბაძე-შვილი. პრესბუქტივამი სამთავრობო სტრუქტურა უნდა მოიცილოს და ასევე იქნეს, არა მარტო სპორტი, ეს არის საქმიანი წინადადება და გონივრულ ნუ განდობ საზოგადოებას! სამინისტროს გაუქმება სამი-ათნი წლის მერე, შეიძლება, იყოს ძალიან ძნელი!

შევარდნაძე. კარგი, აქვენი გვიანობა, რომ განსაკუთრებით შეიშალოს უნდა გავითვალისწინოთ, ალბათ, იმიტომ, რომ დავაბრუნებთ პატარა სამინისტროს (ივინის).

ა. ბერიძე. გუშინ შევიტანე წინადადება და გავიდა ეს წინადადება,

კომიტეტი, მაგრამ მე მხედველობაში მყავდა დიდი კომიტეტი; მე თანახმა ვარ, დღეს მოხსნეს ჩემი წინადადება, დიდი კომიტეტის ნაცვლად შეიქმნას პატარა კარგი სამინისტრო.

თ. სიგუა. პატრიარქისგან დეპუტატებმა, აქ განსამარტავია ერთი რამ, რა

არის დღეს ჩვენი სპორტი, მიუხედავად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც სტრუქტურას აქვს არა, რასაკვირველია, არა. დღეს ჩვენთან სპორტი სტრუქტურულად წარმოადგენს საზოგადოებრივ, ფედერაციების და რანსასახშირის მხარედა კლუბების სახით. რა არის აქ ზედმეტი და რა უნდა განვიტოოთ. რასაკვირველია, ზედმეტი ის არის, რომ საზოგადოებრივ, აქვენი ვერსად ცივილიზებული სამყაროში ვერ ნახავთ, რომ იყოს ისეთი საზოგადოებრივ, როგორც არის „დინამი“, „ბურჯვესტნიკი“, „სპორტაკი“, „განთავი“. ეს არის ჩვენთან, ჩვენს სისტემაში, სალიბერალური სისტემაში არსებული სპორტული სტრუქტურები, რომელიც ხვალ და ზეგ, რასაკვირველია, არ უნდა არსებობდეს. სპორტი უნდა იყოს ფედერაციებში და კლუბებში. ფედერაციები ჩვენთან უკვე არის. ყალიბდება ისეთი სახის, როგორც მოთხვენად არის, რომ ხვალ მათ სურთა პრესტიჟული სახე მიიღონ და დღეს უკვე რანსასახშირ არის კლუბებიც, აი, სამინისტროს ან კომიტეტის, როგორც აქვენი გადაწყვეტით, მთავარი მოვალეობა იქნება, რომ ეს სტრუქტურები განავითაროს, ფედერაციები, კლუბები და მერე უკვე სამინისტროს აზრი ეკარგება; ეს გადავა სურთა პრესტიჟული რეგულაციები და გაანალიზებენ თავის ცხოვრებას ყოველგვარი სახელმწიფოებრივი მართვის გარეშე. სავსებით სწორი ბრძანა ბატონმა თემურ სუმბაძე-შვილმა. დღეს ჩვენი სპორტი თითქმის მთლიანად ბიუჯეტშია, ხევა შემოსავალი მას არა აქვს და თუ დღეს ბიუჯეტის შემცირება კი არა, თუ არ გავუზარდეთ 93 წლის საბიუჯეტო ასიგნებანი, ქართულ სპორტს მოვკლავთ. აქვენი კარგად იცით, იმის დროს არ დიკვიდირებულა, ვთქვამ, ფილის, თბილისისა და ბათუმის ფეხბურთის გუნდები და დღეს ისეთი სიტუაციაა, რომ ჩვენ შეიძლება ქართული ფეხბურთიც კი მოხსნათ, ამიტომ უფრო უფრო მათ სახელმწიფოებრივი სტრუქტურა აუცილებლად საჭიროა და მას რომ სამთავრობო სტრუქტურის სახე შექმნდეს, გვიადრებით.

გ. შევარდნაძე. გ. ი. სუმბაძე-შვილისა გამოცხადებულ განცხადებას მიმართ სამინისტროს

უჭირს მხარს, რაბან არ გავიდა არც ერთი და არც მეორე, ვფიქრობ, რომ კენჭისყრისას ისე, როგორც შემოიტანეს. ვფიქრობს, რომ პატარა სამინისტროს, მაგრამ მაინც კენჭი ვუყაროთ სამინისტროს. ვინ არის მომხრე, რომ იყოს სამინისტრო?

კენჭისყრა: მხმსრე-79, წინააღმდეგი - 66, თავი შეიკავა - 10. სულ იყო 155. არ გავიდა.

ვინ არის მომხრე, რომ იყოს დეპარტამენტი?

მომხრე - 111, წინააღმდეგი - 43, თავი შეიკავა - 2. სულ - 156.

გ. კობახიძე. გიორგი კობახიძე, ედუ. მე პრესდენტისთან დაკავშირებით მაქვს შენიშვნა არა მარტო ამ საკითხთან დაკავშირებით, წარსულში იყო ასე დასმული კითხვა და მომავალშიც რომ არ იყოს ამისათვის ვაშობი, ე.ი. გუშინ ჩვენ ვუყარეთ მთლიანობაში კენჭი. ეს მიღებულია, რაც არის, ამიტომ და შევთანხმდით რომ შესწორებები თუ იქნებოდა, ისინი გავიდა კენჭის ყრაზე. ამიტომ დღეს ვუყარით კენჭს მარტო შესწორებას და შესწორება თუ არ გადის, რჩება რაც იყო, ეს არის რეგლამენტის მიხედვით, ან ასე უნდა წავიდეს ჩვენი დღევანდელი სხდომა. მე ვინდა, რომ დამეთანხმოს ამას ვახტანგ ხმალიძე, რომელმაც ეს რეგლამენტი შეიმუშავა.

შეკითხვა

კომიტეტი იყო სქემადი და სამინისტრო.

ე. შევარდნაძე. კარგი. თუ შეიძლება მომისმინოთ, მე ვგონი, ახრი არა აქვს კამათს ახლა და მე უნდა ვითხრათ. გუშინ ჩვენ შევთანხმდით სატრანსპორტო სქემის შესახებაც. დღეს სხვანაირად გადაწყვეტიეთ. გუშინ ჩვენ შევთანხმდით სპორტზე კომიტეტზე მერე დაისვა. შევთანხმდით. კომიტეტი იქნება ან სამინისტრო, ახლა გაუწიეთ ანგარიში იმას, რომ ჩვენ შეგვიძლია ეს ტელევიზია რომ არ იყოს, გათენებაზე ამას ვინ ვინ ვინ და 15-ჯერ ვუყაროთ კენჭი. მთელი საქართველო ამას თვალყურს ადევნებს და მათ შორის ის ახალგაზრდობაც; რომელსაც დიდი იმედი აქვს სპორტისა, ფიზკულტურისა და ა.შ. დღეს პარლამენტმა არ მიიღოს გადაწყვეტილება, არც კომიტეტი შექმნას, არც სამინისტრო, არც დეპარტამენტი, მე ვგონი გვეტყვიან, რომ ჩვენ არასერიოზული ხალხი ვართ თავისი თავმჯდომარის ჩათვლით. ამიტომ მე გთხოვთ, როგორც არის შემოტანილი; პრინციპში როგორც ვიყავით შეთანხმებული, მივიღოთ კომიტეტი, ვუყაროთ კენჭი და გადავწყვიტოთ სერიოზულად. ასე არ შეიძლება. ვინ არის მომხრე, რომ იყოს კომიტეტი. თუ არა და მაშინ ვიტყვი, რომ პარლამენტი და სპორტი შეუთავსებელია. მე გთხოვთ დავამთავროთ...

ქალბან ბევრი საკითხია გადასაწყვეტი.

კენჭისყრა: მომხრე-148, წინააღმდეგი - 9, თავი შეიკავა - 6. სულ 162. დამტკიცებულია სპორტის კომიტეტი.

მთლიანობაში დამტკიცებულია და საგამომცემლო საქმის კორპორაცია წერია აქ. რამდენ-



ჯერმე შემოვიდა წინადადება, რომ იმ სირთულეებთან დაკავშირებით, რომლებსაც ახლა წავაწყდით, აი სახელმძღვანელოების გამოცემა და სხვა, იქნებ იყოს ეს არა კორპორაცია, არამედ პოლიგრაფიული და საგამომცემლო საქმის კომიტეტი. მე არ ვიცი, როგორ შეხედავს პარლამენტი ამ ამბავს. თუ საერთოდ განვეწყობით ამისთვის, იმიტომ რომ, თუ აქაც განმეორდება სპორტის ისტორია, მაშინ ჯობია საერთოდ...

